

178 / 3  
1389

ISSN 0132-5981

საქართველოს  
საბჭოთავო  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აკადემია

# საქართველო საბჭოთავო



3 1984



# საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი  
ივნისი

1984 წელი

შურნალი გამოდის 1928 წლის 1 მარტიდან

საპარტიველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და  
შმალღისი სსსამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

## შინაარსი

მმართველობა უმეივესი დანაშაულია	3
<u>განვანტრცინელოთ სკკვ ცენტრალური კომიტეტის აკრილის კლენუშის გადაწყვეტილება</u>	
ა. კალგახელიძე — სრულყოფილ საბჭოების იდეოლოგიურ-აღმარდელიოგითი მუშაობა	8
ბ. ანჟვაბი — შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლიტორგანოები: პირველი ნა- გიჯები, ამოცანები, პროგნოზები	12
<u>კანონის კომენტარი</u>	
ს. ჯორგენაძე — მოქალაქის რეაბილიტაცია სრული და შეუქცევადი აქტია	17
ბ. ნაჟუბია — სისხლისსამართლებრივი კასუსისმგებლობა საკანონო ხომალ- დის გატაცებისათვის	27
<u>მეურნეობა და სამართალი</u>	
ვ. გიორგობიანი — მასკინალურად გამოვიყენოთ სამართლებრივი საშუალებანი პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში	35
<u>სსსამართლო პრაქტიკის განვოგადება</u>	
თ. გერსამია — საშენებლო ობიექტებზე სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეთა განხილვის სსსამართლო პრაქტიკის შესახებ	41
თ. ჯაფარიძე — ავამალოთ სსსამართლოს კერძო განჩინებების ეფექტინეობა	47
<u>პროფილაქტიკა — მთავარი მიმართულება</u>	
ბ. ჯაოფილი — სამსკვეტო დაწესებულების როლი დანაშავეობის პროფი- ლაქტიკაში	50
<u>კადრები — ჩვენი მუდმივი საჭრუნავი</u>	
ბ. კოგანიძე — სიხლენი კადრების გადაზადებაში	55
<u>დისკუსია, კოლემიკა, რეკლიკა</u>	
ბ. სინხაულიძე — სამართლებრივი აქტების ენოგრივი სტილი	59
ბ. როკაბლიოვილი — საფინანსო კონტროლის გაუმჯოგებებისათვის	63
<u>ჩვენი პროფესიის ადამიანები</u>	
თ. ქრისტინიაშვილი — პირველი ლაუკმაბი	67
ვ. ძნელაძე — ნოტარიუსი	69
<u>კრიტიკა და ბიბლიოგრაფია</u>	
ბ. მერკვილიძე — გამოკვლევა ისტორიულ-პარტიულ და სამართლებრივ თემაზე	71
კლავს კოლკენი, ჰორსტ სემკონიკი — ორგანიზებული დანაშაულის სამყაროში	75



Взяточничество — тяжкое преступление	3
<b>Решения апрельского Пленума ЦК КПСС — в жизнь</b>	
А. Калмахелидзе — Совершенствовать идеологическо-воспитательную работу Советов	8
А. Анкваб — Политорганы министерства внутренних дел: первые шаги, задачи, проблемы	12
<b>Комментарии закона</b>	
С. Джорбенадзе — Реабилитация граждан, полный и неотвратимый акт	17
Г. Начкебия — Уголовная ответственность за угон воздушного судна	27
<b>Хозяйство и право</b>	
Н. Гиоргобiani — Максимально использовать правовые средства в повышении качества продукции	35
<b>Обобщение судебной практики</b>	
Т. Герсамия — О судебной практике по делам хищений государственной собственности на строительных объектах	41
Т. Джапаридзе — Повысить эффективность частных определений судов	47
<b>Главное направление — профилактика</b>	
В. Джаошвили — Роль экспертных учреждений в профилактике преступлений	50
<b>Кадрам — постоянная забота</b>	
М. Комахидзе — Новое в повышении квалификации работников органов юстиции	55
<b>Дискуссия, полемика, реплика</b>	
Г. Сихарулидзе — О стиле правовых актов	59
М. Рокетлишвили — Улучшить финансовый контроль	63
<b>Люди нашей профессии</b>	
О. Кристеснашвили — Первый лауреат	67
Н. Дзnelадзе — Нотариус	69
<b>Критика и библиография</b>	
В. Мерквиладзе — Исследование на исторически-партийную и правовую тему (о книге М. И. Куличенко «Создание и развитие СССР»)	71
Клаус Полькен, Хорст Сцепоник — В мире организованного преступления	75

**სარედაქციო კოლეგია:**

- ო. კაციატაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,  
 გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,  
 მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელაძე, ა. შუშანაშვილი,  
 ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1984 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი პლანეტის პრ. 103. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა წარმოებას 27.VI.84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.VIII.84 წ.,  
 ფორმატი 70×1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
 ფურცელი 7. საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 1421

ტირაჟი 24.600

უე 06660

ს.ქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.  
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# მექრთამეობა უმძიმესი დანაშაულია

18013

მექრთამეობა უმძიმესი თანამდებობრივი დანაშაული და ამავე დროს ერთ-ერთი უძველესი ბოროტებაა, რომელიც გაჩნდა სახელმწიფოსა და მისი მომსახურე აპარატის შექმნისთანავე. იგი სახელმწიფოს წარმოშობის ადრინდელ საფეხურზევე უაღრესად საშიშ და სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა.

მექრთამეობა ყველა ექსპლოატატორული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ავთვისებიანი დაავადებაა. კაპიტალისტური წყობილების პირობებში ქრთამის მიცემა ჩვეულებრივი ამბავია. როგორც მარქსი ამბობდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „ყიდვა-გაყიდვის იარაღად ხდება ყველა სახელმწიფო დაწესებულება, სენატი, სახელმწიფო მშენებლობა, რკინიგზები, ეროვნული გვარდიის გენერალური შტაბი უმცროსების გამოკლებით, ორლენელთა დინასტიის კონფისკაციკმნილი მამულები. მოსყიდვის საშუალებაა ყოველნაირი თანამდებობა არმიაში და მთავრობის აპარატში“<sup>1</sup>.

ცოტა ხნის წინათ მთელი მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილესი კომპანიის „ბოინგის“ მესვეურთა მიერ იაპონიისა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის მოქრთამვის ფაქტები. არავის არ გაკვირვებია, რომ ამ მძიმე დანაშაულში მხილებული პირები იოლად გადარჩნენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა საუკუნეობით დამკვიდრებულ სოციალურ ბოროტებას — მექრთამეობას. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა რევოლუციის მონაპოვრების დაცვა. ახალი სახელმწიფო აპარატის შექმნა, მისი ნორმალური ფუნქციონირება და ავტორიტეტის ამაღლება. ეს კი მაშინ გადამწყვეტი იყო, ვინაიდან, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „უაპარატოდ“ ჩვენ დიდი ხანია დავიღუპებოდით. თუ არ ვაწარმოეთ სისტემატური და შეუპოვარი ბრძოლა აპარატის გაუმჯობესებისათვის, ჩვენ დავიღუპებით სოციალიზმის ბაზის შექმნამდე“<sup>2</sup>. საბჭოთა ხელისუფლებამ მაშინვე აღმართა რევოლუციის მრისხანე მახვილი იმ უღირს პირთა მიმართ, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებზე მალა აყენებდნენ საკუთარ ანგარებით ინტერესებს, უღირსი ქცევით სახელს უტეხდნენ ახლად შექმნილ საბჭოთა აპარატს. ვ. ი. ლენინი, რომელიც უღმობელი და დაუნდობელი იყო მექრთამეთა მიმართ, 1918 წლის 1 მაისს იუსტიციის სახალხო კომისარს სწერდა, „საჭიროა, ახლავე, დემონსტრაციული სისწრაფით, შეიტანოთ კანონპროექტი, რომ სასჯელი ქრთამისათვის (მექრთამეობა, მოსყიდვა, შუამავლობა ქრთამის აღებაში და სხვა და ა. შ.).

უნდა იყოს  
სულ მცირე,

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწერები, ტ. 1, გვ. 14.  
<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 405.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბიბლიოტეკა

ათი წლის საპრობილო და, გარდა ამისა, ათი წლის იძულებითი მუშაობა“<sup>3</sup>.

ვ. ი. ლენინის მითითების შესაბამისად რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც მიიღეს დეკრეტი, რომელმაც მკაცრი სასჯელი დააწესა მექრთამეობისათვის. ამ დეკრეტს დიდი პოლიტიკური და გამაფრთხილებელი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მან მოსახლეობის ყურადღება მიაპყრო ამ მეტად მავნე სოციალურ ბოროტებას და შექმნა მექრთამეთა მიმართ შეურიგებლობის ატმოსფერო.

ჩვენს ქვეყანაში მექრთამეობასთან ბრძოლას თავიდანვე პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მექრთამეობის დაუძლეველად შეუძლებელი იყო საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის განხორციელება, სახელმწიფო აპარატის შეუფერხებელი და გამართული მუშაობა, დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვა, მოსახლეობის აღზრდა საბჭოთა კანონების პატივისცემის სულისკვეთებით, ვ. ი. ლენინი წერდა: „თუკი არებობს ისეთი მოვლენა, როგორცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ პოლიტიკის ნასახივც არ არის. აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდებული დარჩება და არავითარ შედეგს არ მოიტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელებლობის პირობებში. ასეთ პირობებში არავითარი პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება. აქ არ არის იმის ძირითადი პირობა, რომ შესაძლებელი იყოს კაცმა პოლიტიკას მოჰკიდოს ხელი“<sup>4</sup>.

ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ მოუთმენელი იყო სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობებს რაიმე ღმობიერება გამოეჩინათ მექრთამეთა მიმართ. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა: „ვთხოვთ, დღის წესრიგში დააყენოთ პარტიიდან მისი იმ წევრების გარიცხვის საკითხი, რომლებიც იყვნენ რა მოსამართლეებად მექრთამეთა საქმეზე (2.5. 1918 წ.), სადაც ქრთამის აღება დამტკიცდა და მექრთამეებმაც აღიარეს, ნაინც დაკმაყოფილდნენ 1/2 წლის პატიმრობის განაჩენით.

მექრთამეთა დახვრეტის ნაცვლად ასეთი სუსტი და რბილი განაჩენის გამოტანა სამარცხვინოა კომუნისტისა და რევოლუციონერებისათვის. ამნაირი ამხანაგები უნდა ვდევნოთ საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროთი და გავრიცხოთ პარტიიდან, რადგან მათი ადგილია კერენსკებისა და მარტოვების გვერდით და არა რევოლუციონერ კომუნისტთა გვერდით“<sup>5</sup>.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა არ მოხსნილა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების წლებშიც. კიდევ უფრო შეუწყნარებელია მექრთამეობა ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ პირობებში. სკკპ XXVI ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებები სამართალდაცვითი ორგანოების უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ ამოცანად თვლიან გაძლიერდეს ბრძოლა სახელმწიფო ქონების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ. ზოგს ჰგონია, თითქოს განვითარებული სოციალიზმის პირობებში ამ დანაშაულს სოციალუ-

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 352.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 72.

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 384.

რი საფუძველი არა ჰქონდეს და ამიტომ მათი საშიშროება მცირდებოდა. ეს მცდარი აზრია და იგი გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ. საჭიროა გვახსოვდეს, რომ სოციალისტური საზოგადოების დროებითი წინააღმდეგობანი, მართვის სფეროს ნაკლოვანებები, ქონებრივი განსხვავება, რომელიც არათანაბარი განაწილების პრინციპის შედეგია, აგრეთვე სხვა ფაქტორები, პირობებს უქმნიან მათს კვლავწარმოშობას.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თითქმის თორმეტი წელია დიდ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის, სოციალიზმის ყველა ანტიპოდის დაძლევისათვის, მათ შორის ისეთი საშიში დანაშაულის წინააღმდეგ, როგორც არის მექრთამეობა. ამ უკომპრომისო პოზიციას შედეგად მოჰყვა (რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება, მართლწესრიგის განმტკიცება, მექრთამეთა მიმართ საყოველთაო ზიზზის ატმოსფეროს შექმნა.

მაგრამ მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის დღევანდელი მასშტაბი მაინც ვერ დაგვაკმაყოფილებს.

განა ნორმალურია, რომ არის რაიონები, რომლებშიც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რეგისტრირებული არ ყოფილა მექრთამეობის არც ერთი შემთხვევა. მართო ამ ფაქტითაც კი შეიძლება ვიმსჯელოთ ქ. ჭიათურის, წითელწყაროს, ვანის, ორჯონიკიძის, ამბროლაურის, ახმეტის, ახალქალაქის და სხვა რაიონების ადმინისტრაციული ორგანოების საერთო საქმიანობაზე. აქტიურ ბრძოლას არ ეწევიან მექრთამეების წინააღმდეგ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაშიც.

აუცილებელია ყველგან შეიქმნას მექრთამეობასთან შეურიგებელი ბრძოლის ატმოსფერო. ყოველი ფაქტი მექრთამეობისა დროულად უნდა გახდეს შრომითი კოლექტივების, ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი და განხორციელდეს ღონისძიებანი მომავალში მათი თავიდან აცილებისათვის. ნაკარად უნდა მოეთხოვოთ იმ უწყებების ხელმძღვანელებს, რომელთა სისტემაშიც ხშირად ხდება მექრთამეობა და გამოძალვა. მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავების მაგალითს ჩვენ გვიჩვენებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სხვა პარტიული კომიტეტები, რომლებიც უაღრესად პრინციპულ, ნამდვილ პარტიულ შეფასებას აძლევენ მექრთამეობის თითოეულ ფაქტს.

ჩვენს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ბოლო ხანს მექრთამეობის შემთხვევები გამოვლენილია თვით სამართალდამცავ ორგანოებში. ამის გამო დაპატიმრებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული სიღნაღის რაიონის ყოფილი მოსამართლე ნ. ბურდული, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის ყოფილი მოსამართლე ნ. ხაჩატურიანი, ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი რ. ცივაძე და სხვები. ეს შეუწყნარებელია და ამ ფაქტებიდან საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანოს თითოეულმა ჩვენთაგანმა. მათ უნდა მივცეთ პრინციპული პოლიტიკური შეფასება და სამართალდამცავი ორგანოების ყველა რგოლის განხილვის საგნად ვაქციოთ.

იხაზია, რომ ქრთამის აღება ძნელად გამოსამკლავებელი ბოროტმოქმე-

დებდა. იგი მუდამ შენიღბულია, ხოლო ქრთამის ძირითად საგანს — ფულს არა აქვს ინდივიდუალური ნიშნები. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა უკვე შეიძინეს მექრთამეთა მხილების, ამ საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დიდი გამოცდილება. ფაქტები მოწმობს, თუ რა შეუძლია ამ მხრივ დროულად განხორციელებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს. არაერთი შეცდომა და ხარვეზი, რომლებსაც წინათ ვუშვებდით, ახლა აღარ მოგვდის, მაგრამ გასაყეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. პრაქტიკა მოწმობს, რომ მექრთამეობასთან ბრძოლის ზოგიერთ ასპექტს სათანადო ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, მექრთამეობა ხშირად დაკავშირებულია სახელმწიფო ქონების დატაცებასთან. მაკონტროლებული ორგანოების თანამდებობის პირები, რომლებიც მოვალენი არიან იდგნენ სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე, ადვილად ექცევიან ნაირ-ნაირი მაქინატორების გავლენის ქვეშ, ქრთამს იღებენ და არ ამხელენ სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს დატაცების ფაქტზე აღძრული ყველა საქმის გამოძიების დროს.

მექრთამეობის თავიდან აცილებაში, ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლის შესრულება შეუძლია პროკურატურის საქმიანობას საერთო ზედამხედველობის ხაზით. საჭიროა საერთო ზედამხედველობით განხორციელებული შემოწმების დროს ყურადღება მიექცეს, ხომ არ მუშაობენ მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობებზე ისეთი პირები, რომლებიც წარსულში გასამართლებული არიან ანგარებითი დანაშაულისათვის და ნდობას არ იმსახურებენ. უფრო პრინციპული დამოკიდებულება უნდა გამოვიჩინოთ იმ სამეურნეო ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან მატერიალურად პასუხისმგებელ და საკონტროლო-სარევიზიო თანამდებობებზე კადრების შერჩევასა და შემოწმებას, არ წმინდავენ თავის საწარმოსა თუ სისტემას იმ პირებისაგან, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო ქონების, ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა, ნედლეულისა და პროდუქციის სწორად აღრიცხვასა და შენახვას. ის სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებსაც სახელი აქვთ გატეხილი ამით და სამსახურებრივ მდგომარეობას ბოროტად იყენებენ, სამართალში უნდა იქნენ მიცემული, ხოლო შემოწმების, რევიზორების, ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი დარღვევები შრომითს კოლექტივებს ვაცნობოთ. ამავე დროს მხარი უნდა დავუჭიროოთ და წავახალისოთ ყველა, ვინც კეთილსინდისიერად ემსახურება საერთო საქმეს, აქტიურად ებრძვის მექრთამეობას, სახალხო დოვლათის დამტაცებლებს. ერთგულად ასრულებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას.

მექრთამეობას ხელს უწყობს აგრეთვე ბიუროკრატიზმი, დისციპლინის მოშლა, არაჯანსაღი ვითარება, რომლებიც ზოგიერთ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაშია შექმნილი. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მდგომარეობის გაჯანსაღება და მოქალაქეთა უფლებების შელახვა ხშირად ქრთამის გამოძალვის მიზნით ხდება. ამიტომ საერთო ზედამხედველობის ხაზით შემოწმების დროს გულდასმით უნდა დადგინდეს, როგორ იხილავენ ამ ობიექტებზე მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებს, რა ზომებს მიმართავენ მასში წამოჭრილი საკითხების დროული გადაწყვეტისათვის, იცავენ თუ არა მოქალაქეთა შრომის, საბინაო და კანონით გარანტირებულ სხვა უფლე-

ბებს. ყველა გამოვლენილ დარღვევებს კი დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი აკისრიათ სასამართლო ორგანოებს. მექრთამეობის საქმეთა სამართალშეფარდების პრაქტიკის გაუმჯობესებას და სასამართლო ორგანოების ბრძოლის გაძლიერებას ახალი სტიმული მისცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებამ „მექრთამეობის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, რომელიც 1977 წლის 23 სექტემბერს იქნა მიღებული. ამ დადგენილებამ, რომელიც ბევრ ახალ საინტერესო ნოველას შეიცავს, განმარტა მთელი რიგი საკითხები, მანამდე სადისკუსიო რომ იყო და სასამართლოებში ერთგვაროვნად არ წყდებოდა. პლენუმის დადგენილებამ ყველა ამ კითხვას მკაფიო და ამომწურავი პასუხი გასცა და ქვეყნის მასშტაბით ერთიანი პრაქტიკა დაამკვიდრა. მიუხედავად ამისა რესპუბლიკის ზოგიერთი სასამართლო დამაკმაყოფილებლად არ ასრულებს პლენუმის დადგენილებას, პასიურ პოზიციას ადგას, არ იჩენს საჭირო აქტიურობას მექრთამეობის ხელშემწყობი პირობების და მიზეზების გამოვლენისათვის, არ გამოაქვს ამის თაობაზე კერძო განჩინებები, არ განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას. ეს საყვედური ეკუთვნის სასამართლო ორგანოების ყველა რგოლს. მექრთამეობის საქმეებზე განჩინების დადგენის დროს ზოგიერთ სასამართლოს არ გამოაქვს კერძო განჩინებები, იმის თაობაზე, რომ ქრთამის მიმცემებს ჩამოერთვათ ქრთამის მეშვეობით მიღებული უკანონო სიკეთე და შეღავათი, რომლითაც სარგებლობს ან მომავალში შეუძლია ისარგებლოს. ეს დადებით გავლენას მოახდენდა მექრთამეობასთან ბრძოლის ეფექტიანობის [ამაღლებაზე. სასამართლოები იშვიათად აწყობენ გასვლითს სასამართლო პროცესებს მექრთამეობის საქმეებზე, არ ზრუნავენ ამ პროცესების მომზადებისათვის, არ აბამენ სამსჯავრო გამოძიებაში საზოგადოებრივ ბრალმდებლებს, რაც უეჭველად აქვეითებს პროცესების აღმზრდელობის მნიშვნელობას.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საკმარისად არ არის გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი მოქალაქის მორალური და სამართლებრივი განვითარების დონე დაბალია, რის გამოც იგი სწორად ვერ აფასებს მექრთამეობის მავნეობას, ნათლად არ ესმის მისი არსი. საჭიროა პრესის, ტელევიზიის, რადიოს მეშვეობით მოსახლეობას განვუმარტოთ მექრთამეობის ქიდი საზოგადოებრივი საშიშროება. მოსახლეობის ზოგადი სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლება სამართალდაცვითი ორგანოების ყველა მუშაკის ვალია და მას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის ურთულესი ამოცანის გადაწყვეტაში.

რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების ყველა რგოლი მოვალეა, შეიმუშაოს მექრთამეობასთან ბრძოლის კომპლექსური გეგმა უახლოესი წლებისათვის, კოორდინირებული მუშაობით და საზოგადოებრიობის დხმარებით ამხილოს მექრთამეები, სამართალში მისცეს და მკაცრად დასაჯონ ისინი, შექმნას მექრთამეთა მიმართ საყოველთაო ზიზღის ატმოსფერო.





**განკარგორცილოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის**

**აკრილის კლენუმის გადაწყვებთილებები**

**სრულყოთ საჭოეხის იდეოლოგიურ-  
აღმზრდელოგითი მუშაოეა**

ა. პალმანხელიძე,

საქართველოს სსრ უმადლეხი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმმა, სსრ კავშირის მეტერთმეტე მოწვევის უმადლეხი საბჭოს პირველმა სესიამ განსაზღვრა საბჭოების საქმიანობის ძირითადი მიმართულეებანი და დასახა მათი განხორციელეების გზები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმადლეხი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერენკოს გამოსვლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და სსრ კავშირის უმადლეხი საბჭოს სესიაზე შეიცავს საბჭოთა ეკონომიკის, სოციალისტური დემოკრატიის, განვითარებული სოციალიზმის, მთელი ჩვენი პოლიტიკური სისტემის განვითარების ღრმა მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა ხალხს სწორად გაიანზროს ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანები; დაძლიოს ახალი მიჯნები ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვან მოვლენათა რიგს განეკუთვნება აგრეთვე 1984 წლის 25 აპრილს გამართული რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელზეც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. შვეარდნაძე. მოხსენებაში დიდი ადვილი დაეთმო სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მათ მიერ კანონმდებლობის, მართვისა და კონტროლის ლენინური პრინციპის განუხრელი განხორციელეების ამოცანებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახალხო დეპუტატთა საბჭოების იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის საკითხებს. ამიტომ გასაგებია, თუ რაოდენ დიდი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი საბჭოებს იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმადლეხი საბჭოს პრეზიდიუმი ბოლო ხანს მრავალმხრივ მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით. საყურადღებოა, კერძოდ, მისი თანამშრომლდება საზოგადოება „ცოდნასთან“. საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურ გამგეობასთან შექმნილია საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შემდგომი გან-

ვითარების საკითხთა პრობაგანდის საპრობლემო ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას პროფესორი გივი ინჭკირველი, ხოლო სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პრობაგანდის სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ საბჭოსთან შექმნილია საბჭოთა მშენებლობის სექცია, რომელსაც პროფესორი ვალერიან ფარქოსაძე ხელმძღვანელობს. ჯგუფსა და სექციაში გაერთიანებული არიან სწავლული იურისტები და პრაქტიკული მუშაკები.

საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები რესპუბლიკის საბჭოთა მუშაკებისათვის მრავალფეროვან სალექციო-პრობაგანდისტულ საქმიანობას ეწევიან. მათთვის სისტემატურად ეწყობა თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, ლექციათა ციკლები, შეხვედრები პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებთან და სხვა. მაგალითად, მიმდინარე წელს გურჯაანში საინტერესო საღამო გაიმართა თემაზე „სკკპ XXVI ყრილობა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების შესახებ“, მცხეთაში მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ და სხვა.

ამასთან საზოგადოება „ცოდნა“ უშუალოდ მონაწილეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მოწყობილ ბევრ ღონისძიებაში. ამის დასადასტურებლად საკმარისი იქნება მოვიყვანო თუნდაც გასული წლის სექტემბერში გამართული ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება, რომელზეც საფუძვლიანი სჯა-ბაასი იყო იმის თაობაზე, თუ რა მზარდი როლი ეკისრებათ სახალხო დემუტატთა საბჭოებს უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო, სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

საზოგადოება „ცოდნის“ საბჭოთა მშენებლობის სექციის თითქმის ყველა წევრი მონაწილეობდა კრების მომზადებაში, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა რესპუბლიკური კრების მაღალი დონე. ასევე საგრძნობი იყო საზოგადოება „ცოდნის“ დახმარება რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისათვის, რომელმაც განიხილა საკითხი „საბჭოები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში“. ძალზე საინტერესოდ წარიმართა ყურნალ „სოვეტი ნაროდნიხ დემუტატოვის“ მკითხველთა კონფერენცია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საზოგადოება „ცოდნის“ წევრებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ და საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ შეიმუშავეს სამუშაო გეგმა და ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა, რომლის რეალიზაცია ხელს შეუწყობს ამ დარგში სალექციო საქმიანობის შემდგომ სრულყოფას.

საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები აქტიურად მონაწილეობენ სახალხო დემუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საბჭოთა მშენებლობის ორწლიან სკოლებსა და თბილისის სახალხო დემუტატების საქალაქო საბჭოსა და რაიადმასკომების მუშაკთა სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობებში. ეს უკანასკნელი გასულ სასწავლო წელს შეიქმნა. თავიანთ გა-



მოსვლებში ლექტორები ღრმად და საინტერესოდ აშუქებენ საბჭოების საქმიანობის ისეთ ძირითად პრობლემებს, როგორც არის მათი უფლებები და უფლებამოსილებანი, კანონმდებლობა, მართვისა და კონტროლის ერთიანობა, მასების ინიციატივა და შემოქმედება, საბჭოების როლი სამეურნეო მშენებლობაში, იდეურ-აღმზრდელით მუშაობაში, მუდმივი კომისიების საქმიანობა, სკოლის რეფორმა და სხვა.

საბჭოთა მუშაკებს დიდ დახმარებას უწევს საზოგადოება „ცოდნის“ მიერ გამოცემული ლიტერატურა. სულ ახლახან ლექტორთა დასახმარებლად გამოცა მეთოდოლოგიური მასალები: დოც. ა. ჩარკვიანის „სახალხო დებუტატთა საბჭოები განვითარებული სოციალიზმის პერიოდში“ და დოც. რ. ჭოლოშვილის „სახალხო დებუტატთა საბჭოების საქმიანობა და მათი არჩევითობის დემოკრატიული პრინციპები“. გათვალისწინებულია დაიბეჭდოს ბროშურები „დემოკრატიული ცენტრალიზმისა და სოციალისტური კანონიერების პრინციპები სახელმწიფოს ორგანოთა შექმნასა და საქმიანობაში“ და „საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება სოციალისტური მართვის განხორციელებაში“.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვაჭამებთ იდეურ-აღმზრდელით დარგში გაწეულ მუშაობას და განვიხილავთ მას აპრილის პლენუმის მასალების შესაბამისად, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით თუ რა სერიოზული ღონისძიებების განხორციელება გვმართებს, რათა დავძლიოთ ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

საბჭოთა მუშაკებს ლექციურმა პროპაგანდამ უპირველესად უნდა მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მას ყველაზე მეტად სჭირდება დღეისათვის, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ლექცია სადღეისო ინფორმაციას უნდა იძლეოდეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ თავის სიტყვაში სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე თქვა: „განა ჩვენში ჯეროვნად არის შესწავლილი აგროსამრეწველო კომპლექსის პირობებში საბჭოების საქმიანობის სპეციფიკა? აქ ხომ ასობით საკითხი, ათასობით ნიუანსები, როგორც არის საბჭოები და სოფლად სამრეწველო წარმოების განვითარება, საბჭოები და სამეურნეო დემოკრატიის გაფართოება, საბჭოები და კულტურული მშენებლობა და მრავალი სხვა. ყველა მათგანი კვალიფიციურ გააზრებას საჭიროებს“<sup>1</sup>. ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ უწინარესად, როცა საბჭოების როლის ამაღლებაზე ვფიქრობთ, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა, საზოგადოება „ცოდნამ“, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის წამყვანმა ინსტიტუტებმა, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისმა კათედრებმა დღეს სწორედ ეს პრობლემები უნდა დაამუშაონ და გააცნონ, განუმარტონ მასებს.

ადგილობრივი საბჭოების მუშაკთა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ დაგვანახვა, რომ ისინი სამსახურებრივი სპეციფიკის გამო საჭიროებენ იურიდიულ კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხზე, განსაკუთრებით საბინაო, საყოფაცხოვ-

<sup>1</sup> ე. ა. შევარდნაძე. ავამალლოთ საბჭოების როლი კომუნისტურ მშენებლობაში, თბილისი, 1983, გვ. 46.

რებო, კომუნალური, სოციალური უზრუნველყოფის, სადებუტატო მოღვაწეობის საკითხებზე.

ამიტომ აუცილებელია რესპუბლიკის მასშტაბით პერიოდულად მოეწყოს სწავლული იურისტების, იურიდიული სამსახურების ხელმძღვანელების შეხვედრა საოლქო, საქალაქო, რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოს მუშაკებთან. საზოგადოება „ცოდნამ“ უფრო მეტი ლექციები უნდა დაგეგმოს ამ კონტინგენტისათვის.

და კიდევ ერთი გარემოება, რასაც არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში. საბჭოთა მუშაკებისათვის ჩატარებულ ლექციებში, როდესც ლაპარაკია ისეთ პრობლემებზე, როგორც არის შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, სახალხო მეურნეობის მართვის თანამედროვე მეთოდები, დაგეგმვის პრაქტიკა და მეთოდოლოგია და სხვა, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი ფაქტობრივი მასალა. ხშირად ლექციები წმინდა თეორიული ხასიათისაა, ლექტორები სათანადოდ არ არიან გარკვეული საბჭოების პრაქტიკულ ცხოვრებაში.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა, საზოგადოება „ცოდნას“ უფრო მეტი ლექტორი მოემზადებინა უშუალოდ სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა რიგებიდან, რომლებიც უდავოდ დიდ სარგებლობას მოუტანდნენ ადგილობრივ საბჭოებს.

საბჭოების მუშაობა თანამედროვე ეტაპზე, როგორც ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა, მოითხოვს სალექციო პროპაგანდის შემდგომ სრულყოფას. დღეს უკვე საკმარისი არ არის ლექციების მარტოოდენ რაოდენობრივი მაჩვენებლები. საჭიროა მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის ხარისხი და მეცნიერული დონე, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ორგანიზაციულ-პროპაგანდისტული მუშაობა, რათა უფრო წარმატებით გადაწყდეს თანამედროვე ეტაპზე საბჭოების წინაშე დასახული ამოცანები.



## შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტორგანოები: პირველი ნაბიჯები, ამოცანები, პრობლემები

ა. ანკვაძე

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეიქმნა პოლიტიკური ორგანოები. ეს მოკლე ვადაც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მთელი სისრულით შევაფასოთ ამ გადაწყვეტილების საგანგებო მნიშვნელობა შინაგან საქმეთა ორგანოების ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.

პოლიტიკური ორგანოები მოწოდებული არიან ჩამოუყალიბონ პირად შემადგენლობას მაღალი იდეურობა, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, დავალებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. მათ თვისებრივად ახალ საფეხურზე უნდა აიყვანონ შინაგან საქმეთა ორგანოებში მთელი რღეუთ-აღმზრდელობითი საქმიანობა, ხელი შეუწყონ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით მილიციის მუშაობაში და რომლებიც საგრძნობლად აქვეითებს მათს ავტორიტეტს.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი სტრუქტურის შესახებ. რესპუბლიკაში პოლიტორგანოების მთელ მუშაობას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილება. ასეთი განყოფილებანი შეიქმნა აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის და ტრანსპორტის შინაგან საქმეთა სამმართველოებში. ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოში ჩამოყალიბებულია პოლიტნაწილი, ძირეულ ქვედანაყოფებში კი პოლიტმუშაობას ეწევიან უფროსების, მეთაურების მოადგილეები პოლიტიკურ ნაწილებში.

პოლიტორგანოები მთელი თავისი პრაქტიკული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ ზემდგომ პოლიტიკურ და პარტიულ ორგანოებს.

პოლიტმუშაკთა ძირითადი ამოცანაა შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობასთან კონკრეტული მუშაობა. ამიტომ ჩამოყალიბების პროცესში ჩვენ წინაშე მწვავედ დადგა პოლიტმუშაკთა კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხი, რომელიც, ბუნებრივია, არცთუ ისე მარტივია და ასე მოკლე ვადაში მისი მთლიანად გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. ეს პრობლემა დღესაც არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან, რაც უპირველესად აიხსნება იმ დიდი მოთხოვნებით, რომლებსაც პოლიტმუშაკს ვუყენებთ. ჩვენ, პარტიული კომიტეტების აზრის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა ბევრ საქალაქო და რაიონულ განყოფილებაში შევცვალეთ პოლიტმუშაკები, რომლებსაც არ ჰქონდათ ავტორიტეტი მილიციის კოლექტივებში, სერიოზულ გავლენას ვერ ახდენდნენ პირად შემადგენლობაზე, გულგრილად ეკიდებოდნენ სამუშაოს, არ ამწვავებ-



დნენ დამოკიდებულებას ნეგატიური მოვლენების მიმართ, არ იჩენდნენ გაბედულებას, ინიციატივასა და პრინციპულობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით პოლიტორგანოებში სამუშაოდ შეარჩიეს პარტიული და კომკავშირული მუშაკები. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები აქტიურად მონაწილეობდნენ მათს ფორმირებაში, პირადი შემადგენლობის აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში.

პოლიტმუშაკებს აქტიურად ეხმარებიან პარტიის თბილისის, ბათუმის, გორის, წყალტუბოს საქალაქო კომიტეტები, თელავის, ბორჯომის, მიააკოვსკის, ხაშურისა და სხვა რაიონული კომიტეტები.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინიციატივითა და მხარდაჭერით ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტორგანოებისა და ქვედანაყოფების აპარატში სამუშაოდ გაიგზავნენ მხოლოდ პარტიული და კომკავშირული მუშაკები. ვფიქრობთ, ეს დაგვეხმარება, რათა შესამჩნევად გავაძლიეროთ და გავააქტიუროთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

აღბათ მოვა დრო, და ჩვენ გვექნება პოლიტმუშაკთა მომზადებისა და აღზრდის საკუთარი სკოლა, მაღალკვალიფიციური კადრების დიდი რეზერვი. ხოლო მანამდე, ჭრატობით, საჭიროა ისინი მუშაობის პროცესშივე აღვზარდოთ.

ახლად შექმნილი პოლიტიკური აპარატები თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ეყრდნობიან პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერას.

პოლიტორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლება პარტიულ კომიტეტებთან ერთად უხელმძღვანელონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, რაც აღმზრდელი მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი პირობაა. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სისტემაში სულ არის 262 პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ჩვენ ყურადღებით შევისწვლეთ ცალ-ცალკე, თითოეულ რეგიონში არსებული სტრუქტურა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბევრ განყოფილებაში, სამსახურში და ქვედანაყოფში საჭიროა მისი სრულყოფა. ჩვენთან, მაგალითად, შეუწყნარებლად ცოტა გვყავს პარტიული ჯგუფები, მაშინ როდესაც მათი მეშვეობით შეგვიძლია უზრუნველვყოთ კომუნისტთა გავლენა ნებისმიერ უბანზე მომუშავე მუშაკებზე.

შინაგან საქმეთა ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების შერჩევის, სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკაც საჭიროებს სრულყოფას. საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ პარტიული ორგანიზაციის წინამძღოლებად ყოველთვის როდი ირჩევიდნენ ყველაზე უფრო ავტორიტეტულ, პოლიტიკური და პროფესიული თვალსაზრისით ყველაზე უფრო მომზადებულ კომუნისტებს.

პოლიტიკური განყოფილებების მთელმა აპარატმა სერიოზულად უნდა გააუმჯობესოს მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოების პარტიულ ბირთვთან, იზრუნოს ქვედანაყოფებებში პარტიული ფენის განმტკიცებისათვის. სკკპ წევრებად მიღების პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ზოგან ეს მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. პოლიტიკურმა აპარატებმა პარტიის ქალაქკომებთან და რაიკომებთან, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად გვემაზომიე-

რად უნდა იმუშაონ სკკპ რიგებში მისაღებად სისტემის ყველაზე საუკეთესო თანამშრომელთა შერჩევისათვის.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტაპარატმა პირველი დღეებიდანვე თავის კონტროლს დაუქვემდებარა სისტემაში პარტიულ-პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციის მთელი პროცესი. ჩვენ უკვე მოვისმინეთ შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელთა, პოლიტმუშაკთა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა ინფორმაციები იმ ღონისძიებათა შესახებ, რასაც ისინი ახორციელებენ პირად შემადგენლობასთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ჩვეულებრივად ამას წინ უსწრებდა ადგილებზე ჩასვლა იმ მიზნით, რათა გავცნობოდით საქმის ვითარებას და პრაქტიკული დახმარება აღმოგვეჩინა. ასეთი პრაქტიკა, ერთის მხრივ, გვეხმარება, რომ ვიცოდეთ ორგანოების თანამშრომლებთან აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და ამასთან ერთად ყველა რგოლის ხელმძღვანელი აქტიურად ჩაებათ აღზრდის პროცესში, განსაკუთრებით — ხელქვეითებთან ინდივიდუალურ მუშაობაში. მეორე მხრივ, ეს საშუალებას გვაძლევს საერთო ამოცანების გადასაწყვეტად დაერაზმით ხელმძღვანელობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

შარშანდელი და წინა წლების ანალიზიც გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში, დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ასეთი ვითარებაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ამასთან დაკავშირებით, განყოფილების აზრით, უპირველეს ყოვლისა საჭიროა განვამტკიცოთ დისციპლინა ცენტრალურ აპარატებში — სამინისტროებში და სამმართველოებში. ჩვენ უკვე ვახორციელებთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ამადლდეს სამმართველოების, განყოფილებების, სამსახურების უფროსების, საქალაქო და რაიონული განყოფილების უფროსების პერსონალური პასუხისმგებლობა. ბევრი მათგანის ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ სამმართველოებში, სამსახურებში, ქვედანაყოფებში, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, მოიკოტლებს სამსახურებრივი და პარტიული დისციპლინა. ხშირად იშლება პოლიტსწავლების მეცადინეობები, რეგულარულად არ იმართება პარტიული და კომკავშირული კრებები. ბევრი ხელმძღვანელი შემრიგებლურ დამოკიდებულებას იჩენს დამრღვევთა მიმართ. ამის შესახებ პრინციპული საუბარი გაიმართა კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, როდესაც შეჯამდა სამინისტროს, საქალაქო და რაიონული ორგანოების 1983 წლის მუშაობის შედეგები.

ყველა პოლიტმუშაკს დაევალა ყოველკვირეულად შეაჯამოს მუშაობა, რომელსაც ეწევიან სოციალისტური კანონიერებისა და დისციპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად. მისი მიზანი ის არის, რომ შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული ორგანოების კოლექტივებს, ხელმძღვანელობას, პარტიულ ორგანიზაციებს, სამსახურების უფროსებს სისტემატურად მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ასე, მაგალითად, შინაგან საქმეთა რუსთავის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტანწილში, პარ-

ტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებთან, იდეოლოგიურ აქტივთან ერთად, ყოველკვირეულად სწავლობს დისციპლინის მდგომარეობას კონკრეტულად, სამსახურების მიხედვით და შემუშავებულ საერთო აზრს ორშაბათობით ახსენებს განყოფილების უფროსს. ეს პრაქტიკა შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა რგოლში დაინერგება.

ამ ეტაპზე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ სათანადო საზოგადოებრივი აზრი შევქმნათ პოლიტიკური ორგანოების მუშაობის შესახებ. ეს, ჯერ ერთი, საჭიროა იმისათვის, რომ ყველასათვის გასაგები იყოს ჩვენი ფუნქციები და როლი. მეორეც, იდეოლოგიური ღონისძიებების მეშვეობით განვახორციელოთ ის ამოცანები, რომლებიც პარტიამ დაგვისახა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ შინაარსის გამდიდრებას, მის ფურცლებზე უფრო მწვავე, პრობლემური მასალების გამოქვეყნებას, აგრეთვე კორესპონდენციებს, რომლებიც პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებას აშუქებენ.

თავის მხრივ, საქალაქო და რაიონული ორგანოების უფროსების მოადგილეებს პოლიტნაწილში მიეცათ ორიენტაცია უფრო აქტიურად გამოიყენონ ადგილობრივი გაზეთებისა და რადიოს შესაძლებლობანი, რათა შრომითი კოლექტივები მუდმივად იყვნენ ინფორმირებული იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხორციელდება მილიციის საქმიანობის საზოგადოებრივი გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად წარმოებს მუშაობა კომპლექსური ღონისძიებების შესაშუშავებლად, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. მათი დახმარებით ჩვენ ავამაღლებთ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა პროფესიულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეს, საერთო კულტურას, აგრეთვე გავლენას მოვახდენთ საზოგადოებრივ აზრზე.

პოლიტპარტიების იდეოლოგიურ საქმიანობაში უფრო ეფექტიანად უნდა ვიყენებდეთ აქტივს, რომელიც შინაგან საქმეთა ყოველ ქვედანაყოფში გვყავს.

ჩვენ წინაშე ამჟამად დგას სერიოზული ამოცანა: ავამაღლოთ პირადი შემადგენლობის მარქსისტულ-ლენინური მომზადების დონე და პოლიტიკური სწავლების ქმედობა. სასწავლო წელი პოლიტგანათლების სისტემაში მალე დამთავრდება. შემაჯამებელი მეცადინეობები ჩვენთან გაიმართება ივლისში.

დიდი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი პოლიტორგანოებს ახალგაზრდა შევსების აღზრდის საქმეში. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში 30 წლამდე ასაკის თანამშრომლები დღეს პირადი შემადგენლობის უმეტესობას შეადგენენ. ორგანოებში დაახლოებით 5 ათასი კომკავშირელი მუშაობს. კომკავშირის კომიტეტის რეკომენდაციებით მილიციაში სამსახურს იწყებს ახლად მიღებულთა დიდი რაოდენობა. მაგრამ პოლიტმუშაკები, პარტიული ორგანიზაციები არასაკმარისად, უინიციატივოდ ხელმძღვანელობენ მილიციის კომკავშირის საქმიანობას, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ახალგაზრდა შევსების ადაპტაციის პერიოდს. ეს იწვევს დიდ დენადობას. ყოველწლიურად ჩვენი ორგანოებიდან მიდის ათობით ახალგაზრდა მილიციელი, ბევრი მათგანი — უარყოფითი დახასიათებით.



ამასთან დაკავშირებით პოლიტნაწილში მოადგილეების, განყოფილებათა უფროსების წინაშე ჩვენ ვაყენებთ ამოცანას, იმდაგვარად წარმართონ კომკავშირული ორგანიზაციების, კომიტეტების, ბიუროების მუშაობა, რომ არც ერთი კომკავშირელი, რომელიც ჩვენთან მსახურობს, არ დაჩრჩეს უყურადღებოდ.

ასეთივე ამოცანები დაუუსახეთ პარტიულ ორგანიზაციებსაც. კომკავშირისათვის ყოველდღიური პარტიული მზრუნველობის გამოვლენა დიდ რუდუნებას მოითხოვს. ამაში უნდა მონაწილეობდეს ყველა კომუნისტი, განურჩევლად სამსახურებრივი მდგომარეობისა.

შინაგან საქმეთა ორგანოებში კომკავშირული მუშაობის ამგვარ და სხვა საკითხებზე ლაპარაკი იყო აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროების პოლიტიკურ განყოფილებათა უფროსების თანაშემწეებისა და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების სემინარზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა ქ. თბილისში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით.

ამ მხრივ ჩვენთვის ნათელი ორიენტირია დებულებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა საბჭოთა არმიის კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების თათბირზე.

ასეთია მოკლედ საწყის ეტაპზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების, პოლიტაპარატების მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ორგანოების ფორმირების და მუშაობის პირველი შედეგები წლეულს 24 აპრილს განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ. ანგარიშის განხილვის საფუძველზე, ახლად შექმნილი პოლიტაპარატის საქმიანობის დიდი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად სამდივნომ დასაზა კონკრეტული ღონისძიებანი. სამდივნოზე ხაზგასმით ითქვა, რომ პოლიტიკური ორგანოების საქმიანობის შეფასების მთავარ საზომად უნდა იქცეს სოციალისტური მართლწესრიგის განსამტკიცებლად და დამნაშავეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ მიღწეული მუშაობის საბოლოო შედეგები. ჩვენ, პარტიულ კომიტეტებთან ერთად, დაგვევალა ნიადაგ ვაძლიერებდეთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ქმედითობას, მჭიდროდ ვუკავშირებდეთ მას ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის სრულყოფის, დისციპლინის განმტკიცების, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებსა და ქვედანაყოფებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების ამოცანებს. ამ მოთხოვნათა შესასრულებლად მუშაობს დღეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტორგანოების მთელი აპარატი.

# მოქალაქის რეაბილიტაცია სრული და შეუქცევადი აქტია

ს. ჯორჯანიძე

მეორე წერილი

18.013

ყოველ ადამიანურ საქმიანობას შეიძლება თან სდევდეს შეცდომა. იგი შეიძლება ახლდეს ისეთ რთულ მოღვაწეობასაც, როგორც არის სა-მართალდაცვითი ორგანოების საქმიანობა (ზოგჯერ ძნელიც არის მკვეთ-რად გავმიჯნოთ სახელდობრ რომელი თანამდებობის პირის შეცდომამ შეასრულა ვადამწყვეტი როლი უკანონო ზარალის მიყენებაში)<sup>23</sup>. „კანონმ-დებლობის დეტალური რეგლამენტაცია“ ვერ უზრუნველყოფს საგამოძიებო-სა-სამართლო შეცდომის თავიდან აცილებას. ცუდი ის კი არ არის, წინასწარ ვა-ლიართ, რომ შესაძლებელია სასამართლო-საგამოძიებო შეცდომა, არამედ ის, რომ გავამართლოთ დაშვებული შეცდომა. ამდენად მომხდარი შეცდომა თავისთავად როდია საშიში. საშიშია მისი დაცვა, დაშვებული შეცდომის გამარ-თლება, რაც ჩვეულებრივ შემდეგში უფრო მძიმე შეცდომის პირობა ხდება. როგორც სწორად აღნიშნავს ამ საკითხების მკვლევარი ნ. ნ. ვოპლენკო, სამარ-თალშეფარდებითი შეცდომები საკმაოდ გავრცელებულია. ამ შეცდომებს და, მაშასადამე, დარღვევებს აქვს სხვადასხვა მიზეზები“<sup>24</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის დადგენი-ლებაში 1978 წლის 3 თებერვალს „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და სასამართლო მოღვაწეობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები“ აღნიშნა, რომ სასამართლოებმა „განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა გამო-ირიცხოს სასამართლო შეცდომები, განსაკუთრებით კი, რათა არ მოხდეს უდანაშაულო პირების მსჯავრდადება, რაც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ყველაზე უხეში დარღვევა“<sup>25</sup>. 1979 წლის 7 დეკემბერს უმაღ-ლესი სასამართლოს პლენუმმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ „სასამართლო-ებმა უნდა განახორციელონ ყველა ღონისძიება სასამართლო შეცდომების გამორიცხვისათვის, განსაკუთრებით კი რომ არ მოხდეს უდანაშაულო პირების მსჯავრდადება, რომელიც მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების ყველა-ზე უხეში დარღვევა“<sup>26</sup>.

<sup>23</sup> К. Б. Ярошенко, Возмещение вреда, причиненного гражданам действиями должностных лиц, «Советское государство и право», 1982, № 8, стр. 138.

<sup>24</sup> Н. Н. Вопленко, Ошибки в правоприменении: понятие и виды. — «Советское государство и право», 1981, № 4, стр. 41.

<sup>25</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1978, № 2, стр. 13.

<sup>26</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1980, № 2, стр. 251.

საგამოძიებო-პროკურატურის ორგანოებიც ასევე უნდა ისწრაფვოდნენ თავიდან აიცილონ შეცდომები, როცა საქმე ეხება ექვმიტანილის წინასწარ პატიმრობაში აყვანას: ზოგჯერ დაუსაბუთებლად წინასწარ პატიმრობაში აყვანას, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ვ. დავიდოვი და ა. საქსონოვი — შეუქმნია ტრაგიკული სიტუაციები, იგი უფრო მძიმე აღმოჩენილა მისთვის დანიშნულ სასჯელთან შედარებით<sup>27</sup>.

ჯერ კიდევ ფ. ე. ძერჟინსკის მონაწილეობით შედგენილ ინსტრუქციაში „ჩხრეკისა და დაპატიმრების წარმოების შესახებ“ აღნიშნული იყო, რომ სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით „არის ბოროტება“, „ამიტომ დაე ყველა, ვისაც რწმუნება აქვს... წაართვას ადამიანს თავისუფლება და ამყოფოს იგი ციხეში — ფრთხილად მოეპყროს ადამიანებს“<sup>28</sup>. საბჭოთა სახელმწიფო იძულებულია ზემოქმედების სხვადასხვა ღონისძიება გამოიყენოს სამართალდამრღვევთა მიმართ, მათ შორის აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრებაც, როცა ეს გარდაუვალია, რათა ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართლის საქმეზე კვლევით დადგენას. მაგრამ ეს მკაცრად არის რეგლამენტირებული და განსაკუთრებით დეტალურად დამუშავდა სწორედ უკანასკნელ წლებში.

ამ წესების დარღვევისათვის შეიძლება დადგეს თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით.

აღნიშნულ საპროცესო სამართლებრივ ლიტერატურაში სწორად არის მითითებული, რომ ალბათობა შეცდომის დაშვებისა მეტია მაშინ, როცა პირი დაკავებულია მომხდარი ქმედობის „ცხელ კვალზე“<sup>29</sup>. აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდებამ შეიძლება შემდგომ ზეგავლენა მოახდინოს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნაზე<sup>30</sup>.

ა. ლ. ცვეტინოვიჩმა ამ საკითხის გამო მოსამართლეების ანკეტირება მოახდინა. გამოკითხულ მოსამართლეთა 83,1 პროცენტმა უჩვენა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს პირის თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრაში გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შერჩეული. ავტორი ამას ხსნის სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფაქტორით: მოსამართლე კრიტიკულად არ უდგება პროკურორის გადაწყვეტილებას წინასწარი გამოძიების პერიოდში, ან არ სურს კონფლიქტი პროკურატურასთან. ასეთი პირისათვის სასამართლოს მიერ არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება პრაქტიკაში ხშირად შეფასებულია როგორც გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიების შერჩევის დროს დაშვებული შეცდომა. ეს ყოველთვის არ არის სწორი. ა. ლ. ცვეტინოვიჩის აზრით, უნდა შემუშავდეს დაპატიმრების სანქციის გაცემის თაობაზე პროკურორის მუშაობის შეფასების სხვაგვარი კრიტერიუმები. მას საფუძვლად უნდა დაედოს არა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, არამედ იმ სიტუაციის შეფასება, რომელიც იყო წინასწარი გამოძიების პერიოდში, რამაც კანონის შესაბამისად მოითხოვა პირის

<sup>27</sup> В. Давыдов, А. Саксонов, Заключение под стражу, как мера пресечения осужденному — «Социалистическая законность», 1976, № 7, стр. 60—61.

<sup>28</sup> Из истории ВЧК (Сборник документов), 1958, М., стр. 104.

<sup>29</sup> Б. Т. Безлепкии, Возмещение вреда..., стр. 29.

<sup>30</sup> И. И. Карпец, Наказание. Социальные, правовые и криминологические проблемы, 1973, М., стр. 124.

წინასწარი პატიმრობა. ამასთან პროკურორი არ უნდა შიშობდეს შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების თაობაზე<sup>31</sup>.

აქვე უნდა ითქვას, რომ საკასაციო ინსტანციის მიერ შეცვლილი ან გაუქმებული განაჩენი ყოველთვის არ შეიძლება მინუსად ჩაეთვალოს მოსამართლეს. საგამოძიებო და სასამართლო შეცდომა ზოგჯერ საქმის სირთულით არის გამოწვეული და არა თანამდებობის პირის განზრახვით თუ დაუდევრობით. ეს არ ნიშნავს, რომ საგამოძიებო-სასამართლო შეცდომა გარდაუვალია. არავის არა აქვს შეცდომის არც იურიდიული და არც მორალური უფლება, მაგრამ იგი შეიძლება მაინც მოხდეს. ამისათვის არის სწორედ შემუშავებული მოქალაქის სრული რეაბილიტაციის ნორმები, რომლებიც იძულებითი აუცილებლობისათვის არის გამიზნული და არა მოსალოდნელი შეცდომის წინასწარი გამართლებისათვის. 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულებამ, რომელმაც დაადგინა „ზრალის მიუხედავად“ ზარალის ანაზღაურება, გაწყვიტა ფატალურად შეკრული ჯაჭვი: თუ მოქალაქე გამართლდებოდა, მაშინ თანამდებობის პირებს სამსახურებრივი უსიამოვნება არ ასცდებოდათ. ამიტომ თანამდებობის პირებს ხელს აძლევდა, რომ არ მომხდარიყო პირის გამართლება, არ დამდგარიყო ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტით თანამდებობის პირს „შეუძლია სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებისას თავისი მოღვაწეობა და შესაბამისი რწმუნებულება განახორციელოს არაბიუროკრატიულად, აუცილებელი თანამიმდევრობით, თავის დაზღვევის გარეშე, იმგვარად, რომ არ ჰქონდეს შიში არაბრალეულად მიყენებული ზიანისათვის მოუწყვეს პირადი პასუხისმგებლობა“<sup>32</sup>. საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა არა მარტო შებოჭავდა თანამდებობის პირის ინიციატივას, არამედ „ზოგჯერ გამოიწვევდა კეთილსინდისიერ თანამშრომელთა პირდაპირ და უსამართლო დარბევას“<sup>33</sup>.

სახელმწიფო ანაზღაურების ვალდებულებას კისრულობს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების არა ყველა უკანონო მოქმედებისათვის, არამედ მხოლოდ უკანონო მსჯავრდადებისათვის, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებებაში უკანონო მიცემისათვის დაპატიმრების უკანონოდ გამოყენებისათვის. ყველა სხვა ზარალისათვის ეს ორგანოები პასუხს აგებენ 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულების პირველი მუხლით (სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 89-ე მუხლის პირველი ნაწილით)<sup>34</sup>, ამასთან მოქალაქის ეს უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ქმედობის არარსებობის, ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის ან დანაშაულის ჩადენაში მოქალაქის მონაწილეობის დაუშვებლობის გამო, აგრეთვე თუ შეწყვეტილია საქმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

<sup>31</sup> А. Л. Цветинович, Некоторые аспекты соотношения институтов уголовного и уголовно-процессуального права — Сборник «Развитие науки и практики уголовного судопроизводства в свете требований Конституции СССР», 1978, М., стр. 108—109.

<sup>32</sup> Г. Дуквиц, Материальная ответственность государства перед гражданином, сборник «Правовые основы ответственности в Управлении СССР и ГДР», 1981, М., стр. 88.

<sup>33</sup> Б. Т. Безленкин, Возмещение вреда..., стр. 109.

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში დიდი ხანია დევას იწვევს ცნება „დანაშაულის ჩადენაში მოქალაქის მონაწილეობის დაუმტკიცებლობა“. რამდენად უთანაბრდება ეს სრული რეაბილიტაციის ცნებას, ხომ არ გვაქვს ამ დროს „ნახევრად რეაბილიტაცია“? როგორც უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხზე, იურიდიულად აქ საქმე გვაქვს სრულ რეაბილიტაციასთან<sup>35</sup>.

საყურნალო სტატიის ფარგლები საშუალებას არ იძლევა დაწვრილებით შევეხებით ქონებრივი ზარალის ანაზღაურებას, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეობას. უკანასკნელ წლებში იურიდიული პასუხისმგებლობის შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ პრობლემის საკვანძო საკითხები კვლავაც მწვავე დისკუსიის საგანია. კარგად ამბობს ამის გამო ო. ლეისტი: „საგანგაშოა არა იმდენად თვალსაზრისთა და პასუხისმგებლობის განმარტების სიუხვე, რამდენადაც ზოგიერთი მათგანის აბსტრაქტულობა, მისი მოწყვეტა მოქმედი კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკისაგან. რასაკვირველია, სამართლის თეორიის ამოცანა არ არის ნორმატიული აქტების კომენტირება, მაგრამ, უდავოა, რომ იგი იმდენად არ უნდა მოსწყდეს სამართლებრივ რეალობას, რომ კვლევის ერთი საგანი მეორეთი შეცვალოს“<sup>34</sup>.

რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როცა ქონებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაცია ემთხვევა სანქციის გახზორციელებას, შეიძლება ლაპარაკი ცალკე დაცვით სამართალური თერობაზე, რომელიც მკიდროდ არის დაკავშირებული იურიდიულ პასუხისმგებლობასთან, თუმცა მისგან არსებითად განსხვავდება<sup>37</sup>. ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მიერ მოქალაქისათვის სამოქალაქო კანონმდებლობის 89-ე მუხლის მეორე ნაწილით ზარალის ანაზღაურება უნდა განვიხილოთ პასუხისმგებლობად სამოქალაქო სამართლებრივი დელიქტური პასუხისმგებლობის ვალდებულების მოდელის მიხედვით<sup>38</sup>.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ „პასუხისმგებლობის“ ცნებას სრულიად სხვადასხვა შინაარსს ანიჭებენ არა მარტო სხვადასხვა ავტორები, არამედ თვით ნორმატიული აქტებიც. სამართლიანად წერს ს. ნ. ბრატუსი: „ტერმინი „პასუხისმგებლობა“ იხმარება სხვადასხვა აზრით — ეს ომონიმია, რომელიც სხვადასხვა ცნებას გამოხატავს სხვადასხვა შინაარსით“<sup>39</sup>.

საბჭოთა სახელმწიფოს ვალდებულება ზარალის ანაზღაურებისათვის, რო-

<sup>34</sup> М. Г. Маркова, Ответственность органов дознания, следствия прокуратуры и суда — «Правоведение» 1969, № 4, стр. 107.

<sup>35</sup> Я. О. Мотовиловкер, Основания прекращения уголовного дела по реабилитирующим лицом мотивом — «Советское государство и право», 1979, № 2, стр. 23.

<sup>36</sup> О. Э. Лейст, Санкции и ответственность по советскому праву, 1982, М., стр. 119.

<sup>37</sup> С. С. Алексеев, Общая теория социалистического права, 1964 Свердловск, стр. 182.

<sup>38</sup> О. Л. Лейст, Санкции в советском праве, 1962, М., стр. 79.

ამიტომ ძნელია დავითანხმობთ 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულების შემდეგ განმარტებას, რომ თავისი სამართლებრივი ბუნებით. ამ შემთხვევაში მატერიალური ზარალის ანაზღაურება წარმოადგენს მოქალაქე სუფლების დაცვის ღონისძიებას და არა მატერიალურ პასუხისმგებლობის ზომას იხ.

П. Р. Ставиский, Материальная ответственность за незаконное отстранение от работы. Правоведение, 1982, № 1, стр. 71.

<sup>39</sup> «Советское государство и право», 1982, № 5, стр. 142.

მელიც მოქალაქეებს მიადგა საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების უკანონო მოქმედებით, უპირობოა, ე. ი. იგი დგება ყოველთვის, როდესაც არის უკანონობა და დამდგარი შედეგი მიზეზობრივ კავშირშია თანამდებობის პირების მოქმედებასთან.

არაფერი არ ათავისუფლებს სახელმწიფოს<sup>40</sup> ზარალის ანაზღაურებისაგან, ერთდერითი საფუძვლის გარდა, ეს არის დაზარალებული პირის მხრივ თვითგანთქმა — დაზარალებულის ბრალის სპეციფიკური სახე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულებით, „ზარალის ანაზღაურება არ მოხდება, თუ მოქალაქე მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის პროცესში თვითგანთქმის გზით ხელს უშლიდა საქმეზე კომპარტების დადგენას და ამით ხელს უწყობდა ზარალის დადგომას“.

ბრძანებულება სერიოზულ სანქციას ითვალისწინებს თვითგანთქმისათვის. დაზარალებულს უფლება ერთმევა აინაზღაუროს ზარალი. ეს არის ცრუ აღიარების აღმოფხვრის ქმედითი საშუალება. თვითგანთქმის ცნება პირველად იხმარა საბჭოთა კანონმდებლობამ, ამ ცნებას მიეძღვნა რამდენიმე საყოფრანგლო სტატია<sup>41</sup>, მაგრამ საკითხი კვლავაც მოითხოვს შესწავლას, შესაძლოა თვითგანთქმა მიღწეულია მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, თანამდებობის პირთა უკანონო ზემოქმედებით. ცრუ აღიარება იძულებით, დაშინებით, მოტყუების გზით არ უნდა ართმევდეს რეაბილიტირებულს უფლებას მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული 1982 წლის 2 მარტის ინსტრუქციაში, რომლის მე-8 პუნქტით თვითგანთქმა არ გახდება საფუძველი ზარალის ანაზღაურებისაგან გათავისუფლებისა; თუკი იგი „მოქალაქისადმი ძალადობის, მუქარის ანდა სახვა უკანონო ღონისძიების შედეგია“.

თვითგანთქმა მკვეთრად განსხვავდება დუმილისაგან. სამართლის მიხედვით დუმილი ყოველთვის როდია თანხმობის ნიშანი.

ძველისძველი წესია: „ვინც დუმს, არ უარყოფს, მაგრამ ამით უსათუოდ როდი აღიარებს“.

მასასადამე, თვითგანთქმა არის განზრახი მოქმედება. იგი არ არის ჩვენების მიცემაზე უარის თქმა და, მით უფრო, — დუმილი. ამიტომ უნდა დადგინდეს თვითგანთქმის მიზეზები და მოტივები.

თვითგანთქმა სხვადასხვა მოტივით შეიძლება იყოს გამოწვეული. მოვიყ-

<sup>40</sup> ზარალის ანაზღაურებისაგან განთავისუფლების განსხვავებული საფუძვლებია სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფოებში იხ.

В. Т. Нор, Имущественная ответственность за неправильные действия, стр. 211—219.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ორგანოთა პასუხისმგებლობის შესახებ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალისათვის.

იხ. А. А. Жданов., Об ответственности буржуазного государства за действия должностных лиц — «Правоведение», 1973; № 6, стр. 79—83.

<sup>41</sup> И. Петрухин, Самооговор, «Советская юстиция», 1970, № 13, Т. А. Скотникова, Самооговор. Судебно-психологические исследования, в кн. «Материалы к I Всероссийской конференции по судебной психологии», 1971, М., В. Фельдлюм, Уголовно-правовые последствия самооговора «Советская юстиция», 1973, № 13.

М. С. Строгович, Признание обвиняемым своей вины в качестве судебного доказательства, «Советское государство и право», 1982, № 4, стр. 74.

ვანთ ერთ ყველაზე რელიგიურ მაგალითს. ძარცვის ბრალდებით მსჯავრდა დებულ იქნა მოქალაქე ს. მილეშკინი. ამ საქმის ზედმხედველობის წესით განხილვის დროს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დადგენილად ჩათვალა, რომ ს. მილეშკინს დანაშაული კი არ ჩაუდენია, არამედ შემნახველ სალაროში ძარცვის ინსცენირება მოახდინა, რათა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ და ამ გზით შეძლებოდა იძულებითი წესით ემკურნალა ალკოპოლიზმისაგან. დაპატიმრების ორი წლის შემდეგ ს. მილეშკინი რეაბილიტირებულ იქნა მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო<sup>42</sup>.

რასაკვირველია, ს. მილეშკინს უფლება არა აქვს მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც თავისუფლების აღკვეთით განიცადა. მაგრამ სწორია თუ არა მისი რეაბილიტაცია? ამ კითხვას მხოლოდ ერთნიშნა პასუხი შეიძლება გაეცეს: არა მარტო სწორია, არამედ აუცილებელიც. საკმარისია, რომ მას უარი ეთქვა ქონებრივი ზიანის კომპენსაციაზე, იმის გამო, რომ გამოძიება და მართლმსაჯულება ყალბი გზით წარმართა. მანვე უნდა იკისროს წინდაუხედაობის რისკი, მაგრამ ერთხელ დაშვებულმა შეცდომამ არ უნდა გამოიწვიოს პირის სამუდამო გახვევა დამნაშავის სამოსელში. თვითგანთქმისათვის საბჭოთა კანონმდებლობით სასჯელი არ არის გათვალისწინებული, პირიქით, შეუფალად მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფცია, ე. ი. მოქალაქეს არ ევალება ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალეულობის მტკიცების მთელი ტვირთი შესაბამის სახელმწიფო ოთგანოს ეკისრება. ამით ექვემდებარება თუ ბრალდებულის მდგომარეობა პრინციპულად განსხვავდება მოწმის მდგომარეობისაგან. ექვემდებარება, ბრალდებულს უფლება აქვს დუმდეს, უსწორო ჩვენებას იძლეოდეს, რამდენადაც ამას, მისი აზრით, თავდაცვის მიზანი აქვს, აქვე უნდა გავიხსენოთ ის, რომ პირის მიერ ბრალის აუღიარებლობა არ ითვლება დამამძიმებელ გარემოებად.

თანამდებობის პირი კი ბრალდებულის ქცევის მიუხედავად უნდა აგროვებდეს მტკიცებულებებს ბრალდების დასადგენად. ამასთან დაკავშირებით ვ. ნ. კუდრიავეცივი ამბობს: „მოქალაქის ქცევა გარანტირებულია კანონით იმ შემთხვევაშიც, როცა თანამდებობის პირისათვის იგი არ არის ნებადართული; პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წარმომადგენლებისა უფრო მაღალია, ვიდრე მოქალაქეებისა“<sup>43</sup>. არ შეიძლება „მაგალითად, გამომძიებელმა მიუთითოს, თუ რა უკიდურესი აუცილებლობის გამო მიმართა მან დაკითხვის დროს იძულებას იმისათვის, რომ გაეხსნა მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმე. ასეთი გამომძიებელი პასუხს აგებს“<sup>44</sup>.

წინათაც და ამჟამადაც საეჭვოდ არის მიჩნეული, რამდენად სწორია მტკიცება სისხლის სამართლის პროცესში, თითქოს პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული „იძენს მხოლოდ უფლებებს“<sup>45</sup>, და არავითარ მოვალეობებს. აქ ყოველთვის ლაპარაკია იმ უფლებებზე, რომლებიც ემსახურება ბრალდებულის ინტერესებს, რათა თავი იმართლოს. სხვანაირად სისხლისსამართლებრივი საპროცესო გარანტიები დაკარგავდა თავის აზრს და ბევრი რამ წინასწარ გადაწ-

<sup>42</sup> Судебная практика Верховного Суда СССР, 1972, № 5, стр. 27—28.

<sup>43</sup> В. Н. Кудрявцев, Правовое поведение: норма и патология... стр. 222.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>45</sup> «Советское государство и право», 1982, № 5, стр. 144.

ვეტილი აღმოჩნდებოდა. შეხედულებამ, რომ საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში ბრალდებულის ჩვენებამ არ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია მტკიცებულების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისათვის<sup>46</sup>. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი არის არა თავისთავად თვითგანთქმა, არამედ ის, რამაც ხელი შეუშალა ქვეშარიტების დადგენას და ამით გამოიწვია ზიანი.

1981 წლის 18 მაისის ბრძანებულებაში ქონებრივი ზარალის ანაზღაურებასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა მოქალაქის პირადი უფლებების სრულ აღდგენას.

დებულების მე-2 მუხლით ანაზღაურებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის ზიანი:

1. ხელფასები და სხვა შრომითი შემოსავალი, რომლებიც მოქალაქის საარსებო საშუალებათა ძირითადი წყაროა და რომლებიც მან დაკარგა უკანონო მოქმედების შედეგად. ამ ზარალის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

2. პენსია ან შემწეობა, რომელთა გადახდა შეჩერებულ იქნა თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან დაკავშირებით. პენსიას ან შემწეობას იხდიან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ან სხვა შესაბამისი ორგანოები მოქალაქის საცხოვრებელ ადგილას მოთხოვნის წარდგენის მომენტისათვის.

3. კონფისკებული ქონება (მათ შორის ფული, ფულადი ანაბრები და მათი პროცენტები, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები და მოგებები, რომლებიც მათ შეხვდათ, სხვა ფასეულობანი), რომლებიც ჩამორთმეულია მოკვლევის ანდა წინასწარი გამოძიების, აგრეთვე სასამართლო ორგანოების მიერ. ქონება, რომელზეც დადებულია ყადაღა. ეს ქონება, როგორც წესი, უბრუნდება ნატურით, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მის ღირებულებას ანაზღაურებს სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება.

4. ჯარიმები, გადახდევინებული სასამართლოს განაჩენის აღსასრულებლად; სასამართლო ხარჯები და სხვა თანხები, რომლებიც მოქალაქემ გაიღო უკანონო მოქმედებასთან დაკავშირებით, ამ ზარალის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

5. თანხები, რომლებიც მოქალაქემ გადაუხადა იურიდიულ კონსულტაციას.

1981 წლის 18 მაისის მიღებული დებულება ითვალისწინებს რეაბილიტაციის დროს მოქალაქის შრომითი და პროფესიული უფლებების სრულ აღდგენას. მე-5-ე მუხლით მოქალაქეს, რომელიც გაათავისუფლეს ან გადააყენეს სამუშაოდან (თანამდებობიდან) უკანონო მსჯავრდადების გამო, უნდა მიეცეს აღრინდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ეს შეუძლებელია (საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაცია, თანამდებობის შემცირება, ნდობის დაკარგვა მუშაკისადმი, რომელიც უშუალოდ ემსახურებოდა ფულად ანდა სასაქონლო ფასეულობას, იმ მუშაკის ამორალური ქცევა, რომელიც შეუთავსებელია ამ მუშაობის გაგრძელებასთან, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი, რომელიც ხელს უშლის სამუშაოზე აღდგენას) — სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა).

<sup>46</sup> Н. С. Алексеев, В. Г. Даев, Л. Д. Кокорев, Очерк развития науки советского уголовного процесса, 1980, Воронеж, стр. 165.



სამუშაო (თანამდებობა) მოქალაქეს ეძლევა მიმართვის დღიდან არა უგვიანეს ერთ თვისა იმ პირობით, რომ ეს მიმართვა შეტანილია რეაბილიტაციიდან სამი თვის განმავლობაში. შრომის წიგნაკის ჩანაწერები ცნობილ იქნება ბათილად ანდა მოქალაქეს თავისი თხოვნით ადმინისტრაცია აძლევს შრომის წიგნაკის დუბლიკატს, რომელშიც არ იქნება შეტანილი ბათილად ცნობილი ჩანაწერი. მოქალაქეთა სრული რეაბილიტაციისათვის დებულების მეექვსე მუხლით „პატიმრობაში ყოფნის დრო, სასჯელის მოხდის დრო, აგრეთვე დრო, რომლის განმავლობაშიც მოქალაქეს არ უმუშავია თანამდებობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით, ითვლება როგორც საერთო, ისე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში. ეს დრო შედის აგრეთვე უწყვეტ სტაჟში“. ამასთან ერთად რეაბილიტირებულს ეძლევა კანონით დადგენილი ყველა შეღავათი და უპირატესობა. თუ უკანონოდ მსჯავრდადებული ან სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უკანონოდ მიცემული მოქალაქე პენსიის დანიშვნის თაობაზე მიმართვის დღისათვის არ მუშაობს, ან იღებს უფრო მცირე ოდენობის ხელფასს, ვიდრე მსჯავრის დადებამდე ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე, მისი თხოვნით პენსია ენიშნება იმ თანამდებობის (სამუშაოს) განაკვეთიდან, რომელიც მას ეკავა მსჯავრის დადებამდე, ან სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემამდე, ან გამამართლებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის, ან სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილების (განაჩენის) გამოტანის დღისთვის. გამართლებულ პირს მთლიანად აღუდგება ადრინდელი საბინაო უფლება. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოქალაქეს, რომელმაც უკანონოდ მსჯავრის დადების შედეგად დაკარგა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება, უბრუნებს საცხოვრებელ სადგომს, რომელიც მას წინათ ეკავა, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, აძლევს მას რიგგარეშე იმავე დასახლებულ პუნქტში ტოლფასოვან კეთილმოწყობილ საცხოვრებელ სადგომს. საცხოვრებელი ფართობის მოქმედი ნორმისა და ოჯახის შემადგენლობის გათვალისწინებით.

დებულების მე-10 მუხლით რეაბილიტაციის შემთხვევაში მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოები და სასამართლო მოვალენი არიან, განუმარტონ ამ მოქალაქეს მისი დარღვეული უფლების აღდგენის და სხვა ზარალის ანაზღაურების წესი, რეაბილიტირებულის თხოვნით ერთი თვის ვადაში წერილობით აცნობოს თავისი გადაწყვეტილება შრომითს კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. „ინსტრუქციის“ დანართით შემუშავებულია ცნობის ფორმა, რომელიც ეძლევა იმათ, ვის მიმართაც აღძრული საქმე მოისპო, ანდა დადგენილია გამამართლებელი განაჩენი.

ცნობები პიროვნების წინასწარ პატიმრობაში აყვანის, მისი მსჯავრდადების შესახებ ადვილად ვრცელდება ახლობლების, ნაცნობების წრეში, სამუშაოზე. ამიტომ საესვებით ბუნებრივია, პირი ისწრაფვოდეს, რომ მისი რეაბილიტაციის ამბავი იცოდეს პირთა რაც შეძლება ფართო წრეში. ამ ბუნებრივი სურვილის სამართლებრივი გარანტიები უნდა გაფართოვდეს საბჭოთა კანონმდებლობაში. საჭიროა მოიძებნოს საჯარო რეაბილიტაციის სხვადასხვა ფორმა, რათა ძირეულად აღმოიფხვრას სახელგამტეხი დანაშრევი, რაც პირის უკანონოდ მსჯავრდადებას მოჰყვა. ამით შეიძლება გაბათილდეს ის წყენა, მწუხარე-

ბა, გულისტკივილი, რაც უკანონო დასჯას ახლავს. ამგვარი დასჯის შედეგად პირი ხომ ხშირად კარგავს სხვადასხვა საპატიო წოდებებს, ორდენებს და მედლებს. დებულების მე-9-ე მუხლი ითვალისწინებს მათი აღდგენისა და დაბრუნების თაობაზე შეამდგომლობის აღძვრას.

ინსტრუქციის მე-20 პუნქტით სასწავლებლიდან გარიცხულ რეაბილიტირებულს მისივე თხოვნით აღუდგება დარღვეული უფლება, ეს კი გულისხმობს მის აღდგენას სასწავლებელში.

საჯარო რეაბილიტაციის საქმეს სარგებლობას მოუტანს ის წინადადება, რომელიც წამოყენებულია ს. პ. ბეკეშკოსა და ე. ა. მატვიენკოს მიერ. პირს, რომელიც წინასწარ გამოძიებას აწარმოებდა, როცა დარწმუნდება, რომ ექვმიტანილი იყო უდანაშაულო პირი, ანდა პირი, რომელსაც მონაწილეობა არ ჰქონდა დანაშაულში, „გამოაქვს მოტივირებული დადგენილება ექვმიტანილის რეაბილიტაციის შესახებ... მიზანშეწონილია, რომ დადგენილებაში ექვმიტანილს ბოდიში მოუხადონ მისთვის მიყენებული მორალური ზიანისა და ზნეობრივი ტანჯვისათვის. დადგენილების პირი, რომელიც ჩაბარდება ექვმიტანილს, იქცევა იმ დოკუმენტად, რომელიც აღადგენს მის ღირსებას და პატიოსან სახელს“<sup>47</sup>. გამართლებული იქნება იმ წინადადების დაკანონებაც, რომ უკანონო მოქმედებით დაზარალებულ პირს უფლება ჰქონდეს მოითხოვოს მისი რეაბილიტაციის შესახებ ცნობა გამოქვეყნდეს პერიოდულ გამოცემაში. შეიძლება ასეთ გამოცემად ჩაითვალოს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენში<sup>48</sup>.

ყველა უნდა უფრო თხილდებოდეს სხვის ღირსებას. ამიტომ ორკეცდება საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების უარყოფითი შედეგები, თუ მათ შესაბამისად ცნობა გამოქვეყნდა პრესაში, გადართვა რადიოთი და ტელევიზიით. ზოგჯერ პირის მსჯავრდადების შესახებ მასალებს ვაზეთის საშუალებით ეცნობა ასიათასობით მკითხველი, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების ფაქტს და საქმის შეწყვეტას კი პირთა მცირერიცხოვანი წრე<sup>49</sup>.

მასობრივი ინფორმაციის ორგანოები ამას უნდა ითვალისწინებდნენ. სასამართლო-საგამოძიებო ორგანოთა შეცდომის განმეორება პრესაში ხელს უშლის მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდას და სხვ. შეიძლება ვინმემ დასვას კითხვა: ხომ არ ავუკრძალოთ ვაზეთებს წერონ დამნაშავეებსა და დანაშაულზე, როცა საქმე გამოძიების სტადიაშია. ამ კითხვას კარგად უპასუხა პროფ. ბ. ს. ნიკიფოროვმა: „რასაკვირველია, არა! პრესის დანიშნულება ასახოს, განიხილოს და შეაფასოს ის მოვლენები და შემთხვევები, რომლებსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. არ არის აუცილებელი ვაკეეთოთ გამონაკლისი ამ წესისაგან სისხლის სამართლის საქმეებისათვის, მის ყველა სტადიაზე. საქმე ეხება სულ სხვას, სახელდობრ იმას, რომ ვაკეთდეს ეს ყოველთვის და მხოლოდ კანონიერებისადმი პატივისცემით აღზრდისათვის, და არა მის საზიანოდ“<sup>50</sup>. მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოების თანამ-

<sup>47</sup> С. П. Бекашко, Е. А. Матвиенко, Подозреваемый в советском уголовном процессе, 1969. Минск, стр. 41.

<sup>48</sup> В. Т. Нор, Имущественная ответственность,.... стр: 167.

<sup>49</sup> Т. Добровольская, Заглаживание морального вреда, причиненного необоснованным привлечением к уголовной ответственности — «Социалистическая законность», 1958, № 7, стр. 22.

<sup>50</sup> Б. С. Никифоров, Точка еще не поставлена — «Известия», 1970, 11 июля.

დებობის პირებმა თავი უნდა შეიკავონ ნაჩქარევი დასკვნებისაგან, რომელთა უეჭველობაში თვითონაც არ არიან ღრმად დარწმუნებული და რომელთა გამოქვეყნებამ შეიძლება ააფორიაქოს საზოგადოებრიობა. გამონაკლისი აქ შეიძლება დავუშვათ მაშინ, როცა მოჩვენებითი ანდა ნამდვილი დანაშაულის შესახებ გავრცელდება ხმები, რაც აფორიაქებს მოსახლეობას, არღვევს საზოგადოებრივ სიმშვიდეს<sup>51</sup>.

მხედველობაში, უნდა მივიღოთ, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლით, „წინასწარი გამოძიების მონაცემების გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვით და იმ მოცულობით, რამდენადაც ისინი ამას შესაძლებლად მიიჩნევენ“. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სწორად მიუთითა, რომ „სასამართლო მუშაკები არ უნდა გამოვიდნენ პრესაში, როგორც მკვლელობის, ისე იმ სხვა საქმეების თაობაზე, რომლებზეც ჭერ კიდევ არ არის გამოტანილი განაჩენი“<sup>52</sup>.

პასუხი, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის დევნის, მოქალაქის მსჯავრდადების შესახებ ცნობები გამოქვეყნებული იყო პრესაში და შემდგომ მოხდა ამ პიროვნების რეაბილიტაცია, მოცემულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 მაისის დებულების მეათე მუხლის მეორე ნაწილში: „თუ ცნობები ასეთი მოქალაქის მსჯავრდადების ან სისხლის სამართლის პაუხისგებაში მიცემის, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების თუ დაპატიმრების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით აღმინისტრაციული სასჯელების დადების შესახებ გამოქვეყნებული იყო პრესაში, მაშინ ამ მოქალაქის მოთხოვნით, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში — მისი ნათესავების, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოების ან სასამართლოს მოთხოვნით შესაბამისი რედაქციები ერთი თვის განმავლობაში ვალდებული არიან გამოაქვეყნონ ამის შესახებ აუცილებელი ცნობა“.

ინსტრუქციის 22-ე პუნქტით, თუ გაზეთის, ჟურნალის რედაქცია არ გამოაქვეყნებს ამგვარ ცნობას, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის მე-7 მუხლის შესაბამისად ამ მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს.

რეაბილიტაცია ისევე აუცილებელია კანონიერების განმტკიცებისათვის, როგორც დამნაშავის დასჯა. სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი. ნ. ვ. კრილენკოს სიტყვებით, „ზოგიერთ შემთხვევებში, როგორც მიუთითებდა ვლადიმერ ილიას ძე, სასამართლო საჭიროა იმისათვის, რომ მოვახდინოთ რეაბილიტაცია, გამართლება უსამართლოდ ცილდაწამებულისა“<sup>53</sup>.

<sup>51</sup> О. Л. Лейст, Санкции и ответственность по советскому праву, стр. 209.

<sup>52</sup> Сборник Постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924—1973, М., стр. 477.

<sup>53</sup> Н. В. Крыленко, Ленини о суде и уголовной политике. К десятилетию со дня смерти, 1924—1934, М., 1934; стр. 227.

# სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის

ა. ნაჟუაზია

საჰაერო ტრანსპორტის ინტენსიურმა განვითარებამ დიდი სიკეთე მოუტანა ხალხს, რადგან ამ სახეობის ტრანსპორტის გამოყენების საშუალებით ყველაზე უფრო სწრაფად გვარდება როგორც სახელმწიფოებრივი, ისე პირადი საქმეები. მაგრამ ამ სახეობის ტრანსპორტმა სამოციანი წლებიდან წარმოშვა არსებითად ახალი დანაშაული — საჰაერო ხომალდის გატაცება, რომელიც დიდ ზიანს აყენებს როგორც სახელმწიფოთა, ისე მოქალაქეთა ინტერესებს. საჰაერო ხომალდის გატაცებას, გარდა იმისა, რომ იგი იწვევს ჰაერში ფრენის დადგენილი წესების დარღვევას, ფრენის გრაფიკის ჩაშლას და ა. შ., შეიძლება მოჰყვეს ავიაკატასტროფა, საჰაერო ხომალდის დაზიანება, მსხვერპლი. ამ დანაშაულის ჩადენის დროს იშვიათი არ არის მკვლევლობაც, სხეულის დაზიანებაც. საჰაერო ხომალდის გატაცება, რაკი იგი უშუალო საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებისა და მოქალაქეების ინტერესებს, ზიანს აყენებს საჰაერო ტრანსპორტის ავტორიტეტსაც.

საჰაერო ტრანსპორტის გატაცების საზოგადოებრივი საშიშროება იმითაც ვანისაზღვრება, რომ იგი ხელს უშლის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. გამორიცხული არ არის საჰაერო ხომალდის გატაცება საზღვარგარეთ გაქცევის, მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების და ა. შ. მიზნით, რის გამოც ძნელდება, ზოგჯერ კი შეუძლებელიც ხდება დამნაშავე პირთა შეპყრობა და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემა.

საჰაერო ხომალდის გატაცების ან ამის ცდის შემთხვევები ყოფილა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის — სსრ კავშირშიც. ცხადია, მისი ჩადენა არც მომავალშია გამორიცხული. ამიტომ ამ საშიში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

სსრ კავშირში საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის სპეციალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებამდე საჰაერო ხომალდზე ჩადენილი დანაშაული სხვადასხვანირად კვალიფიცირდებოდა. კერძოდ, მხედველობაში იყო მიღებული საჰაერო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის (მათ შორის მისი გატაცების) მიზანი და შედეგი. ამიტომ საჰაერო ხომალდის გატაცება კვალიფიცირდებოდა როგორც სამშობლოს დალატი, თუ საჰაერო ხომალდი საზღვარგარეთ გაქცევის მიზნით იყო გატაცებული; სხვა შემთხვევაში ეს მოქმედება კვალიფიცირდებოდა როგორც ბანდიტიზმი, ან როგორც განზრახი მკვლევლობა, თუ იგი საჰაერო ხომალდზე ან მის გატაცებასთან დაკავშირებით იყო ჩადენილი, ან როგორც საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა. მაგრამ აღნიშნული დანაშაულის ამგვარი კვალიფიკაცია მის ბუნებას არ შეესაბამებოდა<sup>1</sup>.

საქმე ის არის, რომ საჰაერო ხომალდის გატაცებით არ ირღვევა მხოლოდ ერთი რომელიმე სახელმწიფოს ინტერესები. საჰაერო ხომალდის გატაცების

<sup>1</sup> В. М. Хомич, Уголовная ответственность за угон воздушного судна, «Проблемы уголовного права», Минск, 1976, с. 88.

გზით დამნაშავე შეიძლება უკანონოდ შეიჭრას სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნას იქ ხომალდის აფეთქებისა და ამის შედეგად ხანძრის გაჩენის ან სხვა მძიმე შედეგის დადგომის საფრთხე. ამიტომ არის, რომ საჰაერო ხომალდის გატაცება საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად არის მიჩნეული<sup>2</sup>.

ო. ი. კარპეცი, ჩვენი აზრით, სწორად იქცევა. როდესაც ერთმანეთისაგან განასხვავებს საერთაშორისო დანაშაულს და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს. საერთაშორისო დანაშაული მიმართულია კაცობრიობის, მისი მშვიდობიანი არსებობისა და ადამიანების წინააღმდეგ (აგრესიული ომები, მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვლა, ეკოციდი, ბიოციდი, აპარტიდი და ა. შ.)<sup>3</sup>. საერთაშორისო ხასიათის დანაშაული კი უფრო კონკრეტულ საერთაშორისო ურთიერთობებს ხელყოფს და მშვიდობიან დროს საერთაშორისო დანაშაულის თავისებურ შემცვლელს წარმოადგენს (საერთაშორისო ტერორიზმი, საჰაერო ხომალდის გატაცება, ნარკომანიის გავრცელება და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა და ა. შ.)<sup>4</sup>.

რაკი საჰაერო ხომალდის გატაცება საერთაშორისო ხასიათის დანაშაულია, მოკლედ შევეხოთ ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციებს. ლიტერატურაში განხილულია 1963 წლის 14 სექტემბერს ტოკიოში რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი კონვენცია, რომელიც საჰაერო ხომალდზე ჩადენილ დანაშაულს ეხებოდა. კონვენციაში მოხსენიებულია საჰაერო ხომალდის გატაცებაც, მაგრამ ეს კონვენცია ნაკლოვანია იმის გამო, რომ მასში ბევრი პრინციპული საკითხი, მათ შორის დამნაშავეთა გატაცების შესახებ, ზუსტად არ იყო გადაწყვეტილი.

ამის გამო საჭირო გახდა ახალი კონვენციის შემუშავება. ამ მხრივ საყურადღებოა ჰაავის 1970 წლის კონვენცია, რომელმაც მის ხელმომწერ სახელმწიფოებს დაავალა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცათ პირები საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდებისათვის. მაგრამ ამ კონვენციაში სასჯელის სახე და ზომა მოხსენიებული არ არის<sup>5</sup>. ბოლოს, 1971 წელს მიიღეს მონრეალის კონვენცია, რომელმაც, შეაჯამა რა წინა ორი კონვენციის შედეგები, უფრო კონკრეტულად გადაწყვიტა საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ამ კონვენციამ მის ხელმომწერ სახელმწიფოებს დაავალა ეროვნული კანონმდებლობით შემოეღოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის.

სსრ კავშირმა ხელი მოაწერა ამ კონვენციას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მოახდინა მისი რატიფიკაცია (1972 წ. 27 დეკემბერი), ხოლო 1973 წლის 3 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მის საფუძველზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია სპე-

<sup>2</sup> გივი ქვანია, საერთაშორისო თანამშრომლობა დანაშაულობასთან ბრძოლაში „მეცნიერება“, თბილისი, 1975.

<sup>3</sup> Н. Н. Карпец, Преступление международного характера, М., с. 32—53.

<sup>4</sup> ი. ი. კარპეცის დასახელებული ნაშრომი, გვ. 64—108.

<sup>5</sup> Л. Н. Галенская, Международная борьба с преступностью, М., 1972, с. 110—111.

<sup>6</sup> ი. ი. კარპეცის დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

ციალური მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საპაერო ხომალდის გატაცებისათვის (რსფსრ სსკ 213<sup>2</sup> მუხლი). საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში იგი გათვალისწინებულია 242<sup>2</sup> მუხლით.

ზუსტად მოგვყავს ამ მუხლის შინაარსი: „დედამიწაზე ან ფრენის დროს საპაერო ხომალდის გატაცება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე,

დედამიწაზე ან ფრენის დროს საპაერო ხომალდის გატაცება ან ასეთი ხომალდის ხელში ჩაგდება გატაცების მიზნით, თუ გამოყენებულია ძალადობა ან მუქარა, ანდა რასაც მოჰყვა საპაერო ხომალდის ავარია ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებანი, აუ მათ მოჰყვა ადამიანების დაღუპვა ან სხეულის მძიმე დაზიანება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან ისჯება სიკვდილით ქონების კონფისკაციით“.

ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით შევეცდებით ამ მუხლის იურიდიულ ანალიზს.

1. საპაერო ხომალდის გატაცების ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს საპაერო ტრანსპორტის ნორმალურ, უსაფრთხო მოძრაობას. საპაერო ხომალდის მოძრაობა როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო ხაზებზე საპაერო ხომალდის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მკაცრად არის მოწესრიგებული, მაგრამ საპაერო ხომალდის გატაცების უშუალო ობიექტის სახით უნდა ვიგულისხმოთ ადამიანთა სიცოცხლეც და ჯანმრთელობაც.

2. საპაერო ხომალდის გატაცების საგანია საპაერო ხომალდი (თვითმფრინავი, ვერტმფრინავი, აეროსტატი და ა. შ.).

მართალია, საერთაშორისო კონვენციაში ლაპარაკია სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ აქტებზე, მაგრამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში საპაერო ხომალდის გატაცებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ნათქვამია საპაერო ხომალდზე ზოგადად, ამიტომ საპაერო ხომალდის გატაცების საგანი შეიძლება იყოს სამხედრო დანიშნულების საპაერო ხომალდიც.

3. საპაერო ხომალდის გატაცების ობიექტური მხარე.

ობიექტური მხრივ საპაერო ხომალდის გატაცება აქტიური მოქმედებით ხორციელდება. დამნაშავე იტაცებს ან გატაცების მიზნით ხელთ იგდებს საპაერო ხომალდს. ცხადია, ყველა ეს მოქმედება აშკარად უკანონოა. ამასთან სამხედრო ხომალდის გატაცება შეიძლება მოხდეს ძალადობის გარეშეც, როდესაც საპაერო ხომალდის გატაცებას სჩადის თვით ხომალდის ეკიპაჟი ან დამნაშავენი შეადწევენ დედამიწაზე არასაფრენ მდგომარეობაში მყოფ საპაერო ხომალდზე და გაიტაცებენ მას. საქართველოს სსრ სსკ 244<sup>2</sup> მუხლის I ნაწილი საპაერო ხომალდის გატაცების მარტივ სახეს გულისხმობს.

ამავე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია საპაერო ხომალდის გატაცება ან მისი ხელში ჩაგდება გატაცების მიზნით ძალადობის ან მუქარის გამოყენებით.

ძალადობა გულისხმობს მოქმედებას, რომელიც მიმართულია საპაერო ხომალდის ეკიპაჟის წინააღმდეგობის გასატეხად, რათა ხელში ჩაიგდონ საპაერო ხომალდი და გაიტაცონ იგი, ან საპაერო ხომალდის ფრენის დროს შეაღწიონ ხომალდის ეკიპაჟთან და აიძულონ ის შეეცვალოს ფრენის კურსი დამნაშავეთა სურვილის შესაბამისად ან ეკიპაჟი ჩამოაშორონ საფრენ აპარატს, ხელში ჩაიგდონ საპაერო ხომალდი და შემდეგ მათთვის სასურველი მიმართულებით გაიტაცონ იგი. ამგვარ ძალადობას შეიძლება მოჰყვეს სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაც.

საპაერო ხომალდის გატაცება ან გატაცების მიზნით მისი ხელში ჩაგდება შეიძლება მოხდეს მუქარის გამოყენებითაც. მუქარა შეიძლება გამოხატავდეს მკვლევლობის ან სხეულის მძიმე დაზიანების, საპაერო ხომალდის აფეთქების ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის შესაძლებლობას. საპაერო ხომალდის გატაცებას ან გატაცების მიზნით მის ხელში ჩაგდებას ძალადობითა და მუქარით შეიძლება თან ახლდეს ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის გამოყენების მუქარა ან მისი რეალური გამოყენება, ოღონდ სხეულის დაზიანება, საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup> მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მძიმე ხარისხისა არ უნდა იყოს.

საპაერო ხომალდის გატაცების დამთავრების მომენტის განსაზღვრისათვის საჭიროა მხედველობაში მივიღოთ საპაერო ხომალდის დედამიწაზე ყოფნის და მისი ჰაერში ფრენის მომენტი. ამ თვალსაზრისით, საპაერო ხომალდი დედამიწაზე მყოფად ითვლება, სანამ ეკიპაჟისა და მგზავრების ჩასხდომა არ დამთავრდება, არ ჩაიკეტება ყველა შემოსასვლელი კარი და არ ჩაირთავება ასაფრენი ძრავები. ამ უკანასკნელი მომენტიდან ითვლება, რომ საპაერო ხომალდი ჰაერში ფრენის მდგომარეობაშია.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც საპაერო ხომალდი გაიტაცეს, თუ ის დედამიწაზე იყო, ხოლო ჰაერში ფრენის დროს მისი გატაცების მომენტად ითვლება საპაერო ხომალდის, როგორც სატრანსპორტო საშუალების, ფაქტობრივი გამოყენების მომენტი.

საპაერო ხომალდი გატაცების მიზნით ხელში ჩაგდებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მას ძალადობის გამოყენებით დაიპყრობენ დედამიწაზე ყოფნის, თუ ჰაერში ფრენის დროს, მიუხედავად იმ შედეგებისა, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. ყველა სხვა შემთხვევაში, ე. ი. როდესაც საპაერო ხომალდს ფაქტობრივად ვერ იგდებენ ხელთ შემდგომი გატაცების მიზნით, უნდა ვიგულისხმოთ საპაერო ხომალდის გატაცების მცდელობა.

საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup> მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში დამამძიმებელ გარემობათა სახით გათვალისწინებულია საპაერო ხომალდის გატაცების ან გატაცების მიზნით მისი ხელში ჩაგდების მოსალოდნელი მძიმე შედეგები. ეს არის საპაერო ხომალდის ავარია ან სხვა მძიმე შედეგი (II ნაწ.), ადამიანთა დაღუპვა ან სხეულის დაზიანება (III ნაწ.).

საპაერო ხომალდის ავარია ნიშნავს საპაერო ხომალდის დაზიანებას ან დაძსხვრევას (თუ ამას ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყვა, რადგან ეს 242<sup>2</sup> მუხლის მესამე ნაწილშია გათვალისწინებული), როდესაც საპაერო ხომალდის ნორმალური მუშაობის აღდგენა დიდ მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს ან ან მისი აღდგენა საერთოდ შეუძლებელიც კია.

სხვა „მძიმე შედეგები“ გულისხმობს სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას, ტვირთის გადაზიდვის ან მგზავრთა გადაყვანის დადგენილი გრაფიკის ჩაშლას, რამაც დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია, მგზავრებისათვის დიდი მატერიალური ზარალის მიყენებას და ა. შ.

ადამიანთა დაღუპვა და სხეულის მძიმე დაზიანება შეიძლება იყოს საპაერო ხომალდის ხელში ჩაგდების ან მისი გატაცების პირდაპირი ლოგიკური შედეგი, როდესაც საპაერო ხომალდის კატასტროფას ან მის დაზიანებას თან მოჰყვა ადამიანთა დაღუპვა ან სხეულის მძიმე დაზიანება. გამორიცხული არ არის ეკიპაჟის წევრთა მკვლელობაც და სხეულის მძიმე დაზიანებაც. არც ის არის გამორიცხული, რომ დამნაშავეებმა მოკლან მგზავრებიც, რომლებიც ეკიპაჟთან ერთად წინააღმდეგობას გაუწევენ დამნაშავეს (დამნაშავეებს), რომ ხელში ჩაიგდონ ან გაიტაცონ საპაერო ხომალდი, ან სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენონ მათ. საპაერო ხომალდის გატაცებამ ან გატაცების მიზნით მისმა ხელში ჩაგდება შეიძლება გამოიწვიოს დაღუპვა ან სხეულის მძიმე დაზიანება იმ პირებისაც, რომლებიც საპაერო ხომალდზე არ იმყოფებოდნენ. ეს შეიძლება მოხდეს საპაერო ხომალდის გატაცების ან გატაცების მიზნით მისი ხელში ჩაგდების დროს სროლის ატების ან საპაერო ხომალდის ავარიის ან მისი აფეთქების შედეგად, დედამიწაზე დასახლებულ რაიონში ჩამოვარდნის გამო.

მართალია, საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup> მუხლის მესამე ნაწილში ლაპარაკია ადამიანთა „დაღუპვაზე“ და არა „მკვლელობაზე“, ამ სიტყვის სპეციფიკური გაგებით, მაგრამ აქ ადამიანთა მკვლელობაც იგულისხმება. ამიტომ დანაშაულის კვალიფიკაცია საპაერო ხომალდის გატაცებისა და მკვლელობის ერთობლიობით არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს.

#### 4. საპაერო ხომალდის გატაცების სუბიექტი.

საპაერო ხომალდის გატაცების სუბიექტია სსრ კავშირის მოქალაქე, უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც მიაღწია 16 წლის ასაკს.

საპაერო ხომალდი შეიძლება გაიტაცონ თვითონ იმ პირებმაც, რომლებსაც მინდობილი აქვთ მოცემული საპაერო ხომალდი. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup> მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია საპაერო ხომალდის გატაცების მარტივი სახე, ძალადობის ან მუქარის გამოყენების გარეშე. ეს შეიძლება მოხდეს ორ შემთხვევაში. პირველი შემთხვევა, როდესაც დამნაშავენი სხვადასხვა ხერხით შეაღწევნ საპაერო ხომალდში და გაიტაცებენ მას ყოველგვარი ძალადობის ან მუქარის გამოყენების გარეშე, გამორიცხული არ არის თვით ეკიპაჟის ან მისი რომელიმე წევრის მიერ დანაშაულის ჩადენა. ეკიპაჟი საპაერო ხომალდს ემსახურება და ამიტომ ფიზიკური შესაძლებლობის თვალსაზრისით მას უფრო ადვილად შეუძლია გაიტაცოს საპაერო ხომალდი მისთვის სასურველი მიმართულებით.

ცხადია, გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც საპაერო ხომალდის ეკიპაჟი ან მისი რომელიმე წევრი სხვადასხვა მიზეზის გამო საპაერო ხომალდს დროებით ჩამოშორდეს და ამიტომ მას საპაერო ხომალდის გატაცება ან გატაცების მიზნით მისი ხელში ჩაგდება ძალადობის ან მუქარის გამოყენებით მოუხდეს, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ფაქტი ის არის, რომ საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup> მუხლის პირველ ნაწილში საპაერო ხომალდის გატაცების მარ-



ტივი სახეა გათვალისწინებული, ხოლო ამის ჩადენა უფრო მოხერხებულად საპაერო ხომალდის ეკიპაჟს ან მის რომელიმე წევრს შეუძლია. საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup> მუხლის მეორე და მესამე ნაწილები გარკვეულ მძიმე შედეგებს გულისხმობენ და ამიტომ მათი ჩადენა ძალადობის ან მუქარის გამოყენებით არის შესაძლებელი.

საპაერო ხომალდის გატაცება შეიძლება მოხდეს როგორც ერთი პირის, ისე პირთა ჯგუფის მიერ. აქ შეიძლება მოხდეს მარტივი თანამონაწილეობა, როდესაც ორი ან რამდენიმე პირი უშუალოდ ასრულებს საპაერო ხომალდის გატაცებას ან გატაცების მიზნით მისი ხელში ჩაგდებას ობიექტურ მხარეს; გამორიცხული არ არის რთული თანამონაწილეობა, როდესაც იყო საპაერო ხომალდის გატაცების ან გატაცების მიზნით მისი ხელში ჩაგდებას ორგანიზაცია, წაქეზება, დახმარება და ასრულება. ცხადია, ასრულება აქ აუცილებლობით არ გულისხმობს დანაშაულის ფაქტობრივ დასრულებას. შეიძლება მოხდეს საპაერო ხომალდის გატაცების ან გატაცების მიზნით მისი ხელში ჩაგდებას მცდელობა.

საპაერო ხომალდი შეიძლება გაიტაცოს შეიარაღებულმა ბანდამაც. აქ საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ორი შემთხვევა. პირველი, როდესაც შეიარაღებული ბანდა თავს ესხმოდა სახელმწიფო ორგანიზაციას, დაწესებულებებს და მოქალაქეებს, ხოლო საპაერო ხომალდის გატაცება ან გატაცების მიზნით მისი ხელში ჩაგდება მის მორიგ ბანდიტურ თავდასხმას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობა ბანდიტიზმისა და საპაერო ხომალდის გატაცების ერთობლიობით საეჭვო არ არის. მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ბანდიტური ორგანიზაცია შეიქმნა იმისათვის, რომ გაიტაცონ საპაერო ხომალდი ან გატაცების მიზნით ხელში ჩაიგდონ იგი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობა გამორიცხულია და მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup>-ე მუხლით.

##### 5. საპაერო ხომალდის გატაცების სუბიექტური მხარე.

საპაერო ხომალდის გატაცების სუბიექტური მხარის საკითხი საკმაოდ რთულია. აქ უპირველესად ყურადღებას იქცევს საპაერო ხომალდის გატაცების მოტივი და მიზანი. საპაერო ხომალდის გატაცება შეიძლება საზღვარგარეთ გაქცევის, მძიმე დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების და ა. შ. მიზნით. ხშირია შემთხვევა, როდესაც დამნაშავენი საპაერო ხომალდის გატაცებას პოლიტიკურ სარჩულს უდებენ და ცდილობენ ისარგებლონ თავშესაფრის უფლებით, მაგრამ საქმე ის არის, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 242<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობისათვის დამნაშავეთა ქცევის მოტივსა და მიზანს მნიშვნელობა არა აქვს. აქ უფრო გარკვევით უნდა ითქვას, რომ საპაერო ხომალდის გატაცება, მიუხედავად მისი მოტივებისა და მიზნებისა, ყველა შემთხვევაში უმძიმეს დანაშაულად ითვლება. ამიტომ ვერც ერთი დამნაშავე თავს ვერ გაიმართლებს იმით, რომ იგი თავის ქვეყანაში პოლიტიკურად იღვენებოდა ან სხვა რაიმე „კეთილშობილური“ მიზნით მოქმედება და ამიტომ გაიტაცა საპაერო ხომალდი. საქმე ის არის, რომ ჰაავის კონვენციის თანახმად, საპაერო ხომალდის გატაცების ყველა შემთხვევაში სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც დამნაშავე იმყოფება, უნდა გადასცეს იგი სხვა სახელმწიფოს ან სისხლის სამართლის დევნის აღძვრის

მიზნით უნდა გადასცეს თავის კომპეტენტურ ორგანოებს. ამიტომ წინააღმდეგ ზოგიერთი ბურჟუაზიული ავტორისა, საჰაერო ხომალდის გატაცებაზე თავშესაფრის უფლება არ ვრცელდება<sup>7</sup>.

მაგრამ გამოირცხული არ არის შემთხვევა, როდესაც საჰაერო ხომალდს საბჭოთა მოქალაქე საზღვარგარეთ გაქცევის მიზნით გაიტაცებს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩადენილია სამშობლოს ღალატი და საჰაერო ხომალდის გატაცება. არის თუ არა აქ დანაშაულთა ერთობლიობა? ვ. მ. ხომიჩი, მაგალითად, ფიქრობს, რომ, რამდენადაც საზღვარგარეთ გაქცევა უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე საჰაერო ხომალდის გატაცება, რაც საზღვარგარეთ გაქცევის ხერხად არის გამოყენებული, ამდენად დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ იმ მუხლით, რომელიც სამშობლოს ღალატს ითვალისწინებს<sup>8</sup>. მაგრამ სხვა შრომაში ავტორი ამ საკითხის სხვანაირ გადაწყვეტას იძლევა. სახელდობრ, თუ საჰაერო ხომალდის გატაცება საზღვარგარეთ გაქცევის მიზნით არის გამოყენებული, მაშინ საჭიროა დანაშაულთა ერთობლიობის წესის გამოყენება, რადგან საჰაერო ხომალდის გატაცებაზე თავშესაფრის უფლება არ ვრცელდება<sup>9</sup>. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სწორია. მაგრამ იგი ცდილობს გარკვეული შესწორება შეიტანოს საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდების მიზნის საკითხშიც. სახელდობრ, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდებისათვის მისი შემდგომი გატაცების გარეშე, ამიტომ ავტორი იძლევა წინადადებას, რომ საჰაერო „ხომალდის ხელში ჩაგდების“ შემდეგ სიტყვა „გატაცების მიზნით“ ამოგდებულ იქნეს<sup>10</sup>. მაშასადამე, ავტორს უნდა, რომ საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდება მისი გატაცების მიზნის გარეშეც დამოუკიდებელ დანაშაულად აღიაროს, მაგრამ ეს მოსაზრება მისაღებიც არის და არც არის მისაღები იგი მისაღებია იმ აზრით, რომ საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდება მისი შემდგომი გატაცების მიზნის გარეშეც საკმაოდ მძიმე დანაშაულია, მაგრამ საქმე ის არის, რომ საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდება მისი შემდგომი გატაცების მიზნის გარეშე საჰაერო ხომალდის გატაცებად ვერ ჩაითვლება.

პ<sup>1</sup> ოფ. გ. ჟვანია მართებულად აღნიშნავდა, რომ საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდება მისი შემდგომი გატაცების მიზნის გარეშეც ხდება. დამნაშავენი საჰაერო ხომალდს ხშირად ხელთ იგდებენ ხოლმე იმ მიზნით, რომ მძევლად გამოაცხადონ ეკიპაჟი, მოითხოვონ დიდძალი გამოსასყიდი და ა. შ.<sup>11</sup>

ასრიგად, საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდება მის გატაცების მიზანს აუცილებლობით არ უკავშირდება. სხვა საკითხია, თუ ვიფიქრებთ, რომ სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობაში გავითვალისწინოთ საჰაერო ხომალდის

7 Ю. Н. Малеев, Принцип «выдать или наказать» в отношении преступления «Незаконный захват воздушного судна», «Советское государство и право», 1974, № 10, с. 101—105.

8 В. М. Хомич — Уголовная ответственность за угон воздушного судна, «Проблемы уголовного права», Минск, 1976, с. 102.

9 В. М. Хомич, Уголовная ответственность за угон транспортных средств, Минск, 1982, с. 92.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>11</sup> იგივე ჟვანიას დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

მალდის ხელში ჩაგდება არა მარტო მისი შემდგომი გატაცების მიზნით, არამედ მისი გატაცების მიზნის გარეშეც. მაგრამ ამ საკითხს სერიოზული დაფიქრება სჭირდება.

საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იტაცებს საპაერო ხომალდს, ითვალისწინებს მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და გარკვეული სასურველი მოტივებით ახორციელებს ამ მოქმედებას. ამ მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში კი ბრალის ფორმების საკითხის გადაჭრა უფრო რთულია. არის აზრი, რომ უკანასკნელ შემთხვევებში მძიმე შედეგები შეიძლება გამოწვეულ იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით<sup>12</sup>. მაგრამ არის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ აღნიშნული შედეგები შეიძლება გამოწვეული იქნეს მხოლოდ განზრახ (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით)<sup>13</sup>.

ჩვენი აზრით, 242<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული მძიმე შედეგები შეიძლება გამოწვეულ იქნეს განზრახ, როდესაც ძალადობას და მუქარას თან სდევს მკვლელობა, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ან დედამიწაზე საპაერო ხომალდის განზრახ დაზიანება, აფეთქება და ა. შ., რასაც მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვება. მაგრამ არ არის გამორიცხული შემთხვევა, როდესაც საპაერო ხომალდის გატაცებას ან გატაცების მიზნით მის ხელში ჩაგდებას მოჰყვება შედეგი, რომელსაც დამნაშავენი არ ითვალისწინებდნენ (მაგალითად, საპაერო ხომალდის ავარია), ან ქარაფშუტულად ვარაუდობენ მის თავიდან აცილებს. ამიტომ კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ ეს მძიმე შედეგები გამოწვეულია მხოლოდ განზრახ, ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია, მით უმეტეს არ შეიძლება ეს ითქვას ჰაერში ფრენის დროს საპაერო ხომალდის ავარიისზე, რადგან, თუ დამნაშავე დარწმუნებულია, რომ მის მიერ გატაცებულ საპაერო ხომალდს ავარია მოუვა, მაშინ საეჭვოა, რომ მან საპაერო ხომალდი გაიტაცოს და ამით სიცოცხლე რეალურ საფრთხეში ჩაიგდოს.

სასჯელის სახით საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup> მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე, მეორე ნაწილში — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ხოლო მესამე ნაწილში — თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონცისკაციით ან სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით.

ამ დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს ყველა ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებას, დანაშაულის ჩამდენის პიროვნებას, დამდგარი შედეგების სიმძიმეს, ბრალის ხარისხს და სხვა გარემოებებს. საქართველოს სსრ სსკ 242<sup>2</sup>-ე მუხლის სანქციების მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის თანაფარდობა გვიჩვენებს, რომ სასამართლოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი განაჩენის გამოტანის ფართო შესაძლებლობა აქვს.

<sup>12</sup> Советское уголовное право, часть особенная, М., 1983, с. 421.

<sup>13</sup> Курс Советского уголовного права, т. 5, Ленинград, 1981, с. 121—122.

## **გაქსნივალურად გაეოვიყენოთ სემაროილუბრივი საშუალებანი პროდუქციის ხარისხის ამაღლებათ**

### **ნ. გიოგოვიანი**

სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე პირობებში ძნელია მოიძებნოს ისეთი ხელმძღვანელი, სამეურნეო მუშაკი, ინჟინერი თუ იურისტი, რომელიც სტანდარტიზაციას არ მიიჩნევდეს პროდუქციის ხარისხის ამაღლების ერთერთ ეფექტიან საშუალებად.

პროდუქციის ხარისხის და საერთოდ შრომის ხარისხის საკითხი არასოდეს არ ყოფილა ისე აქტუალური, როგორც დღეს. ამას განაპირობებს წარმოების მატერიალური ბაზის განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდის ტემპი.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს ახასიათებს წარმოების ინტენსიფიკაცია და ავტომატიზაცია, ახალი დარგების ჩამოყალიბება და განვითარება, დანადგარების და ხელსაწყოების კონსტრუქციის გართულება, მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა. ამ პირობებში საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლში იზრდება მოთხოვნა ხარისხის მიმართ.

პროდუქციის ხარისხის პრობლემა კომპლექსურია. მისი გადაწყვეტა მოითხოვს პროდუქციის წარმოების პროცესში ზემოქმედების ყველა ფორმისა და მეთოდების გამოყენებას.

ხარისხის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია ცალკეული ღონისძიებების განხორციელებით. იგი მოითხოვს ორგანიზაციათა, გაერთიანებათა, წარმოების საქმიანობის დაგეგმვასა და მოწესრიგებას, ხარისხის ასამაღლებლად გაწეული მუშაობის ერთი მთლიანი სისტემის შექმნას.

ხარისხის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება სხვა ამოცანებსაც. მაგალითად, პროდუქციის მაღალი ხარისხი წარმოადგენს ჩვენი ხალხის მზარდ მოთხოვნათა დაკმაყოფილების და ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთ საშუალებას. პროდუქციის მაღალი ხარისხი ზრდის მის კონკურენტუნარიანობას.

ხარისხის პრობლემა დღეისთვის აქტუალურია ყველა განვითარებული ქვეყნისათვის. მსოფლიო ბაზარზე ფასების კონკურენციასთან ერთად მიმდინარეობს კონკურენცია ამ ნაწარმის ხარისხისათვისაც. პროდუქციის ხარისხი, მისი სისტემატური ამაღლება წარმოების გართულებულ პირობებში წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას.

ხარისხის პრობლემის გადაწყვეტას საფუძვლად უდევს სისტემური მიდგომა — ორგანიზაციულ, ტექნიკურ, სოციალურ, სამართლებრივ ღონისძიებათა ურთიერთკავშირი და ერთიანობა. დღეს უკვე დაძლეულია ხარისხის პრობლემის ტრადიციული გაგება, თითქოს იგი ცალკეულ საწარმო-ორგანიზაციათა



ინტერესების სფეროს წარმოადგენს. აღიარებულია, რომ ხარისხზე ზემოქმედებას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორის სამართლებრივი.

პარტიის XXVI ყრილობამ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა ყველა სახის პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. თანამედროვე პირობებში ამ ამოცანის გადაწყვეტის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სახალხო მეურნეობაში ხარისხის მართვის სისტემების დანერგვა.

რას გულისხმობს ხარისხის მართვის ცნება?

ხარისხის მართვა არის პროდუქციის შექმნის, ექსპლოატაციის ან მოხმარების ხარისხზე ზემოქმედება პროდუქციის ხარისხის, მისი ტექნიკური ღონის დადგენის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით. ამისათვის არსებობს სათანადო სახელმწიფო სტანდარტი.

ლვოვის, სარატოვის, იაროსლავლის და სხვა სისტემათა განზოგადოების საფუძველზე საბჭოთა კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეიმუშავა ხარისხის სახელმწიფო მართვის ერთიანი სისტემა. მისი მთავარი მიზანია სამეცნიერო-ტექნიკურ, საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობათა საყოველთაო გამოყენების საგეგმო უზრუნველყოფა, რათა მიღწეულ იქნეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების სწრაფი ტემპი, ამალდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნები, გაიზარდოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ამ მიზნის მიღწევის გზები მრავალია. მაგრამ მთავარია ახალი პროდუქციის შემუშავება და ათვისება, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილის გაზრდა, მოძველებული პროდუქციის წარმოებიდან მოხსნა ან მისი მოდერნიზაცია, ხარისხობრივი მაჩვენებლების საგეგმო გაზრდა, მზა პროდუქციის ხარისხის შენარჩუნება მისი ექსპლოატაციის პირობებში.

რას წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო მართვის ერთიანი სისტემა? ეს არის ღონისძიებების, მეთოდების და საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს მართვის ორგანოთა კოორდინაციას, მისი საფუძველია სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემა.

პროდუქციის წარმოების პირველად რგოლებში (საწარმო, გაერთიანება) ხარისხის სახელმწიფო მართვის ერთიანი სისტემა ხორციელდება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების შემუშავებით, და დაწესებით. ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა არის ღონისძიებების, მეთოდების და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია პროდუქციის ხარისხის საჭირო ღონის წარმოების უზრუნველსაყოფად ამ პროდუქციის შემუშავების, დამზადების, ექსპლოატაციისა და გამოყენების დადგენისათვის. იგი ემყარება საწარმოო სტანდარტებს, როგორც მის ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველს.

ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვამ რესპუბლიკის საწარმოებში განაპირობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება. მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში ხარისხისნიშნის პროდუქციის რაოდენობა 2211 დასახელებიდან 2352 დასახელებამდე გაიზარდა, ხოლო ხარისხისნიშნის პროდუქციის ხვედრითი წილი 11,0 პროცენტიდან 14,5 პრო-

ცენტრამდე შემცირდა და პრაქტიკულად აღარ იწარმოება პროდუქცია, რომელსაც მეორე კატეგორიის ხარისხი აქვს.

ამ საქმეში დაგროვილმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იმ საწარმოებში, სადაც დანერგილია და ფუნქციონირებს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა ხარისხისნიშნის პროდუქციის ზრდის ტემპი გაცილებით სწრაფია. ამ სისტემის საყოველთაო აღიარებამ გამოიწვია ხარისხის მართვის დარგობრივი სისტემის დამუშავების აუცილებლობა. ასეთი სისტემები მუშავდება მსუბუქი, კვების, ხე-ტყის დამამუშავებელ დარგებში.

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს აქტიური მონაწილეობით შემუშავდა და დანერგა ხარისხის მართვის თბილისის საქალაქო სისტემა, რაც აღინიშნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXIX კონფერენციაზე. ასეთი სისტემა შემუშავდა და ოფიციალურად მიღებულია მხოლოდ მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში.

ხარისხის მართვის საქალაქო სისტემა თბილისის საწარმოებში შემუშავდა პროდუქციის ხარისხის და მისი ტექნიკური დონის გაუმჯობესების სწრაფი ტემპის მიღწევის უზრუნველსაყოფად, სამეურნეო, სოციალურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის სრულყოფის მიზნით.

ხარისხის მართვის თბილისის საქალაქო სისტემის დანერგვა და ფუნქციონირება ემყარება მართვის ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპების შერწყმას, რაც ხელს უწყობს ხარისხის პრობლემისადმი სისტემურ მიდგომას საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის, რაიონის მასშტაბით.

სამართალი მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც წარმოებს ორგანიზაციების, საწარმოებისა და გაერთიანებების საქმიანობის ურთიერთკავშირი და რეგულირება ხარისხის მართვის დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ ამხვეილებს ყურადღებას სამეურნეო ურთიერთობაში სამართლებრივ საშუალებათა გამოყენების აუცილებლობასა, განმტკიცებასა და გაუმჯობესებაზე.

სსრ კავშირის კონსტიტუცია, მის შესაბამისად მიღებული კანონმდებლობა, წარმოადგენს ხარისხის მართვის ნორმატიულ საფუძველს.

დავასახელებ რამდენიმე მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტს სტანდარტიზაციისა და ხარისხის დარგში: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 11 იანვრის დადგენილება, რომელიც ეხება სტანდარტიზაციის სამუშაოების გაუმჯობესებას ჩვენს ქვეყანაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 ნოემბრის დადგენილება, რომელიც შეეხება გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტების როლის ამაღლებას.

პირველმა დადგენილებამ უზრუნველყო სტანდარტიზაციის სამუშაოთა რეორგანიზაცია, გააფართოვა და გააღრმავა სტანდარტიზაციის სამუშაოები, გაითვალისწინა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, სტანდარტიზაციისათვის ორგანიზაციული, მეცნიერულ-ტექნიკური და მატერიალური ბაზის შესაქმნელად. ამჟამად უკვე მოქმედებს სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემა, რომელიც ადგენს ყველა სახის და კატეგორიის სტანდარტების და ტექნიკური პირობების შემუშავების და დანერგვის ერთიან წესს. მრავალ სამინისტროსა და უწყებაში მოქმედებენ სტანდარტიზაციის სამსახურები, სტანდარ-



ტებსა და საზომ ტექნიკაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები შექმნილია თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორში, რუსთავეში, ცხინვალსა და ფოთში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის დადგენილებამ განსაზღვრა სტანდარტიზაციის სამუშაოთა ამოცანები და პერსპექტივა. გაითვალისწინა სტანდარტიზაციის ზემოქმედების გაძლიერება პროდუქციის ჩამოყალიბების ყველა ეტაპზე — კვლევის, წარმოების, რეალიზაციის და ექსპლოატაციის პირობებში. თავისი შინაარსით ამ დადგენილებამ ჩამოაყალიბა ხარისხის სახელმწიფო მართვის ძირითადი პრინციპები. გაიზარდა სახსტანდარტის უფლება-მოვალეობანი სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებზე სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად. სახსტანდარტს მიეცა ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი და მზა ნაწარმის შერჩევითი შემოწმების უფლება საწარმოებში, ორგანიზაციებსა და სავაჭრო სამსახურებში. მათ მიეცათ აგრეთვე უფლება აუკრძალონ წარმოებას უხარისხო პროდუქციის გამოშვება, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციებს უხარისხო პროდუქციის რეალიზაცია. უხარისხო პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში, იმ საწარმოების მიმართ, რომლებმაც გამოუშვეს ასეთი პროდუქცია, გამოიყენება ეკონომიკური სანქცია. ეს ნიშნავს, რომ უხარისხო პროდუქციის რეალიზაციისგან მიღებული მოგების თანხა ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, და მოიხსნება პროდუქციის რეალიზაციის და მოგების გეგმის შესრულებიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდგომმა დადგენილებებმა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, დაგეგმვისა და წარმოების ეფექტიანობის და პროდუქციის ხარისხსზე ზემოქმედების სრულყოფის და სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ უფრო გაამკაცრა მოთხოვნები პროდუქციის ტექნიკური დონის და ხარისხის მიმართ.

სტანდარტების სამეცნიერო-ტექნიკური დონის სისტემატური ამაღლების მიზნით წარმოებს საერთაშორისო და მოწინავე სამამულო პროგრესული სტანდარტების ანალიზი, მათი ერთმანეთთან შედარება, რაც სამამულო სტანდარტების უფრო სრული შეფასების, მათი დროული გადასინჯვის ან შეცვლის საშუალებას იძლევა.

სტანდარტიზაციაში პრინციპული სიახლეა ცალკეული სტანდარტების შემუშავებიდან სისტემატურ სტანდარტებზე გადასვლა. ასეთი სისტემებიდან დეასახელებთ საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთიან სისტემას, წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ერთიან სისტემას, პროდუქციის დამუშავების და წარმოებაში ჩაშვების სისტემას, გარემოს დაცვის სისტემას, შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემას და სხვა.

სტანდარტიზაციის, მისი ეფექტიანობის ამაღლებაში დიდი როლი ენიჭება იურისტებს, იურიდიულ სამსახურებს. სტანდარტიზაციის როლი ხარისხის პრობლემის გადაწყვეტაში იმითაც არის განპირობებული, რომ იგი არა მარტო ტექნიკურ მოთხოვნილებათა მომწესრიგებელია, არამედ მასში მოცემულია ტექნიკურ მოთხოვნილებათა იურიდიული დაცვის საშუალებაც. თავისი შინაარსით სტანდარტიზაცია გვევლინება ნორმატიულ-უფლებრივი უზრუნველყოფის დარგად, სფეროდ.

სტანდარტები და ტექნიკური პირობები პროდუქციის ხარისხის სახელმწი-

ფო რეგულირების სამართლებრივი ფორმაა. სხვა ტექნიკური რეგლამენტების-  
გან განსხვავებით, ისინი წარმოადგენენ ნორმატულ აქტებს, რომელთა დაცვა  
უზრუნველყოფილია იძულების წესით.

ამოცანები, რომელიც დღეს დგას პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქ-  
მეში, მოითხოვს სახელმწიფო დისციპლინის განუხრელ დაცვას, საწარმოების,  
ცალკეულ მუშაკთა პასუხისმგებლობის გაზრდას. ამიტომ პროდუქციის ხარის-  
ხისადმი მკაცრ კონტროლს პროდუქციის დამზადების ყველა სტადიაზე უდი-  
დესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის მართვის ყველა დონეზე.

პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის ფუნქციას საწარმოებსა და გაერ-  
თიანებებში ახორციელებენ სპეციალური სამსახურები (ტექნიკური კონტრო-  
ლის განყოფილება), უწყებრივი და საუწყებოათაშორისო ინსპექციები. საუწყე-  
ბათაშორისო კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა სტანდარტების სახელმწიფო  
კომიტეტის მიერ სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვისა და  
დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობა. ეს ფუნქცია ხორციელდება სახ-  
სტანდარტის სისტემაში შემავალი სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ცენ-  
ტრების ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით.

სახელმწიფო ზედამხედველობა წარმოებს უხარისხო პროდუქციის<sup>1</sup> თავიდან  
აცილების, სტანდარტების, ტექნიკური პირობების, სტანდარტიზაციისა და მეტ-  
როლოგიური უზრუნველყოფის წესებისა და მოთხოვნების დარღვევის გამოვ-  
ლენისა და აღმოფხვრისათვის.

სახელმწიფო მეთვალყურეობის განუყოფელი ნაწილია საწარმოებისადმი,  
ორგანიზაციებისადმი კონკრეტული თანამდებობის პირისა და სხვა მუშა-  
კებისადმი სამართლებრივი აქტის ზემოქმედების განხორციელება სტანდარტე-  
ბისა და ტექნიკური პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში. ასეთ  
საშუალებებს მიეკუთვნება: პროდუქციის აკრძალვა, ეკონომიკური სანქციები  
და სხვა. გარდა ამისა საწარმოებებისა და კონკრეტული დამნაშავეების მიმართ  
კანონით დაწესებული პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნით სახსტანდარტის  
ორგანოები მუდამ გზავნიან შემოწმების მასალებს სახელმწიფო არბიტრაჟის  
ორგანოებში, პროკურატურაში, სახალხო კონტროლში, ფასების კომიტეტში,  
საფინანსო ორგანოებში, სახბანკოში და სხვა. ეს ხელს უწყობს წარმოებაში  
სტანდარტების მოთხოვნათა დაცვას, ხარისხის ამაღლებას, კანონით დაწესებუ-  
ლი სანქციების გამოყენებას.

მეთერთმეტე ხუთწლედის სამ წელიწადში სახსტანდარტის საქართველოს  
რესპუბლიკურმა სამმართველომ 602 საწარმოში მოაწყო 681 შემოწმება. შე-  
მოწმდა პროდუქცია, ტექნიკური დოკუმენტაცია და მომსახურება. მათგან 438  
შემთხვევაში გამოვლენილ იქნა სტანდარტების და ტექნიკური პირობების დარ-  
ღვევა. დარღვევები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ, თუ ციფრების ენით  
ვილაპარაკებთ, 146 საწარმოს მიმართ მიყენებულ იქნა ეკონომიკური სან-  
ქცია, 55 საწარმოს აეკრძალა პროდუქციის გამოშვება, ხოლო 582 შემთხვე-  
ვაში აიკრძალა პარტიების მიწოდება.

ეკონომიკური სანქციის გამოყენების შედეგად საწარმოებს გეგმის შესრუ-

<sup>1</sup> უხარისხოდ ითვლება ის პროდუქცია, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას  
საერთოდ, ან გადაუმუშავებლად, აგრეთვე ის პროდუქცია, რომელმაც ხმარების დროს ან  
შენახვისას ვერ გაუძლო გარანტირებულ ვადებს.



ლებიდან მოეხსნათ 5 მილიონ 219 ათასი მანეთი. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩაირიცხა 300 ათასი მანეთის მოგება, რომელიც მიიღეს უხარისხო პროდუქციის რეალიზაციით. არის საწარმოები, რომლებსაც მოუწიათ 100 ათასამდე მანეთი ჯარიმის გადახდა. ასეთი საწარმოებია: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელმაც 594 ათასი მანეთი გადაიხადა მომხმარებლისთვის უხარისხო პროდუქციის მიწოდების გამო; საწარმოო გაერთიანება „ისანი“, რომელმაც 425 ათასი მანეთი გადაიხადა უხარისხო მამაკაცის ფეხსაცმლის რეალიზაციის გამო; ახალციხის ქარხანა „ელექტროძრავა“ (201 ათასი მანეთი); ცხაკაიას მეფრინველეობის ფაბრიკა (148 ათასი მანეთი — არასტანდარტული ფრინველის ხორცის რეალიზაციის გამო), თბილისის ბამბის ფაბრიკა, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალა“ და სხვა.

როგორც ზემოთ ითქვა საჭირო შემთხვევებში სახსტანდარტის რესპუბლიკური სამმართველო და მისი ტერიტორიული ორგანოები დარღვევის შესახებ მასალებს გზავნიან სხვადასხვა ორგანოში. ასე, მაგალითად; პროკურატურაში გაიგზავნა მასალები ტყავგალანტერიის, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, სახელმწიფო არბიტრაჟში — საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების „აფხაზნილბოსტნეულაგროსამრეწველო“ გაერთიანების შესახებ და ა. შ.

სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო ახორციელებს იძულების ღონისძიებებს საწარმოების მიერ ეკონომიკური სანქციების შესრულების გამო ხელმეორე შემოწმების დროს, წერილების და მიმართვების დაგზავნის გზით, მონაწილეობს სახალხო კონტროლის და პროკურატურის მიერ მოწყობილ შემოწმებებში.

მთელი ეს საქმიანობა ემსახურება იმას, რომ გაიზარდოს საწარმოთა და პერსონალურ პირთა პასუხისმგებლობა. ამჟამად უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ მიღებულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სტანდარტიზაციის, ხარისხის და საზომ საშუალებათა წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან ფულად ჯარიმას. ამის შესაბამისად 1983 წლის შემოწმების მასალებით 396 პირის მიმართ იქნა გამოყენებული სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული და მატერიალური პასუხისმგებლობა.

სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო მომავალშიც მიზანდასახულად და გეგმაზომიერად იმუშავებს პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, ამ საქმეში სამართლებრივ საშუალებათა მაქსიმალური გამოყენებისათვის.

## **სამშენებლო ობიექტებზე სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ**

თ. გირსამია,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ განაზოგადა სამშენებლო ობიექტებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებების საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა.

შემოწმდა რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებში, მათ შორის ქალაქ თბილისის ყველა რაიონის სახალხო სასამართლოში 1980-1983 წელს განხილული ამ კატეგორიის 56 სისხლის სამართლის საქმე 68 პირის მიმართ. განზოგადდა აგრეთვე სამშენებლო ობიექტებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეთა პრაქტიკის მასალები, რომლებიც მივიღეთ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებიდან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოდან.

მშენებლობის ბევრ ობიექტზე სამშენებლო-სარემონტო სამმართველოები ხელოვნურად ზრდიან სამუშაოთა მოცულობას, ადგენენ ყალბ № 2 ფორმას, რომელშიც მიუთითებენ შეუსრულებელ სამუშაოებს და ე. წ. „მკვდარი სულისათვის“ გამოწერილ ხელფასს ითვისებენ.

განზოგადების მასალები მოწმობს, რომ ეს დანაშაული სისტემაში გავრცელებულია, მათ წინააღმდეგ ბრძოლა კი არ წარმოებს ეფექტიანად, ღღევანდელ მოთხოვნათა მიხედვით.

სასამართლო ორგანოებში განსახილველად შემოსულ საქმეთა რაოდენობა მცირეა, მათი ფაბულა მარტივი, ხოლო საშენ მასალათა დატაცების მეთოდი ერთგვაროვანია.

მშენებლობის სისტემაში სახელმწიფო ქონების დატაცებანი წლების განმავლობაში არ ვლინდება იმის გამო, რომ სამინისტროსა თუ შესაბამისი უწყების იურიდიული სამსახური და სარევიზიო აპარატი არ იყენებენ თავის შესაძლებლობებსა და კანონით მინიჭებულ უფლებებს მატერიალური დოვლათის დატაცებათა გამოსავლენად და აღსაკვეთად. ზოგჯერ დატაცების საქმე იხსნება სხვა დანაშაულის ჩადენის პროცესში.

მაგალითად, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს რკინაბეტონის კონსტრუქციის ქარხანაში 1976-1979 წლებში დაიტაცეს 719.000

მანეთზე მეტი სახელმწიფო ქონება. ეს ბოროტმოქმედება კი გამოძლევიდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ქარხნის ყოფილი დირექტორის გ. ბახტაძის მიერ ორგანიზებულმა ჯგუფმა მოკლა ქარხნის მთავარი ბუღალტერი თ. სკვორცოვა. რომელიც იბრძოდა სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ.

საქმეთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ არც საგამოძიებო და არც სასამართლო ორგანოები არ არკვევენ, თუ როგორ, რა გზით ახერხებდნენ დამტაცებლები დანაშაულის მიჩქმალვას, როგორ ახდენდნენ ანგარიშსწორებებს.

ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა, თითქმის 95 პროცენტი, მოდის სამშენებლო ობიექტებიდან შედარებით მცირე ოდენობის სხვადასხვა სახის მასალების დატაცებებზე. ამასთან უმეტესად ეს საშენი მასალა სათანადოდ არ არის დაცული დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. სისხლის სამართლის საქმეები უმეტესად აღძრულია სამშენებლო ობიექტებიდან შედარებით მცირე ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცების გამო. დანაშაული შესაბამისად კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლით, ან 91-ე მუხლის პირველი ნაწილით. ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია (საქმეთა 7 პროცენტი).

მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო სასამართლოების მიერ 1982 წელს განხილული საქმეების მიხედვით სამშენებლო ობიექტებზე დატაცებით მიყენებული ზარალი შეადგენდა მხოლოდ 445 მანეთს, რაც მთლიანად იქნა ამოღებული წინასწარი გამოძიების პროცესში.

ასეთივე სურათია ავტონომიურ რესპუბლიკებშიც.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს განზოგადების მასალაში მხოლოდ ორი ფაქტია მოყვანილი სამშენებლო ობიექტებში სახელმწიფო ქონების დატაცების შესახებ, ერთი შეეხება ქალაქ ტყვარჩელის სახალხო სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულ გ. გოთუას, რომელიც გასამართლებულია 1983 წლის 22 ივნისს, საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის პირველი ნაწილით, 248 მანეთის საშენი მასალის დატაცებისათვის. ხოლო მეორე მძღოლ ნ. გაბელიას, რომელსაც სოხუმის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით 1982 წლის 16 მარტს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის პირველი ნაწილით, — 47 მანეთის საშენი მასალის დატაცებისათვის.

უმთავრესად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფის ობიექტია სხვადასხვა საშენი მასალა (ბლოკი, ცემენტი, ქვიშა, შიფერი, არმატურა და ა. შ.), რაც იმას მეტყველებს, რომ ცუდად არის უზრუნველყოფილი ვაჭრობა საშენი მასალებით. მომხმარებელი იძულებულია ეს მასალა პირადი მოხმარებისათვის დანაშაულებრივი გზით მოიპოვოს.

მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობა წლების მიხედვით თითქმის თანაბარია. მათი ხვედრითი წილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის მსჯავრდადებულთა შორის უმნიშვნელოა.

შესწავლილი საქმეებიდან: საქართველოს სსრ სსკ 91 მუხლის I ნაწილით დაკვალიფიცირებულია 5 საქმე 9 პირის მიმართ, II ნაწილით — 1 საქმე 4 პირის მიმართ, 93 მუხლის I ნაწილით — 1 საქმე 1 პირის მიმართ, 94 მუხლის II ნაწილით — 49 საქმე 58 პირის მიმართ.

მსჯავრდადებულთა შორის: მუშაა 23, მოსამსახურეა — 42, კოლმეურ-  
ნე — 3.

განათლების მიხედვით; უმაღლესი განათლება აქვს 2-ს, საშუალო გა-  
ნათლება — 42-ს, ნასამართლევია — 5. მსჯავრდადებულთა შორის 2 ქალია,  
ქალაქად ჩადენილია 52 დანაშაული.

დასჯითი პრაქტიკა: თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე შეეფარდა 6  
კაცს, პირობითი მსჯავრი შრომაში სავალდებულო ჩაბმით 16-ს, გამასწორე-  
ბელი სამუშაოები — 31-ს, ჯარიმა 11-ს, პირობითი მსჯავრი — 4-ს. დამატებითი  
სასჯელები, გარკვეული საქმიანობისა და სხვა სახის აკრძალვები, მატერია-  
ლურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობის უფლების ჩამორთმევა შე-  
ფარდებული აქვს მსჯავრდადებულთა 93 პროცენტს.

თუ მხედველობაში მივიღებთ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებს,  
ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, მსჯავრდადებულ პიროვნებებს (ოჯახური  
მდგომარეობა, პირველი ნასამართლობა, დანაშაულით მიყენებული ზარალის  
საბოლოო შედეგი და ა. შ.) დასჯითი პრაქტიკა ამ კატეგორიის საქმეებზე  
ძირითადად სწორად უნდა ჩაითვალოს. დანიშნული სასჯელები თითქმის ყო-  
ველთვის აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნას სასჯელის ინდივიდუალიზაციისა  
და სახეობების გამოყენების შესახებ.

განხილულ საქმეთა საკასაციო წესით გასაჩივრების შემთხვევა იშვიათია.  
ვანზოგადების მასალებით, სულ გასაჩივრებულია ოთხი საქმე, ყველა უცვლელ-  
ლად დატოვა უმაღლესმა სასამართლომ.

სასჯელთა ღმობიერების ან სიმკაცრის მოტივით განაჩენების საქმე არ გაპ-  
როტესებულა და არ გაუქმებულა.

საშენი მასალების გატაცების ფაქტებს ვხვდებით „ჭიათურმანგანუმის“,  
ქ. ჭიათურის ცენტრალურ მექანიკურ სახელოსნოში. „თბილისგვირაბმშენში“  
„თბილისყოფრემშენის“ № 7 სარემონტო-სამშენებლო უბანში, ამბროლაურის  
ბეტონის ქარხანაში. ფოთის № 5 სამშენებლო სამმართველოში, რუსთავის  
№ 1 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოში, მარაბდა-ახალქალაქის რკი-  
ნიგზის სამშენებლო ობიექტებზე. ქ. ქუთაისის № 2 ავტოსატრანსპორტო საწარ-  
მოში, „ინჟმშენში“, ქ. თბილისის „სსსსსოფლმონტაჟკომპლექტის“ № 8 მოძ-  
რავ-მექანიზებულ კოლონაში, „მშენტრანსის“ № 1 ტრესტში, მახარადის ავ-  
ტოსატრანსპორტო საწარმოში და სხვა ობიექტებზე. აქაც გატაცებებს ეპიზო-  
დური ხასიათი აქვს, მათი გამოვლინების მეთოდებიც თითქმის ერთნაირია —  
პირების დაკავება ნაქურდალი მასალით.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადება გვიჩვენებს, რომ ამ კატეგორიის  
საქმეებს სასამართლოები ძირითადად სწორად, კანონით დაწესებულ ვადებში  
განიხილავენ. არ ვხვდებით არასაპატიო მიზეზით საქმის განხილვის ვადის დარ-  
ღვევის ფაქტებს. არასაკმარისი რაოდენობით არის განხილული საქმეები გას-  
ვლითს პროცესებზე (10 პროცენტი). საქმის განხილვაში იშვიათად მონაწილე-  
ობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შედარებით უკეთესად არის საქმე პროფილაქტიკის მიზნით კერძო განჩი-  
ნებებისა და წარდგინებების დადგენის თვალსაზრისით. ასეთი პროფილაქტი-  
კური ღონისძიება განხორციელებულია განხილულ საქმეთა 30 პროცენტის მი-

მართ. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ ქალაქ თბილისის პირველი მაისის, ქალაქ ქუთაისის ლენინის რაიონის, ქალაქ ფოთის, ჭიათურის, რუსთავის აგრეთვე მახარაძის და სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოებს.

ზოგიერთი სასამართლო არ ითვალისწინებს ამ საქმეებზე სასამართლო პროცესის აღმზრდელობით და პროფილაქტიკურ მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს 1983 წლის 5 ივნისის განაჩენით (სახალხო მოსამართლე გ. დვალაძე), დამნაშავეებად ცნო ვ. ქევხიშვილი (გურჯაანის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის სამუშაოთა მწარმოებელი), ვ. ზარდიაშვილი (ამავე ორგანიზაციის თვითსაცლელი მანქანის მძღოლი), ჯავახიშვილი (№ 1 მალაზიის გამგე-გამყიდველი) იმისათვის, რომ ჯგუფურად დაიტაცეს ამ ორგანიზაციის კუთვნილი 86 მანეთისა და 40 კაპიკის 2.600 კილოგრამი ცემენტი, რაც შემდეგ 160 მანეთად მიჰყიდეს ვ. ჯავახიშვილს. ყველა საფუძველი იყო იმისათვის, რომ საქმე განხილულიყო გამსვლელი პროცესით, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, მაგრამ ეს არ მომხდარა. ამ საქმის განხილვის დროს სახალხო სასამართლომ საპროცესო ნორმების სხვა არსებითი დარღვევაც დაუშვა. ვ. ქევხიშვილს წინათ ჩამორთმეული ჰქონდა ავტოტრანსპორტის მართვის უფლება. მან განმეორებით დაუშვა დარღვევა, რისთვისაც 94-ე მუხლის მეორე ნაწილთან ერთად წაუყენეს საქართველოს სსრ სსკ 241<sup>1</sup>-ე მუხლი. 94-ე მუხლის მეორე ნაწილით დამატებით სასჯელად შეეფარდა 2 წლით მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობის უფლების აკრძალვა, ხოლო 241<sup>1</sup> მუხლით დამატებითი სასჯელის სახით ორი წლით ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა. საქართველოს სსრ სსკ მე-40 მუხლის საფუძველზე, სახალხო სასამართლომ მხოლოდ ძირითადი სასჯელების ერთობლიობის საკითხი გადაწყვიტა და ვ. ქევხიშვილს განუსაზღვრა 2 წლის თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელების შესახებ კი აღარ იმსჯელა. ამით ვ. ქევხიშვილი გადაურჩა დამატებითს სასჯელებს, მაშინ როდესაც იგი ავტოტრანსპორტის მართვის წესების ბოროტი დამრღვევი იყო.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის 10-14 იანვრის განაჩენით (სახალხო მოსამართლე გ. ხაბაშვილი) „საქსანერგომშენის“ № 8 ტრესტის მეკუჭნავე ა. ნერგაძე მსჯავრდადებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის პირველი ნაწილით 624 მანეთის სხვადასხვა სახის საშენი მასალების დატაცებისათვის.

განაჩენის გამოტანის თარიღის განსაზღვრის დროს სახალხო სასამართლომ დაარღვია „განაჩენის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილების მე-18 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, განაჩენის გამოტანის თარიღად ითვლება სასამართლოს შემადგენლობის მიერ განაჩენის ხელმოწერის დღე. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ სასამართლოს შემადგენლობამ განაჩენზე ხელი მოაწერა 14 იანვარს, და ეს თარიღი უნდა აღნიშნულიყო განაჩენზე.

ანალოგიური დარღვევა დაუშვა თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ტ. ვიანაშვილის საქმის გამო. განაჩენი უნდა დათარიღებულიყო 1982 წლის 29 ივლისით, განაჩენის თარიღად კი აღნიშნულია 28-29 ივლისი.

არის ბრალდების არასრულყოფილად წარდგენის, უხარისხო კერძო განაჩენებისა და წარდგინების გამოტანის ფაქტებიც.

ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართლოს 1983 წლის 31 მაისის განაჩენით ბ. ბეგაური მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის პირველი ნაწილით. მას ბრალად დაედო, რომ მუშაობდა რა „თბილისქალაქმშენის“ № 14 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოში ღურგლად, მშენებარე ობიექტიდან დაიტაცა 36 მანეთის 600 კილოგრამი ცემენტი, არც საბრალდებო დასკვნაში და აქედან გამომდინარე არც განაჩენში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არ არის წვრილმანი დატაცება 36 მანეთად ღირებული მატერიალური ფასეულობა. გარდა ამისა, გლდანის შინაგან საქმეთა ქვეგანყოფილების გამომძიებელი ტრესტის სახელზე გაგზავნილ წარდგინებაში წერს, რომ ბ. ბეგაური ამ „მძიმე დანაშაულის ჩადენამდე“ მიიყვანა მის მიმართ „იდეურ-აღმზრდელითი სამუშაოების არადროულმა გატარებამ“, რომ იგი 36 მანეთის ცემენტის დატაცებისათვის „კანონის სიმკაცრით აგებს პასუხს“.

საკურო იყო სახალხო სასამართლოს გამომძიებლის ყურადღება მიექცია წარდგინების ხარისხისათვის, განემარტა, რომ თავისთავად მ. ბეგაურის მიერ ჩადენილი დანაშაული არ განეკუთვნება „მძიმე დანაშაულთა“ კატეგორიას, ამასთან ერთად ემსჯელა, თუ რატომ არ განახორციელა გამომძიებელმა ღონისძიებანი საშენი მასალების დაცვისა და გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და სხვ. ამ საკითხზე სასამართლოსაც არ უმსჯელია.

ქალაქ ზუგდიდის სახალხო სასამართლომ 1983 წლის 7 აპრილს განიხილა ა. ნარმანიას საქმე. იგი დამნაშავედ ცნეს იმის გამო, რომ ზუგდიდის რაიონის „ინდბინათმშენის“ ბლოკების დასამზადებელი საამქროდან, სადაც ბრიგადირად მუშაობდა, მესტიის რაიონში მცხოვრებ მოქალაქეს მიჰყიდა 400 ცალი ბლოკი. ა. ნარმანია იმავე დღეს დააკავეს დატაცებული მასალის ტრანსპორტირების დროს. ამ მარტივი საქმის გამოძიებას ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილება 7 თვეს მოუხდა. გამოძიება მხოლოდ 1983 წლის 11 მარტს დამთავრდა.

სასამართლოს ამ ფაქტზე სათანადო რეაგირება არ მოუხდენია.

მშენებლობის სისტემაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამატაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ კატეგორიების სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ხარისხს. სამშენებლო ობიექტებზე წამატებების, დამახინჯებული ანგარიშგების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ფიქტიური დოკუმენტაციის შედგენის, უხარისხო მშენებლობის, თანამდებობათა ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენის დროს სასამართლოებმა ზედმიწევნით უნდა შეამოწმონ, ხომ არ არის დაკავშირებული ეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებათა, ამომწურავად და სრულყოფილად

ფილად არის თუ არა ჩატარებული წინასწარი გამოძიება ამ საქმეთა გამო, გამოვლენილია თუ არა თანამდებობის ყველა პირი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩადენილ დანაშაულს.

სასამართლოებმა ყოველთვის, როცა კანონიერი საფუძველი არსებობს, უნდა იმსჯელონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გამტაცებელთა მიმართ დამატებითი სასჯელების შეფარდების შესახებ, რამდენად მიზანშეწონილია მსჯავრდადებულ პირთა იმავე სამუშაოზე დატოვება, როდესაც მათ სასჯელად ეფარდებათ გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთავად.

სასამართლოებმა ამ საქმეთა განხილვის დროს უფრო აქტიურად უნდა გამოავლინონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, მოახდინონ საჭირო რეაგირება კერძო განჩინებებით, გააძლიერონ კონტროლი მათი შესრულებისადმი. თუ წინასწარი გამოძიების ორგანოებს გამოტანილი ჰქონდათ წარდგინებანი, გამოარკვიონ, რა ღონისძიებანი განახორციელეს შესაბამისმა თანამდებობის პირებმა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე ამ კატეგორიების სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს აღმზრდელი-პროფილაქტიკური საქმიანობის დონის ამაღლებას, სასამართლოები მოვალენი არიან უფრო ხშირად ჩააბან სამსჯავრო განხილვაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, ფართოდ გააშუქონ საქმეთა განხილვის შედეგი პრესაში, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენების გზით. ეს ხელს შეუწყობს სამშენებლო ობიექტებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების შემცირებას, ამ დანაშაულის აღმოფხვრას.

# სასამართლო სასამართლოს კერძო განჩინებების ეფექტიანობა

## თ. ჯავახიძე

ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელებასთან ერთად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილი დადგენილების შესაბამისად, დიდ ყურადღებას უთმობს კონკრეტული დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენას და კერძო განჩინებათა გამოტანის გზით მომავალში მათს თავიდან აცილებას.

სასამართლო მართლმსაჯულება დასჯით კი არ კმაყოფილდება, არამედ ახორციელებს ღონისძიებებს დანაშაულის პროფილაქტიკისათვის, რომელიც დღეს სამართალდაცვითი ორგანოების მთავარ მიმართულებად არის მიჩნეული. დანაშაულის პროფილაქტიკის ერთ-ერთი სახეობაა კერძო განჩინების დადგენა. იგი ააშკარავებს ჩადენილი დანაშაულის მიზეზებს და ხელშემწყობ პირობებს. კერძო განჩინებებს უდავოდ აქვს კერძო ხასიათი და ზოგადი პრევენციული მნიშვნელობაც.

რაიონის სახალხო სასამართლოს 1983 წელს განხილული სისხლის სამართლის საქმეთა გამო გამოტანილი აქვს 65 კერძო განჩინება, ხოლო 1984 წლის ოთხ თვეში 18. განხილულ საქმეებთან შეფარდებით ეს უფრო მეტია ვიდრე საშუალო საკავშირო და რესპუბლიკური მაჩვენებლები. 1983 წელს გამოტანილი კერძო განჩინებიდან 3 მოდის სამრეწველო და 6 სატრანსპორტო საწარმოებზე, 9 — სასოფლო სამეურნეო საწარმოზე, 9 — სავაჭრო და 13 — საყოფაფხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებზე. 25 კერძო განჩინება გამოტანილია მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიმართ.

1984 წელს სასამართლოს მიერ გამოტანილი კერძო განჩინებები გაეგზავნა: სამ სამრეწველო საწარმოს, ორ ადგილობრივ საბჭოს, ორ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს, დანარჩენი — სატრანსპორტო, სავაჭრო, მოსახლეობის მომსახურების ორგანიზაციებს. მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს დაშვებული ხარვეზების გამო გამოტანილია ხუთი კერძო განჩინება.

ყველა კერძო განჩინებაში დასაბუთებულია, თუ რა გარემოებამ განაპირობა დანაშაულის ჩადენა, აგრეთვე რომელი საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმები დაარღვიეს, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებმა. როდესაც ამ დარღვევებს იმდენად არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ სასამართლოს არ შეუძლია მისი გამოსწორება, როგორც წესი, საქმე ბრუნდება ხელახალი გამოძიებისათვის. სასამართლო დიდ მოთხოვნებს უყენებს წინასწარი გამოძიების ხარისხს, ვინაიდან უხარისხოდ და ზერელედ გამო-



ძიებული საქმე ყოველთვის გასაუქმებლად არის განწირული. ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოს დიდი რაოდენობით არ უუქმდება განაჩენები, მაგრამ თუ ეს მოხდა, საქმე, როგორც წესი, ბრუნდება დამატებითი გამოძიებისათვის. ეს მოწმობს, რომ ხარვეზი დაშვებული იყო საქმის წარმოების ამ სტადიაზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ პროცენტული შეფარდებით ყველაზე მეტი კერძო განჩინება გამოტანილია მოკვლევისა და გამოძიების მიერ დაშვებულ დარღვევათა გამო.

მაგრამ საქმარისი არ არის კერძო განჩინების დადგენა. თავისთავად როგორი კარგიც უნდა იყოს კერძო განჩინება, იგი შედეგს ვერ მოიტანს. აუცილებელია სასამართლომ მიაღწიოს, რომ ყველა ორგანიზაცია და თანამდებობის პირი დროულად ახდენდეს რეაგირებას მათ მიმართ, ახორციელებდეს ღონისძიებებს განჩინებაში დასმული საკითხების გადასაწყვეტად და ამის შესახებ დროულად უგზავნიდეს შეტყობინებას სასამართლოს. უამისოდ კერძო განჩინებას და საერთოდ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას სათანადო ეფექტი ვერ მოჰყვება.

სახალხო სასამართლო, უგზავნის რა ორგანიზაციებს კერძო განჩინებებს, შრომითს კოლექტივებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, ავალებს მათ განიხილონ განჩინებები და პასუხი გამოგზავნონ კანონით დადგენილ ერთი თვის ვადაში. სახალხო სასამართლოს კონტროლი აქვს დაწესებული იმისადმი, თუ როგორ ახდენენ ორგანიზაციები რეაგირებას. თუ პასუხი დაგვიანდა, დაუყოვნებლივ იგზავნება შეხსენებანი წერილობითი სახით.

1983 წელს სისხლის სამართლის საქმეთა გამო გამოტანილი 65 კერძო განჩინებიდან პასუხი მიღებულია 64 კერძო განჩინებაზე. მიუხედავად შეხსენებისა, დღემდე არ არის მიღებული პასუხი ქ. ქუთაისის № 32 საშუალო სკოლიდან, აგრეთვე ორი სამოქალაქო საქმის გამო ხაშურის რკინიგზის განყოფილებიდან და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მთავარი საბინაო სამმართველოდან.

1984 წელს სისხლის სამართლის საქმეთა გამო გამოტანილი 18 კერძო განჩინებიდან ერთზე (ს. მღებრიშვილის საქმე) პასუხი არ არის მოსული. თელავის რაიონის ვარდისუბნის კულტურის სახლიდან, თუმცა სასამართლომ შეხსენება გაუგზავნა.

სასამართლო ორგანიზაციებში კერძო განჩინებათა განხილვის მდგომარეობას სისტემატიურად აცნობს პარტიულ ორგანოებს, რასაც დადებითი შედეგები მოსდევს. 1983 წლის 21 ივლისს საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი რაიონის შრომითს კოლექტივებში სამართალდაცვით ორგანოთა წარდგინებებსა და კერძო განჩინებებზე რეაგირების მდგომარეობა და დასახა მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ბიუროზე მიწვეული იყვნენ საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. მათ დაევალათ მკაცრი კონტროლი დააწესონ წარდგინებებსა და კერძო განჩინებებში მითითებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

1984 წლის 13 იანვარს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განიხილეს საკითხი „შრომითს კოლექტივებში სამართალდაცვითი ორგა-

ნობების წარდგინებებსა და კერძო განჩინებებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ. შკაცრად გააფრთხილეს სატვირთო ავტოსაწარმოს დირექტორი, საექსკურსიო ბიუროს უფროსი, დვირისა და გვერდისუბნის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სასტუმრო „ბაკურიანის“ დირექტორი, ბაკურიანის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე და სხვ.

მაგრამ სასამართლოს საქმიანობის ამ დარგში ჯერ კიდევ აქვს არსებითი ნაკლოვებანი, ძირითადად, სასამართლოს კერძო განჩინებანი მიზნობრივია, კონკრეტულია, მაგრამ ზოგიერთი შინაარსობრივად ზოგადია, და ამის გამო ნაკლებად ეფექტიანი.

გამოგზავნილი პასუხი ხშირად ასევე ზოგადი და არაფრის მთქმელია. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს გამოტანილი კერძო განჩინების ხარისხს. ცუდია, რომ სასამართლოს დანერგილი არა აქავს შრომითს კოლექტივებში კერძო განჩინების გახილვა მოსამართლეთა მონაწილეობით. ეს მეტ დამაჯერებლობას მიანიჭებს ჩვენს კერძო განჩინებებს, ამაღლებს მათს ავტორიტეტს და თვით შრომითი კოლექტივის და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტისათვის. საჭიროდ მიმაჩნია დავაყენო ერთი საკითხი: ზოგჯერ დანაშაულს სჩადიან სხვა რაიონებიდან ჩამოსულები და სასამართლოს საქმის განხილვის შემდეგ გამოაქვს კერძო განჩინებანი ჩადენილ დანაშაულთა გამომწვევი მიზეზების გამო, მათ რეაგირებისათვის ვგზავნით ორგანიზაციაში, რომელშიც მსჯავრდადებული მუშაობდა, ან საცხოვრებელ ადგილას. ამასთან ადრესატს ვაველებთ პასუხების გამოგზავნას ერთი თვის ვადაში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, პასუხი იგვიანებს ანდა საერთოდ არ მოდის სწორედ იმ კერძო განჩინებებზე, რომლებიც ვაგზავნილია რაიონის ფარგლებს გარეთ. მიზანშეწონილია პრაქტიკაში შემოვიღოთ, რომ რაიონის ფარგლებს გარეთ ვაგზავნილი კერძო განჩინებების თაობაზე ვაცნობოთ იმ რაიონის სახალხო სასამართლოს, სადაც ვაიგზავნა განჩინება და ვთხოვოთ დააწესოს კონტროლი მისი შესრულებისადმი.



იბრ



## **საქსპერტო დანახვების რილი დაგნაშავების პროფილაქტიკაში**

### **3. ჯაოზვილი**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის მეორე ნაწილით, ექსპერტი აღჭურვილია უფლებით, მონაწილეობა მიიღოს დანაშაულის თავიდან აცილებაში.

ამის შესაბამისად სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებები დიდ მუშაობას ეწევიან დამნაშავეობის პროფილაქტიკისათვის, მათი ამ საქმიანობის ფორმები მრავალფეროვანია: კონკრეტული ექსპერტიზების დროს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების გამოვლენა, საექსპერტო პრაქტიკის განზოგადების მასალების საფუძველზე პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება, სპეციალური სამეცნიერო კვლევა, პროცესში მონაწილეობის მიღება, საექსპერტო პროფილაქტიკის საკითხებზე ლექციები, ტელევიზიით გამოსვლა და სხვა.

ბოლო წლებში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური რესპუბლიკური სასამართლო-ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია ამ საქმიანობას საგანგებო ყურადღებას უთმობს, განხორციელდა მიზანდასახული ღონისძიებები, იზრდება პროფილაქტიკური ხასიათის წერილების, ცალკეულ საქმეებზე შეტყობინებათა რაოდენობა. ამას გარდა ლაბორატორიაში საექსპერტო პროფილაქტიკის განზოგადების მასალების მიხედვით შემუშავდა პროფილაქტიკური რეკომენდაციები. ლაბორატორია აქტიურად ჩაება იმ საქმიანობაში, რომლებსაც სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებები ეწევიან სამშენებლო ობიექტებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების თავიდან აცილებისათვის და ამ დარგში პროფილაქტიკის ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავებისათვის. ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ წაკითხულია ბევრი ლექცია და მოხსენება, მოეწყო მრავალი კონსულტაცია.

სასამართლო-ექსპერტიზის ლაბორატორია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დარღვევათა გამოვლინებას რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსებში, რომლებზეც საგრძნობლად არის დამოკიდებული სასურსათო პროგრამის განხორციელება.

კვების მრეწველობის საწარმოებში დატაცების საქმეების მიხედვით საექსპერტო პრაქტიკის განზოგადების მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის დარღვევა. ამას გარდა შემუშავებული არ არის ზოგიერთი სახეობის

პროდუქციის ნატურალურობის დადგენის აპრობირებული მეთოდისა, არ არსებობს პროდუქციის ვეტალონური ნიმუშები. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდათ მთელ რიგ უალკოჰოლო და სპირტიანი სასმელების საწარმოებში (კასპის რაიონის ქვემო ჭალის დასპირტული და უალკოჰოლო ხილის წვენების ქარხანა, ცაგერის სასურსათო კომბინატი და ა. შ.) იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა საწარმოებში ამა თუ იმ მიზეზებით ქმნიან პირობებს ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების ან მზა პროდუქციის უკანონო გატანისათვის. ასე მაგალითად სიღნაღის რაიონის მცხოვრების ს. პანკაშვილის საქმის გამო ჩატარებული ექსპერტიზის დროს დადგინდა, რომ გამოსაკვლევად წარმოდგენილი 100 ბოთლი არაყი არ აკმაყოფილებდა სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს. ამასთანავე ექსპერტიზამ გვიჩვენა, რომ ეს არაყი შეიცავდა სპირტრექტიფიკატს, რომელიც არ იყიდება. ამ საქმეზე სასამართლო-ექსპერტიზის ლაბორატორიამ პროფილაქტიკური წერილი გაუგზავნა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს.

სამშენებლო ობიექტებზე დატაცების საქმეთა საექსპერტო პრაქტიკის განზოგადებამ გვიჩვენა, რომ ორ მესამედ საქმეთა გამო ექსპერტებმა გამოაგლინეს პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა დამნაშაულის ჩადენას. უფრო გავრცელებული იყო საბუღალტრო აღრიცხვის წესების დარღვევა, არასწორი საფინანსო ანგარიშსწორება, ინვენტარიზაციის ჩატარების ინსტრუქციის, აგრეთვე მასალათა აღრიცხვის ძირითადი დებულების დარღვევა, № 2 ფორმის აქტების არასწორი შედგენა, ხელმძღვანელობისა და ბუღალტერიის მხრივ სუსტი კონტროლი, კაპიტალური მშენებლობის სტატანგარიშების შედგენის ინსტრუქციის დარღვევა, რევიზიის უხარისხობა და სხვა.

დიდი მნიშვნელობა აქვს დატაცების ხერხების დადგენას. სასამართლო-ექსპერტიზის ლაბორატორიის გამოკვლევების მიხედვით სამშენებლო ობიექტებზე დატაცების გავრცელებული ხერხებია: ხელფასის გადახარჯვა და საშენ მასალათა ზედმეტად ჩამოწერა, საშენ მასალათა გეგმის ზევით ჩამოწერა, სამუშაოს მოცულობის და ღირებულების გაზრდა უწყისებში, საშენ მასალათა ჩამოწერა ფიქტიური აქტებით, გეგმის შეუსრულებლობის დროს პრემიის უსაფუძვლო დარიცხვა და გაცემა და სხვ. მაგალითად, დმანისის მთელი რიგი ობიექტების მშენებლობაზე სოციალისტური საკუთრების დატაცების თაობაზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმის გამო საინჟინრო-სამშენებლო სასამართლო ექსპერტიზის დროს დადგინდა, რომ მშენებლობის უფროსი და სამუშაოთა მწარმოებლები განგებ უზუსტოდ ადგენდნენ ტექნიკურ დოკუმენტაციას, ხელოვნურად ზრდიდნენ სამუშაოთა მოცულობას. გარდა ამისა, ექსპერტიზამ დაადგინა დარღვევები სამუშაოთა საანგარიშსწორებო დოკუმენტებში. ამ გზით დამნაშავეები ჰქმნიდნენ პირობებს ფულადი სახსრების დატაცებისათვის. დატაცების ხერხების გამოვლენის მაგალითს წარმოადგენს კვლევა, რომელიც განხორციელდა ლაგოდნის საყოფაცხოვრებო კომბინატის თანამშრომელთა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ექსპერტიზით დადგინდა იქნა, რომ დამნაშავეები უფაქტურო საქონლის შექმნის მიზნით, ფიცრებს სტანდარტული 60 მმ ნაცვლად 50 მმ სისქისას ხერხავდნენ.

როგორც უკვე ითქვა, ერთ-ერთი პირობა, რომელიც ხელს უწყობს დატაცებას, არის უხარისხო ინვენტარიზაცია და რევიზია. მაგალითად, 58 საექს-

პერტო დასკვნიდან ჩანს, რომ ყველა ამ საქმის გამო მანამდე მოეწყო უწყებრივი რევიზია, ხოლო ექსპერტიზის 29 დასკვნა არ დაემთხვა წინანდელი რევიზიის მონაცემებს. უმეტეს საქმეთა გამო სასამართლო ექსპერტიზა ადგენს მატერიალური ზარალის დიდ ოდენობას, არცთუ იშვიათად ეს განსხვავებანი სერიოზულია. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ აკადემშენის „სსს-ში“ წამატებათა ფაქტის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით რევიზიამ გამოავლინა 35.800 მანეთი დანაკლისი. მაშინ როდესაც სასამართლო სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის მიერ დადგენილმა ზარალის ოდენობამ შეადგინა 44.506 მანეთი. ეს იმით აიხსნება, რომ რევიზორმა გამოიჩინა გულგრილობა, არ გააანალიზა მთელი დოკუმენტაცია და დაეყრდნო მარტოდენ ხარჯთაღრიცხვას, ჩათვალა კედლების ქვის ფილებით მოპირკეთების სამუშაოები, თუმცა, ფაქტობრივად ეს კედლები შეღესილი იყო ცემენტის ხსნარით.

განზოგადების მასალების მიხედვით რევიზიისა და სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებს შორის წარმოშობილი შეუსაბამობის ძირითადი მიზეზებია: მცდარი ანგარიშები, რევიზიის დასკვნების დაყრდნობა არა პირველადს დოკუმენტებზე, ფასების არასწორი გამოყენება, შეცდომები უწყისების შედგენაში, რევიზორთა დაბალი კვალიფიკაცია და ა. შ.

ბოლო ხანს სასამართლო საბუღალტრო ექსპერტიზაში განხორციელდა ბევრი ღონისძიება პროფილაქტიკური საქმიანობის სრულყოფისათვის. მაგალითად, სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზების განყოფილებამ სახელმწიფო ვაჭრობის სამინისტროს და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში დატაცების საქმეებთან დაკავშირებით მოამზადა პროფილაქტიკური წერილი. განზოგადების მასალებში გამოვლენილია პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა ვაჭრობის სფეროში დატაცებას. კერძოდ, უხეშად ირღვევა სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის 1968 წლის 29 აპრილის ბრძანების მოთხოვნები; სასაქონლო და მატერიალური ღირებულებების ინვენტარიზაცია ფორმალურად ტარდება, არ ხდება ინვენტარიზაციის შედეგების საკონტროლო შემოწმება, სათანადო კონტროლი არ ხორციელდება ხელმძღვანელობის და მთავარი ბუღალტრების მხრივ და სხვა. ეს წერილი განხილულ იქნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე და საჭირო რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ვაჭრობის სამინისტროს და „ცეკავშირის“ გამგეობის ხელმძღვანელობას.

ხელნაწერების ექსპერტიზის განყოფილებაში სადავო ანდერძებთან დაკავშირებული საქმეების მასალების განზოგადების საფუძველზე გამოვლენილია პირობები, რომლებიც აბრკოლებს ანდერძებზე ხელმოწერების ექსპერტიზებს. ამ კატეგორიის საქმეთა გამო ექსპერტების დასკვნას სასამართლოსათვის უმეტესად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორი გადაწყვეტილების დასადგენად, მოქმედ წესების თანახმად, მოანდერძე ვალდებულია ანდერძსაც და რეესტრის წიგნშიც ხელი მოაწეროს სრულად, გასაგებად, გვარის, სახელის და მამის სახელის მითითებით. სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის დროს სადავო ხელმოწერების იდენტიფიცირებისათვის, როგორც წესი, თავისუფალ ნიმუშებად იძლევიან აღნიშნული პირების ხელმოწერას საპენსიო ბარათებზე ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტებზე. ეს ნიმუშები გამოსაკვლევი ხელმოწერისაგან

განსხვავებით შესრულებულია თავისუფალი ხელმოწერის სახით. ეს ამნელებს, ხშირად კი შეუძლებელსაც ხდის საექსპერტო ამოცანის გადაწყვეტას.


ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის, ადვოკატურის და მმართველობის ორგანოების სამმართველოს გაეგზავნა წერილი თხოვნით, რომ ანდერძის გაფორმების წესები შეეცნოთ მოთხოვნით, ანდერძშიც და რეესტრის წიგნშიც იყოს მოანდერძის თავისუფალი ხელმოწერის ნიმუში.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის ბევრი რამ გაკეთდა სასამართლო-ავტორიტეტული ექსპერტიზის განყოფილებაშიც. მაგალითად, ავტობუსის გაზ-695-ის მძღოლის რ. მიქელაძის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საექსპერტო გამოკვლევით დადგინდა, რომ ამ ავტობუსის სამუხრუჭე სისტემა სერიოზულად გაუმართავი იყო, რის გამოც ავტობუსი წითელ შუქნიშანზე დაეჯახა შემხვედრ მსუბუქ ავტომანქანას. ექსპერტმა თავის შეტყობინებაში გამომძიებელს აცნობა, რომ ავტობუსი ხაზზე გაუშვეს სერიოზულად გაუმართავი სამუხრუჭე სისტემით და ავტოსაწარმოს დარღვეული აქვს უსაფრთხოების ტექნიკის წესები.

მოსკვიჩ 407-ის ურემთან შეჯახების ფაქტის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ექსპერტმა დაადგინა, რომ შეჯახება განაპირობა ჭურმის დამით მოძრაობამ ამოსაცნობი სინათლის გარეშე. ექსპერტმა თავის შეტყობინებაში სთხოვა გამომძიებელს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებში შესულიყო წარდგინებით, რათა საჭაბნე ტრანსპორტი აღიჭურვოს აუცილებელი სასინათლო მოწყობილობით.

ავტოსაგზაო შემთხვევების პროფილაქტიკაში გამოიყენება საექსპერტო პროფილაქტიკის ისეთი ფორმაც, როგორც არის საექსპერტო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება. ლაბორატორიის აფხაზეთის ფილიალმა მოამზადა წერილი ავტოავარიების საქმეების ექსპერტიზის მასალების მიხედვით, რომლებიც მომხდარია მსუბუქი ავტომანქანების დეტალების და ზოგიერთი კვანძების კონსტრუქციული დეფექტების გამო. ეს წერილი საექსპერტო დაწესებულების რეკომენდაციებთან ერთად გაიგზავნა ქვეყნის შესაბამის ავტოქარხნებში.

საექსპერტო-პროფილაქტიკური საქმიანობის ეფექტიანობის შესწავლისათვის ლაბორატორიაში შემუშავებულია სპეციალური ანკეტა, რომელიც შეიცავს მთელ რიგ კითხვებს ექსპერტის რეკომენდაციების გამოყენების შესახებ. პროფილაქტიკურ შეტყობინებასთან ერთად იგი ეგზავნება გამომძიებელს (სასამართლოს), რომელიც ავსებს მას და უკან აბრუნებს ლაბორატორიაში. ბოლო წლების პრაქტიკა მოწმობს, რომ ლაბორატორიის ექსპერტთა შეტყობინების უმეტესობა შედგენილია ხარისხიანად და გამოხმაურებას პოულობს საგამომძიებო და სასამართლო ორგანოების წარდგინებებში და კერძო განჩინებებში. მაგალითად, კასპის რაიპროკურორის შეტყობინებაში აღნიშნული იყო, რომ „საქსოფლტექნიკის“ № 4 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოში წამატების ფაქტის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დროს ექსპერტებმა გამოავლინეს პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა სამართალდარღვევებს (ფორმა № 2-ის არასწორად შედგენა, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა შეცვლის



დროს მატერიალური ფასეულობების გადაცემის შესახებ შესაბამისი აქტების შეუდგენლობა და სხვა). შეტყობინებაში აღნიშნული იყო, რომ ექსპერტიზის მასალები საფუძვლად დაედო წარდგინებას, რომელიც ამ საქმის თაობაზე იქნა შეტანილი.

სამწუხაროდ, ლაბორატორიაში ცოტა შემოდის ასეთი შეტყობინებები სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებიდან. არაფერს იწერებიან ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებენ ორგანიზაციები და დაწესებულებები ექსპერტების პროფილაქტიკური რეკომენდაციების შესასრულებლად. ეს აქვეითებს და აღარბებს საექსპერტო-პროფილაქტიკურ საქმიანობას.

სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის დროს ლაბორატორიის პრაქტიკაში არ არის შემთხვევა, რომ ექსპერტიზის წინაშე ისმებოდეს საკითხი დანაშაულის ჩადენის პირობების და ხელშემწყობი მიზეზების შესახებ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად კი, პირი, რომელიც აწარმოებს მოკვლევას, გამოძიებელი, პროკურორი და სასამართლო მოვალენი არიან გაარკვიონ ეს პირობები, ხოლო მტკიცების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ექსპერტის დასკვნა (საქართველოს სსრ სსსკ 61 მუხლის II ნაწილი). ეს ნაწილობრივ იმიტაც აიხსნება, რომ არასაკმაო მეთოდოლოგიური მუშაობა წარმოებს სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების მუშაკებთან, კერძოდ, დანაშაულის პრაქტიკაში კრიმინალისტიკური ტექნიკის და სასამართლო ექსპერტიზის შესაძლებლობათა განსამარტავად. საჭიროა საგამოძიებო და სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებს შორის გაფართოვდეს ინფორმაციის გაცვლა, მოხდეს მათი საქმიანობის კოორდინაცია დანაშაულის პრაქტიკის რესპუბლიკის სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებების მუშაობის პრაქტიკა 1983 წლის მაისში შესწავლილ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. მიღებულ დადგენილებაში ხაზი გაესვა ამ დაწესებულებებში პროფილაქტიკური მუშაობის დიდ მნიშვნელობას და დასახული იქნა ღონისძიებები მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებათა შესაძლებლობების უფრო სრულად გამოყენება და იმ პირობების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, დამნაშავეობასთან ბრძოლის გადამწყვეტი პირობაა.

ქაბ  
ქაბ  
ქაბ  
ქაბ  
ქაბ  
ქაბ  
ქაბ  
ქაბ  
ქაბ  
ქაბ  
ქაბ



კობი  
ნ. ს.  
სამი  
გ. მ.

## **სიასლანი კადრების გადამზადებაში**

**მ. კოვასიძე,**

საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული გეგმით შარშან რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაცია უნდა აემიღლებინა 269 კაცს, აიმაღლა 325-მა (121,6 პროცენტი). გეგმის გადამეტებით კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა 23 სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარეებმა და სახალხო მსაჯულებმა. ამას გარდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალების თანახმად ქ. თბილისის ყველა რაიონში, ადგილზე გადამზადდა 852 სახალხო რაზმელი.

1983 სასწავლო წელს რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროების მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმით რესპუბლიკურ კურსებზე სულ უნდა ჩატარებულყო 2184 აკადემიური საათი ლექცია-სემინარი და პრაქტიკული მეცადინეობა, ჩატარდა 38 საათით მეტი, აქედან 1828 საათი ლექცია, 252 სემინარი, 142 პრაქტიკული მეცადინეობა. სასწავლო წელს მსმენელთა თხოვნით გაიმართა 24 საათიანი ჯგუფური კონსულტაცია.

პრაქტიკული მეცადინეობები ეწყობოდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ რესპუბლიკური კურსებისათვის გამოყოფილ ბაზებში, კერძოდ, ქ. თბილისის პირველი მაისისა და 26 კომისრის რაიონების სახალხო სასამართლოებში, ქ. თბილისის კიროვის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში, ქ. თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ქორწინების სასახლეში, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მმაჩის განყოფილებაში, სახელმწიფო არბიტრაჟში, სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, „ცეკავშირში“, საქართველოს სსრ ვაჭრობის და იუსტიციის სამინისტროებში.

მსმენელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული თემატიკის მიხედვით ყველა ნაკადის მსმენელი, გარდა სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მდივნებისა, ასრულებენ სავალდებულო წერით სამუშაოებს რეფერატებისა და საკონტროლოების სახით, რომლებსაც იცვენ კომისიაში ნიშნის შეფასებით.

უკანასკნელ წლებში უფრო სრულყოფილად ხდება სახალხო მოსამართლეთა გადამზადება.



ისევე როგორც წინა წელს, შარშანაც მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაში დიდი დახმარება აღმოგვიჩინა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ (თავმჯდომარე ა. გ. კარანაძე). რესპუბლიკურ კურსებზე სასწავლო გეგმით დამტკიცებულ 156 საათიდან, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის აქტუალურ საკითხებზე 40 საათი ლექცია წაიკითხეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ვ. ედიშერაშვილმა, გ. დევდარიანმა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 18 წევრმა. უკანასკნელ წლებში სახალხო მოსამართლეებისა და ადვოკატების ნაკადები დამტკიცებული სასწავლო გეგმით პრაქტიკულ მეცადინეობას გადიან სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. სახალხო მოსამართლეებთან კრიმინალისტიკის საკითხებისათვის განკუთვნილი 8 საათიდან პროფესორმა ა. ფალიაშვილმა 6-საათიანი პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარა სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში.

სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის დიდ მუშაობას ეწევა რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭო, რომლის შემადგენლობა 13 კაცით დამტკიცებულია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ.

1983 სასწავლო წელს მეთოდოლოგიური საბჭოს სხდომა გაიმართა 9-ჯერ, განხილულია 47 საკითხი, მათ შორის: მორიგი ჯგუფების მსმენელებისათვის სასწავლო გეგმისა და პროგრამის განხილვა-რეკომენდაციის შესახებ; მსმენელებისათვის სავალდებულო წერითი სამუშაოების, რეფერატებისა და საკონტროლო სამუშაოების თემატიკის განხილვა-დამტკიცება; სასწავლო პროცესის და მსმენელთა კვალიფიკაციის ამაღლების შედეგები; იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტიდან მიღებული მეთოდოლოგიური რეკომენდაციებისა და მითითებების განხილვა-გაცნობა; კურსებზე გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მიერ მიღებული რეკომენდაციების განხილვა-დამტკიცება; კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების გეგმის განხილვა-დამტკიცება; სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლის ამოცანები, აგრეთვე სხვა საკითხები.

მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები შარშან 12-ჯერ დაესწრნენ ლექცია-სემინარებს, რომელთა შედეგები განხილულია მეთოდოლოგიური საბჭოს სხდომაზე. გაერთიანებულ ჯგუფებში მოეწყო ღია ლექციები, რომლებსაც ესწრებოდნენ მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები. ღია ლექციები თემებზე — „შოთა რუსთაველის შეხედულება სამყაროს აგებულებაზე ანუ რუსთაველის კოსმოლოგია“, „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისათვის ისტორიული მნიშვნელობა“, „მართალი სამართლის პრობლემა ძველ საქართველოში“, „რუსთაველი — დიდი ქართველი ჰუმანისტი“, „მხატვრული ლიტერატურის როლი მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში“, „ქართული სამართლებრივი კულტურის საკითხები“ წაიკითხეს პროფესორებმა გ. თევზაძემ, ა. ბენდიანიშვილმა, ი. სიხარულიძემ და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. გამყრელიძემ.

შარშან 6 ოქტომბერს რესპუბლიკურ კურსებზე გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის შედეგები და პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“. კონფერენციაზე წაიკითხეს ოთხი მოხსენება, რომელთა განხილვაში მონაწილეობა მიიღო 7 კაცმა. კონფერენ-

ციის შედეგები შეაჯამა პროფესორმა ა. ბენდიანიშვილმა. კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები, რომელიც განიხილა და მოიწონა მეთოდოლოგურმა საბჭომ. მიღებულია დადგენილება, რომელიც რეკომენდაციებთან ერთად შესასრულებლად გადაეცა რესპუბლიკურ კურსებზე მოწვეულ ძირითად ლექტორებს.

რესპუბლიკურ კურსებს პრაქტიკაში აქვს დანერგილი მსმენელთა შეხვედრები რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან — ე. წ. „მრგვალ მაგიდასთან“. ასეთი შეხვედრა ორჯერ მოეწყო იუსტიციის სამინისტროს სააქტო დარბაზში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების — საქართველოს სსრ პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წარმომადგენლებმა. გაიმართა საინტერესო საუბარი, მსმენელთა შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელებმა.

სიახლო დებუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მდივნების ორივე ჯგუფის მსმენელებმა დაათვალიერეს თბილისის სიახლო დებუტატთა საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომში დებუტატთა ოთახი. მსმენელებს საინტერესო ახსნა-განმარტებებს აძლევდა ამ რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი ე. სვანიძე. ამ ნაკადის ორივე ჯგუფის მსმენელები 1983 წლის 17 დეკემბერს მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 29 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკურ კურსებზე ლექცია-სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისა და სასწავლო-მეთოდოლოგიური საბჭოს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის 1984 წლის 3 თებერვლის ბრძანებით პროფესორებს ნ. ი. წერეთელს, გ. ა. ერემოვს, ა. ი. ფალიაშვილს, თ. ა. ლილუაშვილს, ვ. ნ. ნადარეიშვილს, შ. დ. ჩიკვაშვილს, ა. ს. ბენდიანიშვილს, ი. მ. სიხარულიძეს, გ. გ. ჭუმბურიძეს, დოცენტებს — შ. გ. ფაფიაშვილს, ა. მ. ლაბარტყავას, რ. ს. ჭოლოშვილს, გ. დ. გურგენიძეს, დ. ა. ცისკარიშვილს, დ. ე. ცინცაძეს, ორთრიდულ მეცნიერებათა კანდიდატებს — თ. კ. გამყრელიძეს, გ. გ. დევდარიანს, ბ. ი. ზოიძეს, პრაქტიკოს მუშაკებს — მ. ლ. ბალათურიას, გ. ვ. როინიშვილს, გ. ი. სიხარულიძეს, ე. ს. ხომასურიძეს, გ. ყ. იოსავას, ი. ა. ლლონტს, ნ. დ. მელიას, ს. ი. სიხარულიძეს, ც. ვ. ხარებოვას, ზ. ვ. ისაკაძეს, ი. ვ. ნანობაშვილს, თ. ფ. საბიაშვილს, რ. დ. მაზანაშვილს, ქ. ა. სუხიშვილს, გ. ბ. შონიას, ც. თ. კიკალეიშვილს, გ. ი. ეხვიაას, გ. ს. ცირამუას, ნ. ა. წიქორიძეს, ა. ი. ზონიკინას, თ. ა. ჯიბლაძეს გამოეცხადათ მადლობა.

კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების დამტკიცებელი გეგმის შესაბამისად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის, თბილისისა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნავი და ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად მოეწყო 46 ექსკურსია, მათ შორის 5 ქალაქგარეთ (მცხეთა, თელავი, კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე), ხოლო 10-ჯერ — კოლექტიური სვლა თეატრებში, რომლებშიც მონაწილეობდა 1452 კაცი.

მსმენელებს საჭირო დახმარებას უწევს რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური კაბინეტი და ბიბლიოთეკა 20 კაციანი სამკითხველო ოთახით. რესპუბლიკური კურსების მსმენელებისათვის გამოწერილია 34 საკავშირო და რესპუბ-

ლიკური ჟურნალი, 21 დასახელების ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთები.

რესპუბლიკურ კურსებს აქვს ყოველთვიური კედლის გაზეთი — „მართლმსაჯულების მსახური“. 1983 წელს გამოვიდა 12 ნომერი, რომლებშიც სასწავლო პროცესების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და რესპუბლიკური კურსების მუშაობის სხვა აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნდა. 59 წერილი. გაზეთი მონაწილეობდა მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში და დაჯილდოებული იქნა საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მეორე ხარისხის დიპლომით.

რამდენიმე სიტყვა კურსების კეთილმოწყობისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. რესპუბლიკური კურსების შენობის კაპიტალური შეკეთება თანხის უქონლობის გამო ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა ყველა ოთახში, მათ შორის საერთო საცხოვრებელისათვის გამოყოფილ 5 ოთახში, აუდიტორიებში, სამუშაო ოთახებში და დერეფანში, ჩატარდა მიმდინარე რემონტი და კეთილმოწყობა. პირველად, 1983 წლის ივლის-აგვისტოში რესპუბლიკური კურსები აღჭურვილ იქნა საჭირო ტექნიკური საშუალებებით. კერძოდ, შეიძინეს ფერადი ტელევიზორი; კინოსაპროექციო აპარატი; დიაპროექტორი; გრაფობროექტორი; მაგნიტოფონი „ვეგა“ — ლექციებისა და სასემინარო დისკუსიების ჩასაწერად; ფოტოაპარატი „კიევი“, სხვადასხვა სახის სასწავლო დიაფილმები, ფირსაკრავი და სხვა. აღნიშნული ტექნიკური საშუალებები დიდ დახმარებას გაუწევს როგორც მსმენელებს. ასევე ლექტორებს ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხიანად და მაღალ დონეზე ჩატარებაში.

ტექნიკური საშუალებები უკვე გამოყენებულია. ამას გარდა მსმენელებს უჩვენებენ კინოფილმებს — „მართლმსაჯულება სსრ კავშირში“, „კანონიერების სადარაჯოზე“, „გასროლის კვალი“ და „კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია“.

ეს სიახლენი ადგილზე დაათვალიერეს და მოიწონეს იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულად საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ს. ხალდევეძმა და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

სასწავლო წლის წარმატებით დამთავრების აღსანიშნავად კურსების თანამშრომლებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის 1984 წლის 3 თებერვლის ბრძანებით გამოეცხადათ მადლობა და დაჯილდოვდნენ თითო თვის ხელფასით.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ცალკეული ნაკლოვანებები, რომელიც ჯერ კიდევ არის რესპუბლიკური კურსების საქმიანობაში. რესპუბლიკური კურსებისათვის გამოყოფილი სასწავლო ბაზები მოითხოვს ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას და კეთილმოწყობას. 1984 სასწავლო წელს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მის სრულყოფას და მუშაობის ეფექტიანობის ზრდას!

# სამართლებრივი აქტების ენობრივი სტილი

## გ. სიხარულიძე

ქართული ენა სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანია. ამას მარტო ადასტურებს, რომ ენის ნორმების დამდგენ კომისიას რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. ბოლო ხანს დაწინაურდა საენათმეცნიერო კვლევა-ძიება, ლექსიკოლოგიური, მთარგმნელობითი საქმიანობა, კიდევ უფრო გაიზარდა ეროვნული ენის ავტორიტეტი, მეტი ყურადღება მოითხოვა ქართული ენის პრაქტიკული გამოყენების საკითხებმა. დროდადრო ქართულ პერიოდიკასა თუ პრესაში გამოკრთება რუბრიკა: „ქართული ენის სიწმინდისათვის“.

ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა დგას კანონმდებელთა, სამართალმცოდნეთა წინაშეც, პრობლემა რთული და მრავალწახნაგოვანი — ენისა და კანონის, უფრო სწორედ, სამართლებრივი დოკუმენტებისა და აქტების ენის სტილის საკითხი.

შარშან „საბჭოთა სამართლის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნებული იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ოთარ გამყრელიძის წერილი „კანონის ენის შესახებ“ მკვლევარისაგან უფრო ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა თანამიმდევრული განვითარებაა. ამასთან, აქ აღძრულია ახალი საკითხებიც, დასაბუთებულია მათი გადაწყვეტის გზები და საშუალებანი.

კანონის ენის დახვეწა საძნელო საქმეა, ალბათ, იმიტომ, რომ იგი შორს სცილდება ერთი რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებს და მოითხოვს სამართალმცოდნეთა და ენათმეცნიერთა გაერთიანებულ ძალისხმევას.

მსგავსი პრეცედენტი წინათაც არსებულა. სამოციან წლებში „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის“ რედაქტირებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი სწავლული ფილოლოგები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივანე გიგინეიშვილი და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შალამბერიძე.

პროფესორი გ. შალამბერიძე კვლავაც ჩვეული მზადყოფნით გამოეხმაურა ო. გამყრელიძის პუბლიკაციას და თავის წერილში „კანონის ენის დახვეწისათვის“ არაერთი საგულისხმო მოსაზრება შემოგვთავაზა.

ავტორთა მისწრაფებაა შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სამართლებრივი ლიტერატურის სტილი, გაწმინდონ კანონის ენა უცხოური კონსტრუქციებისაგან, „კალკისა“ თუ ყოველგვარი „იზმისაგან“, რაც მეტად აბუნდოვანებს ჩვენს ენას, მიმზიდველობასა და ბუნებრიობას უკარგავს ქართულს. ამასთან, მკვლევრები ერიდებიან უკიდურესობასაც — ხელადებით არ ცდილობენ დამკვიდრებულ ტერმინთა შეცვლას, ვინაიდან კარგად იციან, რომ ენა ხელოვნურობას; უხეშ ჩარევას ვერ ეგუება.

უთუოდ მისაღებია მეცნიერთა მოსაზრებანი სიტყვების — „შესახებ“, „პირი“, „ლაზობა“, „ბინა“, „თევზჭერა“, „დაყადაღებული“, „განაჩინა“, „მსჯავრდებული“ და მისთანათა ხმარების თაობაზე.

ასევე გასაზიარებელია ო. გამყრელიძის შეხედულება ტერმინ „კრედიტორის“ შესახებაც, თუმცა გ. შალამბერიძის აზრით, „კრედიტისაგან“ ნაწარმოები ტერმინების გამოყენებაზე უარის თქმა გაჭირდებოდა<sup>1</sup>.

უცხოურ ტერმინთა სრული განდევნა მართლაც შეუძლებელია, მაგრამ თუკი ქართულს ხელეწიფება რომელიმე მათგანის შეცვლა, სასურველია ასე მოვიქცეთ, თორემ მოგვიხდება უარის თქმა ქართულ ტერმინზე. ეს ითქმის „კრედიტორის“ „მევალეთი“ შეცვლის თაობაზეც.

აღნიშვნის ღირსია მეცნიერთა მისწრაფება აღადგინონ ტერმინ „უზენაესის“ უფლებანი. როგორც გ. შალამბერიძე შენიშნავს, „აქაღა“ „უზენაესი“ ღვთის ეპითეტადაც არის გამოყენებული, ხელი აიღეს „უზენაეს“ სიტყვაზე...<sup>2</sup>.

„უზენაესი“ ნაწარმოებია „უ-ეს“ აფიქსებით. სიტყვის ფუძეში რჩება „ზენა“ ანუ „ზემო“. სხვა მნიშვნელობით „ზენა“ მართლაც „ზეციერია“, მაგრამ ეს მეორეული, გვიანდელი მოვლენაა. ამას ცხადყოფს თვით „ზენა“-ს ანალიზი. იგი ისევეა ნაწარმოები, როგორც „ქე-ენ-ა“. ამრიგად, „ზენა“-ს ძირში „ზ“ იკვეთება.

სხვათა შორის, მსგავსი რამ („ზ“, „ზე“) ჩანს „მზე“-შიც (ნაწარმოებია ისევე, როგორც „მხნე“, „მძლე“)... აგრეთვე სიტყვაში „მზერა“ და ა. შ. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. სავარაუდოა, რომ „ზ“-ს კავშირი უპირველეს მნათობთან ჩვეულებრივი მოვლენაა და იგი გარკვეულად პირველყოფილი მატერიალისტური, რეალისტური აზროვნების ანარეკლია. „ზ“ ძირიდან მომდინარე სიტყვები (მათ შორის — „ზენა“, „უზენაესი“) გაცილებით გვიან შეიძენდა „ღვთაებრივის“, „ზეციურის“ შინაარსს, თუმცა მათ ამის შემდეგაც არ დაუკარგავთ ადრინდელი მნიშვნელობა. საამისო ნიმუშები მრავლად არის ჩვენს ენაში.

„ზენა“ დღესაც „მალა მდებარეს“ აღნიშნავს, ხოლო „უზენაესი“ — „ყველაზე მალა მდებარეს“, „უპირველესს“.

ენობრივი თვალსაზრისით, „უზენაესის“ „უმაღლესით“ შეცვლა მართებული არ იყო. მაგრამ ოციან-ოცდაათიან წლებში გაჩაღებული ბრძოლა რელიგიური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ზოგჯერ ამგვარ უეიდურესობაშიც ვლინდებოდა.

სხვა ვითარებაა დღეს, როცა განვითარებული სოციალიზმი რეალობად იქცა, მეცნიერებისა და ტექნიკის დაწინაურებამ საბოლოოდ დაასამარა მრავალი ცრურწმენა, გადამწყვეტი დარტყმა აგემა რელიგიურ მისტიციზმს. მართალია, წარსულის მანკიერ გადმონაშთთა წინააღმდეგ ბრძოლა ამჟამადაც მიმდინარეობს, მაგრამ მისი სარბიელი გაცილებით უკეთ არის განსაზღვრული. ოცდაათიანი წლებისაგან განსხვავებით, დღეს საზოგადოებას მტკიცედ უპყრია ტრადიციის მართვის სადავეები, რაც აღნიშნულ საქმიანობას უფრო მიზანმიმართულს ხდის. მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვა ენამაც როგორც სპეციფი-

<sup>1</sup> გ. შალამბერიძე, დასახ. წერილი, ჟურნ., „საბჭოთა სამართალი“, № 1, 1984, გვ. 33.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34.

კურმა საზოგადოებრივმა მოვლენამ. კარგა ხანია გადაწყდა ენის ლექსიკის, მისი სიტყვიერი ფონდის კლასობრიობის პრობლემაც.

ყოველივე ეს კარგად უწყიან ტერმინ „უზენაესის“ აღდგენის მოსურნეებმა, როცა მოითხოვეს ამ კეთილხმოვანი სიტყვის ჩვენს ყოფაში დამკვიდრებას, მით უფრო, რომ ამის მაგალითს ქართულად თარგმნილი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაც იძლევა, როგორც შენიშნავს ო. გამყრელიძე წერილში „სამართლებრივი აქტების ენა და სტილი“<sup>3</sup>.

მკვლევრები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის“ ენობრივ თავისებურებებსაც. ამ უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტის ენობრივი სტილი, მართლაც, უკეთეს ხედრს იმსახურებს, უწინარესად, გრამატიკული წყობის თვალსაზრისით.

თვალშისაცემია განსხვავებული დისპოზიციები. თანამედროვე ქართული სათავის ნიშანდობლივ წყობას გვიჩვენებენ, მაგალითად — „ზოგადი დებულებანი“, „ზოგადი ნაწილი“, „განსაკუთრებული ნაწილი“, „სახელმწიფო დანაშაული“, „სამხედრო დანაშაული“.. მაგრამ იქვეა მოძველებული ვითარების ნიმუშებიც: „თავი პირველი“, „თავი მეორე“, „მუხლი 80“, „მუხლი 100“ და მისთ. სხვათა შორის, მსგავსი სურათია „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ სათაურებშიც: „კარი I“, „მუხლი I“, „თავი I“.. ამათთან კი თანამედროვე ნორმა: „ზოგადი დებულებანი“, „საბინაო ფონდის მართვა“<sup>4</sup>.

ამგვარი სიჭრელე ვნებს სტილს, აბუნდოვანებს ენას. ან ერთი წყობა უნდა შეირჩეს, ან — მეორე. უმჯობესია მსაზღვრელ-საზღვრულიანი წყობის გამოყენება („პირველი თავი“ და არა — „თავი პირველი“; „პირველი მუხლი“ და არა „მუხლი პირველი“).

უფრო რთულად არის საქმე ისეთ ფრაზებში, როგორცაა — „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ“, „დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ“<sup>5</sup>. უნდა იყოს: „სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“, „მმართველობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“, „საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“ და ა. შ.

დამახასიათებელია ზედმეტსიტყვაობაც, რაც აზრის გაბუნდოვანების უპირველესი მიზეზია. მაგალითად, „ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების მიზნით“<sup>6</sup>, „საბინაო ფონდის სათანადო გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის მიზნით“<sup>7</sup>, „...საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლის გაწევით...“<sup>8</sup>, „საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება“<sup>9</sup>, „რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის განხორციელება“<sup>10</sup>. უმჯობესია: „ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზო-

<sup>3</sup> ო. გამყრელიძე, გაზ. „კომუნისტი“, 1983 წლის 21 იანვარი.

<sup>4</sup> „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“, გაზ. „კომუნისტი“, 1983 წლის 14 ივნისი.

<sup>5</sup> „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი“.

<sup>6</sup> „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი“, მუხლი 96, გვ. 79.

<sup>7</sup> „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“, კარი I, ზოგადი დებულებანი, მუხლი 2.

<sup>8</sup> იქვე, მუხლი 1.

<sup>9</sup> იქვე, მუხლი 16.

<sup>10</sup> იქვე, მუხლი 17.

გადოებრივი ქონების გასატაცებლად“, „საბინაო ფონდის სათანადოდ გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად“, „საცხოვრებელი ფართის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლით“, „საბინაო ფონდის გამოყენებისა და მოვლა-პატრონობისადმი სახელმწიფო კონტროლი“, „რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბინაო ფონდის აღრიცხვა“.

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში“ დანაშაულის განსაზღვრის ასეთი ფორმაა მიღებული: „მუხლი 91. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით“, „მუხლი 92. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება გაძარცვით“, „მუხლი 93. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება თაღლითობით“ და მისთ. სასურველია აზრი ასე შესწორდეს: „91-ე მუხლი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდულად გატაცება“ (ან — „...ქონების ქურდობა“), „92-ე მუხლი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ძარცვით გატაცება“ (ან — „...ქონების ძარცვა“), „93-ე მუხლი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების თაღლითობით გატაცება“ და ა. შ.

მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება, ამგვარი საქმიანობა აუცილებლად მოიტანს სასურველ შედეგს. მაგრამ აქედანვე აშკარაა, რომ ცალკეული საყოჩნალო სტატიებითა თუ წერილებით გაძნელება წარმატების მიღწევა. საკანონმდებლო ლიტერატურის ენის დახვეწისას ანგარიში უნდა გაეწიოს სამართალმცოდნეთა აზრსაც. შეთანხმებული მუშაობა კი, ჩვეულებრივ, ორგანიზაციულ დაფუძნებასაც (ვთქვათ, სათანადო რედაქციის, კომისიის შექმნას) გულისხმობს. ეს ხელს შეუწყობდა სამართლებრივი აქტების სტილისტურ სრულყოფას, კიდევ უფრო აამაღლებდა მკვლევართა პასუხისმგებლობას, მკვეთრად გაზრდიდა მათ მეცნიერულ აქტიურობას, რაც რეალობად აქცევდა დასახულ მიზანს.

ეტყ

ლოპ

# საფინანსო კონტროლის გაუმჯობესებისათვის

მ. როკატლიშვილი,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა სახელმწიფოს ფინანსური და საკრედიტო პოლიტიკის მიზანია ფინანსებისა და კრედიტის გეგმაზომიერი გამოყენება, კაპიტალდაბანდებათა და წარმოების ეფექტიანობის ხელშეწყობა.

საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაცია, ფორმები და მეთოდები თანდათანობით იხვეწება და სრულყოფილი ხდება.

სსრ კავშირის მშენბანკის და სახელმწიფო ბანკების მეშვეობით ხორციელდება საფინანსო და საბანკო კონტროლი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისადმი, მათ შორის სოფლის მეურნეობის სამშენებლო ობიექტების დაფინანსება-დაკრედიტებისადმი, საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოებისადმი და სხვ.

საპროექტო რუსუსური დოკუმენტაციების წინასწარი შემოწმების შედეგად, ისინი ავლენენ გეგმაში ისეთი ახალი ობიექტების ჩართვის ფაქტებს, რომლებსაც აკლიათ შესაბამისი ასიგნება და ამასთან, გარდამავალი მშენებლობანიც არ არის უზრუნველყოფილი სათანადო სახსრებით. მათივე ინიციატივით მშენებლობის გეგმიდან ამოღებულია ათობით დასაწყები ობიექტი და მათთვის გათვალისწინებული მილიონ მანეთობით თანხები წარიმართება ძირითადი ფონდების ექსპლოატაციაში შესვლისა და გარდამავალ მშენებლობათა დამთავრების უზრუნველსაყოფად. ამას გარდა, საკონტროლო აზომვების ჩატარების შედეგად წამატებებისა და შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის ხელოვნური გაზრდის ფაქტების გამოვლენის საფუძველზე ასევე მილიონ მანეთობით თანხებს ჩამოწერენ საიჯარო ორგანიზაციებიდან და უბრუნებენ დამკვეთებს, ან რიცხავენ სახელმწიფო ბიუჯეტში.

ნაცვლად მთლიანი შემოწმებისა საფინანსო და საკრედიტო სისტემაში შემორჩენილია შერჩევითი შემოწმების მეთოდი. ამ არასწორი პრაქტიკის გამო დარღვევებმა არ იკლო. ჩვენ ვფიქრობთ, თუ შემოღებული იქნება მთლიანი შემოწმების პრაქტიკა, მაშინ ამას დაეჭვემდებარებოდა ყველა ობიექტი და ამით ბანკის დაწესებულებები მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობდნენ. ისინი უფრო მეტად შეეცდებოდნენ არ დაეშვათ ისეთი შემთხვევა, რომ ზემდგომ საკავშირო სარევიზიო ბრიგადებს ამა თუ იმ ობიექტის ხელახალი შემოწმებისას რაიმე დარღვევა აღმოეჩინათ.

1974 წლიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული არბიტრაჟის და სსრ კავშირის მშენბანკის გამგეობის ერთობლივი წერილით მშენბანკის დაწესებულებებს დაევალიათ, რომ, თუ შემკვეთსა და საიჯარო ორგანიზაციებს შორის დაირღვა სახელშეკრულებო დისციპლინა და არც ერთი მხარე პრეტენ-



ზიას არ უყენებს ერთმანეთს არბიტრაჟში, სარჩელის აღძვრა უნდა იკისროს მშენებანკის დაწესებულებამ დაზარალებული მხარის სასარგებლოდ. ასეთი წესი რატომღაც დღემდე არ არის შემოღებული სახბანკის დაწესებულებათა მიმართ.

ამ წესის დაკანონება კი სახბანკის სისტემაშიც უდავოდ ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის დარგებშიც სახელმეურნეო დისციპლინის განმტკიცებას და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებას.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისას მეტი თანხები იხარჯება ახალი ობიექტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, ვიდრე მოქმედის რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ აღჭურვილობაზე, რაც არ შეესაბამება პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებას, რომლითაც სათანადო ორგანოებს დავალებული აქვთ, რომ კაპიტალდაბანდებები, უფრო მეტად მოახმარონ ობიექტების რეკონსტრუქციასა და გაფართოებას, რამდენადაც ამით უფრო ადრე ხდება ფონდუკუგება და ისიც ნაკლები კაპიტალდაბანდებით, ვიდრე ახლის მშენებლობისას.

მიზანშეწონილია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოთა სახელმწიფო კომიტეტმა და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ საგვეგმო ორგანიზაციებთან ერთად თავდაპირველ პროექტებსა და გეგმებში ისე განსაზღვრონ კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურა, რომ აქცენტი გადაიტანონ რეკონსტრუქციაზე და ბანკის დაწესებულებებში სათანადო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ახალმშენებლობათა დასაფინანსებლად იმ შემთხვევაში წარადგინონ, თუკი მოთხოვნილება ვერ კმაყოფილდება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის შედეგად. ბანკის დაწესებულებებს თავის მხრივ უნდა დაევალოთ ზუსტად იხელმძღვანელონ ამ დებულებით და თუ ეს მოთხოვნა დაცული არ იქნება, თავი შეიკავონ ახალი ობიექტების მშენებლობათა დაფინანსებისაგან.

საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ხარისხის კონტროლის გაძლიერების შესახებ, სსრ კავშირის მშენებანკის გამგეობამ თავის დაწესებულებებს დაავალა, რომ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმებაში მონაწილეობა მიიღონ მათმა წარმომადგენლებმაც და დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში არ გაანადღონ ანგარიშები მათ აღმოფხვრამდე. ამ წესის შემოღებამ საგრძნობლად გაზარდა პასუხისმგებლობა და შეამცირა უხარისხო ობიექტების ჩაბარების ფაქტები. ამჟერად, მშენებანკის სისტემაში ობიექტის საექსპლოატაციოდ მიღებამდე წინასწარი შემოწმების ეს წესი მოქმედებს მხოლოდ საწარმოო ობიექტების ჩაბარების დროს და ამ ღონისძიებითაც მეტად გარკვეული დადებითი შედეგებია მიღწეული.

ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა ანალოგიური წესი შემოღებულ იქნეს სახბანკის სისტემაშიც, რათა სოფლის მეურნეობაში ამა თუ იმ ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემისას, მიმღებ კომისიაში მონაწილეობდეს სახბანკის წარმომადგენელიც.

გარდა ამისა, საფინანსო კონტროლი უფრო ეფექტიანი და შედეგიანი რომ იყოს, საჭიროა დღემდე ვადაუწყვეტ ერთ ასეთ გარემოებასაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

უსწორო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს ცენტრალური საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებების სარევიზიო აპარატის მუშაკთა სასამართლო პროცესზე მოწმეთა სახით დაკითხვა და ბრალდებულებთან მათი დაპირისპირება.

ხშირად პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ძირითად საფუძველს ამ რევიზორთა მიერ შედგენილი შემოწმების აქტები წარმოადგენენ ისეთ დანაშაულობათა ჩადენისათვის, როგორც არის სოციალისტური ქონების დატაცება-განიაგება, უხარისხო პროდუქციის გამოშვება, სამსახურებრივი სიყალბე და წამატებები. პროცესზე ბრალდებულები შეურაცხყოფას აყენებენ და შანტაჟს უწყობენ რევიზორებს, რათა აიძულონ ისინი შეარბილონ მამხილებელი მასალების სიმძაფრე და ბრალდებულთა სასარგებლო დასკვნები გამოიტანონ. ასეთ ამორალურ საქციელში ბრალდებულებს არც მათი ოჯახის წევრები და ნათესავები ჩამორჩებიან. ისინიც ყოველ ღონეს ხმარობენ ზემოქმედება მოახდინონ რევიზორებზე ბრალდებულის ინტერესების სასარგებლოდ. ადვილი წარმოსადგენია რა უხერხულობაში ვარდებიან საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებათა რევიზორები, რომლებსაც ხშირად უმაღლეს სასამართლოში უწყვეთ დიდ პროცესებზე გამოსვლა. განსაკუთრებით რთულდება რევიზორის მდგომარეობა, თუ სასამართლო პროცესზე თავის უფლებებს ზოგჯერ ვერ იყენებს მოსამართლე და დროულად არ აღკვეთს მსგავს გამოხდომებს. საგულისხმოა ისიც, რომ პროცესზე რევიზორებს ნერვების და ნებისყოფის დაძაბვა უხდებათ პროკურორის და ადვოკატის მხრივაც, პირველის მხრივ იმ შემთხვევაში, თუ რევიზორს დაავიწყდა აქტიდან ზოგიერთი ეპიზოდი, ან ოდნავ სუსტად ასახა აქტის შინაარსი, ხოლო ადვოკატის მხრივ კი მაშინ თუ ზუსტად და მკაფიოდ გადმოსცემს აქტის შინაარსს და საჯაროდ ამხელს ბრალდებულებს.

რევიზორთა მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებს, რომ მათ წინასწარ გამოძიებისას და სასამართლო პროცესზე აფრთხილებენ, როგორც მოწმეს, რათა სწორი ჩვენება მისცენ საქმის გამო, თორემ პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით. ეს გარემოებაც განსაკუთრებით სამსჯავრო პროცესზე უფრო მეტ უხერხულობაში აყენებენ ბრალდებულის და მის ახლობელთაგან ისედაც შეურაცხყოფილ რევიზორებს და ამ მხრივაც ისინი იძულებული ხდებიან ნაკლები აქტიურობა გამოიჩინონ, რათა საერთოდ თავიდან აიცილონ რთულ პროცესებზე მოწმის სახით გამოსვლა.

შეიძლება თქვან თვით პროკურორი და ადვოკატიც როდია ყოველთვის დაზღვეული ბრალდებულთა და ჰირისუფალთა მხრივ შეურაცხმყოფელი გამოხდომებისაგან და ამდენად, რა გასაკვირია, რომ ასეთი რამ რევიზორებსაც ზედთ წილად. ჯერ ერთი პროკურორისა და ადვოკატის მიმართ ეს შედარებით იშვიათი გამონაკლისია და, მეორეც, არ არის ისე მწვავე ფორმებით გამოხატული, როგორც რევიზორთა მიმართ.

გამართლებულია დადგენილი წესი, რომლითაც მოწმეს წინასწარ აფრთხილებენ, რომ გამოძიებას და სასამართლოს სწორი ჩვენება მისცეს და სხვა, რადგან მოწმის ჩვენებაზე ბევრად არის დამოკიდებული განაჩენის დადგენა. ამიტომ ყველა მოწმეს, ისეთი გარემო პირობები უნდა შევუქმნათ, რომ დაზღვეული იყვნენ ყოველგვარი შანტაჟისა და პროვოკაციისაგან, რომ ვერავინ ხელყოს მათი პიროვნება. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს და ბანკების

ცენტრალურ აპარატთა რევიზორების მოწმის სახით გამოყვანას, იგი მიზანშეუ-  
 წონელია შემდეგ ვარემოებათა გამო:

1. რევიზორი, რომელმაც სამართალში მიცემულისა და მის ახლო ნათე-  
 სავთაგან იწვინა შეურაცხყოფა, მომავალში ნაკლებ აქტიურობას გამოიჩენს,  
 თავს შეიკავებს რევიზიის ხარისხიანად და მაღალ დონეზე ჩატარებისაგან. ამას  
 გარდა ისინი ხომ ფაქტობრივად დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტის მოწმენი  
 კი არ არიან, არამედ მხოლოდ მათი გამომავლინებელი.

2. თუკი გამომძიებელი, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, პროცესზე არ  
 დაიკითხება მოწმის სახით, რატომ არ შეიძლება ასეთი უფლება რევიზორზეც  
 გავრცელდეს. რევიზორსაც, ჩვენი აზრით, როგორც თანამდებობის პირს გა-  
 მომძიებელზე არა ნაკლები როლი აკისრია დანაშაულის მხილებასა და გა-  
 მოვლენაში, რევიზორიც გამომძიებლის ანალოგიურად ავლენს და ამხელს  
 ჩადენილ დანაშაულს.

3. რევიზორი ხომ უკვე მომხდარი ქმედობის აქტის ავტორია და არა ამ  
 ქმედობათა მიმდინარეობის უშუალო მეთვალყურე და მოწმე. წესისამებრ,  
 მოწმე მხოლოდ ის არის, ვინც დანაშაულის ოპერაციების მიმდინარეობის ფაქ-  
 ტებს ადასტურებს, და არა მისი აღმწერი და გამომავლინებელი.

ამრიგად, მიზანშეწონილია, მოქმედ სამართლებრივ ნორმებში შეტანილი  
 იქნას ცვლილება იმ მხრივ, რომ რესპუბლიკური აპარტების (ფინანსთა სამი-  
 ნისტროს, სახბანკის და მშენბანკის) ფინანსისტი რევიზორები თუ ინჟინერ-  
 ტექნიკური პერსონალი, რომელთა აქტები სისხლის სამართლის საქმის აღძ-  
 ვრის საფუძველს წარმოადგენენ მოწმის სახით არ დაიკითხონ სასამართლო  
 პროცესზე.

სასამართლო პროცესზე მათი დაკითხვა უნდა მოხდეს გამონაკლის შემთხ-  
 ვევაში, თუ კი ამას აუცილებლად მიიჩნევს სასამართლოს თავმჯდომარე სა-  
 სამართლო პროცესის მსვლელობის დროს.

## პირველი დახვეწა

შარშან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების ორგანიზაციული სრულყოფისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში თითოეული სახალხო მოსამართლის პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, დააწესა დიდი ქართველი მწერლისა და საპატიო მოღვაწის, მომრიგებელი მოსამართლის ილია ჭავჭავაძის სახელობის საპატიო სიგელი. იგი ყოველწლიურად გადაეცემა მუშაობაში საუკეთესო მონაცემების მქონე მოსამართლეს.

კომპეტენტურმა ჟიურმა, 1983 წლის მონაცემების მიხედვით, წლის საუკეთესო მოსამართლედ ცნო ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე თეიმურაზ დიმიტრის ძე ნამიჭეიშვილი. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ. ამრიგად, თ. ნამიჭეიშვილი, რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მოსამართლე, გახდა ამ საპატიო ჯილდოს პირველი მფლობელი. იგი საპატიო სიგელის მინიჭების დებულების შესაბამისად პრემირებულია ერთი თვის ხელფასით.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ თავისი დადგენილებით აღნიშნა აგრეთვე ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი აპოლონის ძე თევზაძის, ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის გიგლა შოთას ძე ვეკუას, გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი ალექსანდრეს ძე მათიაშვილის და მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის თეიმურაზ დავითის ძე აბესაძის კარგი მუშაობა.

უურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია, რესპუბლიკის იურიდიულ საზოგადოებრიობასთან ერთად გულთადად ულოცავს თ. ნამიჭეიშვილს, გ. ვეკუას, გ. მათიაშვილს, თ. აბესაძეს წარმატებებს მუშაობაში და უსურვებს მათ ახალ მიღწევებს შრომაში და პირად ბედნიერებას ცხოვრებაში.

თეიმურაზ ნამიჭეიშვილი სახალხო სასამართლოში პარტიული ორგანოებიდან მოვიდა. მანამდე მან საინტერესო ცხოვრების გზა განელო. მუშაობდა ქარხანაში ზეინკლად, იყო პროტექტნიკური სსწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებული მდივანი, კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგე, რაიკომის მეორე მდივანი. 1977 წელს იგი პარტიის საქარხნო რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად გადაიყვანეს.

საშუალო სკოლა თ. ნამიჭეიშვილმა მედალზე დაამთავრა 1967 წელს და მაშინვე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შეუდგა შრომით საქმიანობას. ახლან თ. ნამიჭეიშვილს 34 წელი შეუსრულდა. იგი 30 წლისა იყო, როდესაც სახალხო მოსამართლედ აირჩიეს, უკვე ორ წელზე მეტია სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობს. შარშან მისი თავმჯდომარეობით 57 სისხლის სამართლის (71 პირის მიმართ) და 201 სამოქალაქო საქმეა



განხილული, ყველა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. აღსანიშნავია, რომ სწორად გააზრებული ორგანიზაციული ღონისძიებების შედეგად საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოში საერთოდ არ დარღვეულა საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადები. თ. ნამიჭეიშვილის მიერ განხილული საქმეებიდან გასაჩივრდა და გაპროტესტდა განაჩენები 19 პირის მიმართ და 7 გადაწყვეტილება. საკასაციო ინსტანციამ ყველა უცვლელად დატოვა ძალაში. მან გამსვლელ სხდომაზე განიხილა 11 სისხლის სამართლის საქმე (19,2 პროცენტი), კერძო განჩინება დადგენილია 18 საქმეზე (31,5 პროცენტი), საზოგადოებრივი ბრალმდებელი გამოდიოდა 4 საქმეზე (4,0 პროცენტი), საზოგადოებრივი დამცველი — 7 საქმეზე (12,2 პროცენტი). პრესაში გამოქვეყნდა, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით გადაიცა 11 განაჩენი (19,2 პროცენტი). ერთი წლის განმავლობაში მოსამართლე თ. ნამიჭეიშვილი 13-ჯერ წარსდგა ანგარიშით ამომრჩევლების წინაშე. შრომით კოლექტივებში მის მიერ წაკითხულია 24 ლექცია.

ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვს მთლიანად საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს. გამსვლელ სესიებზე განხილულია საქმეთა 24,1 პროცენტი; განჩინება დადგენილია 20,5 პროცენტის მიმართ; საზოგადოებრიობის მონაწილეობა შეადგენს 24,1 პროცენტს. განზოგადებულია სასამართლო პრაქტიკა 7 სხვადასხვა სახის დანაშაულის საქმეზე, ყველა მოსამართლე სისტემატურად აბარებს ანგარიშს ამომრჩევლებს, კითხულობს ლექციებს, ბევრი რამ კეთდება სახალხო მსაჯულთა იურიდიული ცოდნის ღონის ასამაღლებლად, მსაჯულთა საბჭოს მუშაობის გასაუმჯობესებლად. ერთი საინტერესო მონაცემიც, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალი 64.461 მანეთის რაოდენობით მთლიანად არის ანაზღაურებული.

კომუნისტი თ. ნამიჭეიშვილი დამსახურებულად სარგებლობს ავტორიტეტით. იგი არჩეულია საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საქარხნო რაიონის წევრად. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატად.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას თ. ნამიჭეიშვილის იმ საქმიანობაზე, რომელიც მან გასწია სასამართლოს შენობის კეთილმოწყობისათვის. საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს შენობა, რომელიც ქალაქში ყველაზე უვარგისი იყო, ამჟამად საუკეთესოა. იგი კაპიტალურად შეკეთდა, გარედან მოპირკეთდა, შიგნით კი გარემონტდა. ყურადღებას იპყრობს სხდომის ნათელი დარბაზები, რომლებიც მშვენიერი ავეჯით არის გაწყობილი. ყველა თანამშრომელს აქვს სამუშაო კაბინეტი და ტელეფონი, აქვეა ადვოკატის, მოწმეთა მოსაცდელი ოთახები და სხვა სათავსები...

რთული და საპატიო მისია აკისრია მოსამართლეს. მას მინდობილი აქვს გადაწყვიტოს ათობით ადამიანის ბედი, მათი მომავალი, რესპუბლიკის სახელით ადასრულოს მართლმსაჯულება. ამიტომაც არის, რომ ხალხი დიდ მოთხოვნებს უყენებს ამ პროფესიის ადამიანებს. სწორად გაიგონებთ, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მაღალი ზნეობის ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება: გულისხმიერება და რუდუნება, თავმდაბლობა და შინაგანი კულტურა, სამართლიანობა და თვითდისციპლინა, ობიექტურობა და აუჩქარებლობა, სიღინჯე და მიუდგომლობა და მრავალი სხვა რამ. ბევრი ამ თვისებათაგანი აღზრდის წყალობაა, ზოგიერთი ადამიანს ბუნებით აქვს მომადლებული, ბევრს ცხოვრებისეული გამოცდილება იძლევა. და კიდევ ერთი, შეუძლებელია იყო მოსამართლე დიდი ადამიანური გულის გარეშე. უგულოდ ხომ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, მით უფრო ადამიანების ბედ-იბლების სამართლიანად გადაწყვეტა.

თ. ნამიჭეიშვილი, პრინციპული და დაუცხრომელი ენერჯის ახალგაზრდა კაცი, იძენს მოსამართლისათვის აუცილებელ ყველა თვისებას, ეუფლება კოლეგების მდიდარ, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ცდილობს არასოდეს შებღალოს პიროვნების ღირსება ვინც არ უნდა იყოს ის. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის საპატიო სიგელის პირველი ლაურეატი ამის კარგ მაგალითს უჩვენებს სხვა, უფრო გამოცდილ მოსამართლეებს.

ო. ქრისტესიაშვილი.

# ნოტარიუსი



მესამე ქალის გაჩენას სიხარული არ შემოუტანია ოჯახში, ვაჟიშვილის მომლოდინე მამას ჩვილის დახედვა და მოალერსებაც კი უძნელდებოდა. წყენის პერიოდმა მალე გაიარა. მესამე ქალს მეოთხე მოჰყვა და „თავიანთ ბედს“ შეურიგდნენ ვაჟის მომლოდინე მშობლები. ოთხი ქალიშვილი ეზრდებოდა ჩხაიძეებს, მოწაფის ფორმაში გამოწყობილი ოთხი პატარა აცისკროვნებდა სონია და აკაკი ჩხაიძეების ჭერს.

დიდი ბედნიერება მაშინ უფრო შეიგრძნეს მთელი სიცხადით, როცა ოთხივე ხუთოსანი გახდა. სკოლაში მისვლას ერთმანეთს ასწრებდა ცოლ-ქმარი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამი ქალიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მეოთხე კი სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. მთელი აგარაკი ულოცავდა ბედნიერ მშობლებს ასეთი საამაყო შვილების აღზრდას.

უფროსმა, მარგომ, ქიმიური ფაკულტეტი დაამთავრა და რუსთავის ერთ-ერთ ქარხანაში დაიწყო მუშაობა ქიმიკოსად, თამარი ფილოლოგი გახდა და წლების მანძილზე № 2 საშუალო სკოლის დირექტორი იყო, ამჟამად თბილისის № 55 საშუალო სკოლაში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას. ეთერი ქ. მახარაძეში რაი-ცენტრის აფთიაქში მუშაობს. ჩიტო ჩხაიძემ კი 1952 წელს დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. პროფესორ-მასწავლებლები მოელოდნენ, რომ მისგან კარგი იურისტი დადგებოდა. ასეც მოხდა.

1953 წლის იანვარში დაიწყო ჩიტო ჩხაიძემ ლანჩხუთის რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსად მუშაობა და მას შემდეგ თითქმის ყოველ წელს თავის პროფესიაში მოწინავეთა რიგებშია.

ცხოვრებაში ბევრი მინახავს თავის პროფესიაზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანი. ასეთია ჩიტო ჩხაიძეც, რომელიც 31 წელია ნოტარიუსად მუშაობს და არასდროს უფიქრია სხვა სამუშაოზე. თუმცა ხშირად ასრულებს შემცველი მოსამართლის თანამდებობას. მის მიერ გამოტანილ განაჩენს მუდამ აჩნდა შეუვალი მოსამართლის ბეჭედი. წლების მანძილზე იგი მტკიცედ ემსახურა მართლმსაჯულების განხორციელებას.

მის კაბინეტში რომ მოხვდებით, აუცილებლად იგრძნობთ დიდ სიფაქიზეს, საუბრის შემდეგ დარწმუნდებით, რომ მთხოვნელი არ შეიძლება მისი უკაცოფილო დარჩეს. ნოტარიატის ყველა კანონს, ნორმატიულ მასალას გიჩვენებთ, დასამოწმებელს დაგიმოწმებთ. საიდუმლოს კი გარკვეულ დრომდე ინახავენ ეს კედლები და ნოტარიუსი.

მარტო 1983 წელს შესრულებული აქვს 6.150 სხვადასხვა სანოტარო მოქმედება. კვარტალში ორჯერ სწავლობს მნიშვნელოვან სანოტარო მოქმედებათა პრაქტიკას, ახდენს მის განზოგადებას. კონსულტაციას უწევს მეზობელი რაიონების ახალბედა ნოტარიუსებს, ამოწმებს რაიონში შემავალი ყველა სასოფლო საბჭოს სანოტარო საქმიანობას. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ახორციელებს ღონისძიებებს, წარდგინება შეაქვს შესაბამისი საწარმოო-დაწესებულებების თანამდებობის პირთა წინაშე. სისტემატიურ მეთოდურ დახმარებას უწევს საბჭოების თანამდებობის პირებს, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უტარებს მათ სათანადო ინსტრუქტაჟს.

საჩივრებისა და წინადადებების წიგნში მოქალაქეთა მრავალი ჩანაწერია. მომხვედნი ემადლიერებიან ნოტარიუსს მათი თხოვნის დროულად დაკმაყოფილების გამო, კულტურული მომსახურებისათვის.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ყოველწლიურად მართავს დათვალეობა-კონკურსს რესპუბლიკის საუკეთესო სახელმწიფო სანოტარო კანტორის და ნოტარიუსის გამოსავლინებლად. საქართველოში 140 სანოტარო კანტორაა. ლანჩხუთის სანოტარო კანტორა ზედიზედ მეშვიდედ გამოვიდა პირველ ადგილზე. ნოტარიუსი ჩ. ჩხაიძე მრავალჯერ არის დაჯილდოებული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და სახელმწიფო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით, ვიმპელით და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით. და აი, კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა. 1982 წლის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ ქვეყნის ნოტარიუსებს შორის 16 ნოტარიუსი დააჯილდოვა. მათ შორის არის ლანჩხუთის რაიონის ნოტარიუსი ჩიტო ჩხაიძე.

ჩ. ჩხაიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სასამართლო-პროკურატურის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას, ამჟამად არის სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი, მისი ლექციები მოსწონთ მსმენელებს. ჩ. ჩხაიძის ხელმოწერით გამოქვეყნებული სტატიები, იურიდიული კონსულტაციები დიდად პოპულარულია ლანჩხუთის რაიონის ფართო მკითხველთა შორის.

სამსახურში მუდამ მობილიზებულმა გვიან იფიქრა პირადულზე. ჰყავს ქალიშვილი ნარგიზი, რომელმაც პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა, დაოჯახდა კიდევ. შვილიშვილებიც ჰყავს, ხარობს ჩიტო ბებია შვილითა და შვლიშვილებით. პატარა თამუნია ხშირად ეტიკტიკება ტელეფონით: ბუბიკო, მალე მოდიო... და როცა სამუშაო დრო იწურება რაიონის ნოტარიუსს ახსენდება, რომ უკვე დროა, შინ ელოდებიან, მისი ღანახვით გაიხარებენ პატარები, დაღლას დაავიწყებენ და მორიგ საზრუნავს გაუჩენენ. ასე მიდის დღეები.

6. ძნელად,

ლანჩხუთის რაიონულ გაზეთ „კომუნისტური შრომის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე.

## გამოკლება ისტორიულ-პარტიულ და საპარტიოებრივ თემაზე

სსრ კავშირის შექმნისა და განმტკიცების საკითხებზე ჩვენს ქვეყანაში გამოქვეყნდა დიდალი ისტორიულ-პარტიული და იურიდიული ლიტერატურა. ერთიანი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სამოცი წლის ეუბილესადმი მიძღვნილ ამ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. ი. კულიჩენკოს მონოგრაფიას „სსრ კავშირის შექმნა და განვითარება“. მის ავტორს, როგორც თვალსაჩინო მეცნიერს, ღირსეული წვლილი შეაქვს ერებისა და ეროვნული ურთიერთობის საკითხთა მეცნიერულ დამუშავებაში.

სარეცენზიო წიგნი ეძღვნება ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემებს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფო მშენებლობაში ვ. ი. ლენინისა და მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში იშვა, განმტკიცდა და გამოიწროო რუსეთის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ერთიანობა და საბრძოლო თანამშრომლობა, როგორც მძლავრი ინტერნაციონალური ძალა. დიდი ოქტომბრის გამარჯვებამ მკვიდრი საფუძველი შეუქმნა ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის თავისუფალ განვითარებას, მათს მკვიდრო ერთიანობასა და ძმურ მეგობრობას.

„რუსი ხალხი, — აღნიშნულია სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სსრ კავშირის 60 წლისთავის შესახებ, — სიძნელეებისა და გაჭირვების მიუხედავად, უანჯალო დახმარებას უწევდა ქვეყნის სხვა ხალხებს მათი რევოლუციური მონაპოვრების დაცვაში; მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების ჩამორჩენილობის დაძლევაში“.

რუსეთისა და ეროვნული განაპირა მხარეების მშრომელთა პოლიტიკური, ეკონომიკური და უწინარეს ყოვლისა, კლასობრივი ინ-

ტერესების ერთიანობამ, რუსეთის მუშათა კლასის უანჯალო დახმარებამ წინათ ჩაგრული ერებისა და ეროვნებებისადმი საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა-განმტკიცებაში, მათი ყოფისა და ეროვნული თავისებურებებისადმი გულისხმიერმა დამოკიდებულებამ გააძლიერა საბჭოთა რესპუბლიკების მისწრაფება დამყარებინათ მკვიდრი კავშირი და ძმური თანამშრომლობა პირველ საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოსთან — რუსეთის სფს რესპუბლიკასთან.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ბუნებას რომ ეხება, მონოგრაფიის ავტორი დოკუმენტური მასალებისა და სხვა წყაროების მოშველიებით დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რსფს რესპუბლიკა იყო არა მარტო ველიკორუსთა სახელმწიფო, არამედ საბჭოეთის ყველა ხალხის სახელმწიფოც.

სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე მიღებულ „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციაში“ ლაპარაკია არა მარტო ველიკორუსიაზე, არამედ სწორედ მთელ საბჭოეთზე. პირველმა საბჭოთა კონსტიტუციამ, რომელიც მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობაზე 1918 წლის ივლისში, კანონმდებლობის წესით დაამკვიდრა რუსეთის სახელმწიფო წყობილება „საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაციის ფორმით“. მანვე დააქანონა აგრეთვე რუსეთის საერთო-ფედერაციულ მთავრობაში საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობის პრაქტიკა.

მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხების უფლებათა ლენინურ დეკლარაციაში გამოკვეთილად იყო ნათქვამი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაზე, რომელიც უფლებას ანიჭებდა თითოეული ერის მუშებს და გლეხებს მათი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება თავიანთი საბჭოების ყრილობაზე.





„სურთ თუ არა მათ და რა საფუძველზე სურთ მონაწილეობა ფედერალურ მთავრობაში და დანარჩენ ფედერალურ საბჭოთა დაწესებულებებში“<sup>1</sup>.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროისათვის რუსეთის ფედერაციაში არ შედიოდა არც ერთი ავტონომიური რესპუბლიკა ან ოლქი, ყრილობის მიერ გამოცხადებულ საბჭოთა რესპუბლიკად იგულისხმებოდა მთელი საბჭოთა ქვეყანა. 790 დელეგატიდან სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობას ეროვნულ განაპირა მხარეებისაგან ესწრებოდა 233 დელეგატი. სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ბევრი წარმომადგენელი შევიდა ყრილობის მიერ არჩეულ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში.

რუსეთის ფედერაციისა და ეროვნულ რესპუბლიკებს შორის კონტაქტებისა და თანამშრომლობის დამყარების მიზნით 1919 წლიდან რუსეთის ფედერაციის სახალხო კომისარიატებისა და უწყებების წარმომადგენლები იგზავნებოდნენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც ისინი შედიოდნენ შესაბამისი რესპულიკური სახალხო კომისარიატებისა და უწყებების კოლეგიათა შემადგენლობაში. ბევრი მათგანი რესპუბლიკათა ცენტრალურ დაწესებულებებში იგზავნებოდა მუდმივ, სხვები კი — დროებით სამუშაოზე.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პირობებში, როცა ბოლშევიკების პარტია ხალხის მთელ ძალებსა და საშუალებებს წარმართავდა ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, უპარესად საჭირო გახდა ცალკეული დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების დროებითი გაერთიანება რუსეთის ფედერაციისთან ან ერთმანეთთან. ისეთ ვითარებაში, როდესაც ფედერაციული ურთიერთობა ჯერ მხოლოდ ფეხს იკიდებდა, საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას შეიძლება ხელი შეეშალა მტრის განადგურების საქმისათვის. ამიტომ მათ მხოლოდ გაერთიანებული მეცადინეობით შეეძლოთ დაეცვათ თავისუფლება და ჩვენი ქვეყნის ხალხთა დამოუკიდებლობა.

საბჭოთა რესპუბლიკების ასეთი გაერთიანება ვ. ი. ლენინს მიაჩნდა როგორც იძულებითი და დროებითი ღონისძიება, რომელიც საგანგებო პირობებით იყო გამოწვეული. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის უმძიმეს პირობებში ვ. ი. ლენინს არა ერთგზის განუცხადებია,

რომ რუსეთის ფედერაციისაგან იზოლირებულად საბჭოთა რესპუბლიკების არსებობას გარდუვალად მოჰყვება მათი დამორჩილება იმპერიალისტებისადმი.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ იმ წლებში, ხალხთა გამაერთიანებელ მოძრაობას შედეგად მოჰყვა საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა და განმტკიცება შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის. საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო თანამშრომლობის პირდაპირი გამოხატულება იყო შეიარაღებული ძალების ერთობლივი მშენებლობა, მტერთან ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნა.

შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის გაერთიანებულ ძალებზე გამარჯვების შემდეგ ჩვენი პარტიის წინაშე დისახა ამოცანა განმტკიცებინა ხალხთა ძმური კავშირი დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის მშენებლობაზე გადასვლისათვის.

სსრ კავშირის შექმნამდე დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრაე ურთიერთობას აწესრიგებდა რუსეთის ფედერაციისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებები და შეთანხმებები სამხედრო-სამეურნეო, სავაჭრო-საფინანსო კავშირისა და თანამშრომლობის შესახებ. ისინი გამსჭვალული იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის სულისკვეთებით, ხაზს უსვამდა ხელშეკრულების დამდები მხარეების სუვერენიტეტს. დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო კავშირის მოწესრიგება ხდებოდა ამ სახელშეკრულებო ფედერაციის საფუძველზე.

მონოგრაფიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს, რომ ეს ხელშეკრულებები და შეთანხმებანი საგანგებოდ უსვამენ ხაზს მხარეთა სრულ თანასწორუფლებიანობას, რუსეთის ფედერაციისა და ეროვნული რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა კლასობრივი ინტერესების ერთიანობას, სახალხო მეურნეობის აღსადგენად მათი ძალისხმევების გაერთიანების, საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკები ინარჩუნებდნენ უცხოეთის სახელმწიფოებთან დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობის უფლებას.

მონოგრაფიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი რუსეთის ფედერაციისა და ამიერ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 498.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო ურთიერთობის ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერულ გაშუქებას. ავტორი მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამიერკავკასიელი ბოლშევიკები ჯერ კიდევ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებშიც გვევლინებოდნენ ნამდვილ ინტერნაციონალისტებად, პროპაგანდას უწყვედნენ იმ აზრს, რომ ამიერკავკასიის ხალხთა ბედი განუყოფელია რუსი ერისა და ქვეყნის სხვა ხალხების ბედისაგან, გადაჭრით ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის ამა თუ იმ ნაწილის ავტონომიის ღონისძიების წინააღმდეგ რათა არ დაერღვიათ ყველა ეროვნების მშრომელთა ინტერნაციონალური ფრონტის ერთიანობა და არ მიეცათ საბაბი ბურჟუაზიზსა და მისი პარტიებისათვის რევოლუციურ მოძრაობაში სეპარატისტული ტენდენციების გასაძლიერებლად. წიგნში მოტანილია მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ვ. ი. ლენინი, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადაც უთმობდნენ ყურადღებას საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობის დამყარებას. ავტორი ხაზს უსვამს, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყოველი გადაწყვეტილება, ვ. ი. ლენინის თითოეული მითითება შეიცავდა გულწრფელ ზრუნვას სოციალიზმის გზაზე შემდგარი ამიერკავკასიის ხალხებისადმი, მისწრაფებას — დახმარებოდა მათ თავიანთი ცხოვრების მორიგი ამოცანების გადაწყვეტაში. ამავე დროს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველ გადაწყვეტილებაში და ვ. ი. ლენინის ყოველ მითითებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირის განვითარება-განმტკიცებაში. რუსეთის ფედერაციისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთიანობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი შეასრულა კომუნისტური პარტიის მიერ ორგანიზებულმა მჭიდრო ერთიანობამ — ამ რესპუბლიკების ყოველმხრივმა თანამშრომლობამ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დარგებში.

რუსეთის ფედერაციისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცების პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო მჭიდრო თანამშრომლობა სავარეო ვაჭრობის დარგში და მისი ხელმძღვანელობისათვის განვითარებული ორგანოების შექმნა.

მონოგრაფიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რუსეთის ფედერაციისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ძმური თანამშრომლობისა და სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცების საკითხები მუდამ იყო კომუნისტური პარტიის, პირადად ვ. ი. ლენინის ყურადღების ცენტრში. თავის 1921 წლის 14 აპრილის ცნობილ წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი ლენინმა წამოაყენა კავკასიის რესპუბლიკებში სოციალიზმის აშენების კონკრეტული პროგრამა, განსაზღვრა მხარის კომუნისტთა საბრძოლო ამოცანები, ასწავლიდა მათ, რომ ბრძოლა არ უნდა გადმოიღონ რუსეთის ფედერაციის ტაქტიკა, „არამედ მოეჭებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“.

რუსეთის ფედერაციის მთავრობა ქმედითს ღონისძიებებს ახორციელებდა საერთაშორისო ასპარეზზე ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესების დასაცავად. რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ბევრ ერთობლივ გამოსვლაში ხაზგასმით იყო აღნიშნული ერთობლივი დიპლომატიური თანამშრომლობის აუცილებლობა. სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში, ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანასთან პოლიტიკური, ეკონომიკური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებაში აქტიურმა მონაწილეობამ მნიშვნელოვნად განამტკიცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საერთაშორისო პრესტიჟი, ამაღლა მათი ავტორიტეტი.

აანალიზებს რა ჩვენს ქვეყნის ხალხთა ძმური თანამშრომლობის განვითარების შექმნილ გამოცდილებას, წიგნის ავტორს გამოაქვს დასკვნა, რომ მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პირობებში საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი ურთიერთობამ უცილობლად შეასრულა დიდმნიშვნელოვანი როლი მათი კავშირის განმტკიცებაში, მაგრამ იგი არასაკმარისი, არასრულყოფილი აღმოჩნდა, ვინაიდან ვერ მოიცავდა სახელმწიფოებრივი კონტაქტების ყველა მხარეს. ამიტომ ცხოვრება დაბეჯითებით მოითხოვდა ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნას.

მთელ წიგნს წითელ ზოლად გასდევს იდეა სსრ კავშირის შექმნაში ვ. ი. ლენინის გადამწყვეტი როლის შესახებ. მან მოგვცა ახალი, უმაღლესი ტიპის ფედერაციის, სოციალისტური ფედერაციის ღრმად მეცნიერულ დასაბუთება. ვ. ი. ლენინს ეკუთვნის საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობისა და სრული თა-

ნასწორუფლებიანობის პრინციპებით ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის იდეა.

საკავშირო ფედერაცია სწორად უხამებს ერთმანეთს საერთო-საკავშირო სახელმწიფოსა და მასში შემაჯავლი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესებს, ითვისისწინებს და ფართოდ გამოხატავს საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ და ისტორიულ თავისებურებებს. პარტიის კურსი, როგორც სკკპ XXVI ყრილობამ აღნიშნა, ითვისისწინებს ყოველი რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ზრდას და ამასთანავე მის მაქსიმალურ გამოყენებას ჩვენი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის.

მონოგრაფიაში მკითხველი ნახავს საინტერესო მასალებს, რომლებიც მოწმობს სსრ კავშირის როლის ზრდასა და განმტკიცებას კომუნისზმის მშენებლობის საქმეში ხალხთა ერთიანობის უზრუნველსაყოფად. ავტორს საშუააროზე გამოაქვს თანამედროვე ანტისაბჭოური მონაჩმახი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის, რეალური სოციალიზმის მიღწევების შესახებ, აშუქებს სსრ კავშირის გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობას ხალხთა ცხოვრებისა და ურთიერთდამოკიდებულების ძირეულ განახლებაში.

ლენინის პარტია დღესაც ყოველ ღონეს ხმარობს, რათა სრულყოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმები, თანამიმდევრულად იღწვის ყველა ერი-სა და ეროვნების მატერიალური და სულიერი ძალების შემდგომი აყვავების, მათი თანდათანობითი დაახლოებისა და სრული ერთიანობისათვის.

მონოგრაფია მოიცავს ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორც არის ვ. ი. ლენინის მიერ სოციალისტური ფედერაციის საფუძვლების შემოქმედებითი განვითარება; ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცება საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობის დასკვნით ეტაპზე; სსრ კავშირის როლი ხალხთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ცხოვრების ძირეულ გარდაქმნაში; ახალი სოციალისტური ერების ჩამოყალიბება; სოციალიზმის გამარჯვება და ეროვნული საკითხის გადაწყვეტა; საბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის შექმნა; სკკპ ხელმძღვანელი როლის ზრდა ერებისა და ეროვნულ ურთიერთობათა განვითარებაში განვითარებული სოციალიზმის პირობებში; საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს განმტკიცება და განვითარება ახალი კონსტიტუციის საფუძველზე; სსრ კავშირის შექმნის საერთაშორისო მნიშვნელობა და სკკპ გამოცდილება ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში. ყველა ეს საკითხი ნაშრომში გააშუქებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის პოზიციებიდან, ჩვენი პარტიის დოკუმენტური მასალებისა და საბჭოთა მეცნიერების მიღწევების საფუძველზე.

მ. ი. კულიჩენკოს მონოგრაფიული გამოკვლევა დიდმნიშვნელოვანი წვლილია ისტორიულ-პარტიულ და სამართლებრივ მეცნიერებაში.

**3. მერკვილაძე,**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი.**



# ორგანიზაციული დანახარის სამყაროში\*

„ამ საჯინბომ მკვლელობები უფრო მეტი ნახა, ვიდრე ცხენები“. თავდაპირველად საი-ეტის ბანდა თანამემამულეთა ძარცვით კმაყოფილდებოდა, როდესაც დანამდვილებით ცნობილი იყო, რომ შანტაჟის პირველსავე მცდელობაზე ისინი პოლიციაში არ გაიქცეოდნენ საჩივრულად. ატლანტიკის ამ მხარესაც მოქმედებდა ომერტა, მაფიის ურყევი კანონი: ვინც არ დუმს, ის უნდა მოკვდეს! თვით მორელოს გერიც ვერ გადაურჩა საშინელ სიკვდილს, „ღირსების საზოგადოების“ ამ უპირველესი მცნების ვატენისათვის.

მაგრამ ერთხელ საიეტმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ყალბი ბანკნოტები დაამზადა. ამისათვის ოცდაათი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. მექვიდრეობა მიიღო ნიუ-იორკის „მეზოსტნეების მეფემ“ ჩირო ტერანოვამ, რომელიც კარგად ორგანიზებული რეკრეტი აკონტროლებდა ქალაქის ყველა ბოსტნეულის სავაჭროს, მაგრამ ტერანოვა შემოიფარგლა ნიუ-იორკის მაფიის მხოლოდ ნაწილის კონტროლით, მეტის პრეტენზიას არ აცხადებდა, ამბობდა, ჩემთვის ესეც საკმარისიაო. ნიუ-იორკის სხვა რაიონებში თითოეულმა კაპომ-აიელომ, ვალენტინომ და სხვებმა — შექმნეს საკუთარი იმპერია. ამგვარად ბრძოლა ქალაქის ქვედა ნაწილის, მანჰეტენის და ბრუკლინის რაიონების მექვიდრეობისათვის გარდაუვალი გახდა.

## ჯო ბონი და მისი ვისა-მეფეები

ქვედა ქალაქის სამეფო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა გულადი ანაღვარდა მაფიონი ჯუ-ზეპე მასარია, რომელიც ემიგრირებული იყო სიცილიიდან 1907 წელს. შეუპოვრობისათვის, რომელიც მან თავისი მაფიის „ოჯახში“ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიჩინა, მეგობრებმა მას ჯო ბონი შეარქვეს. რა თქმა უნდა, კონკურენტებიდან არც ერთი არ აპირებდა უბრძოლველად დაეთმო ნანატრი ტახტი. მათ შორის იყო გამოცდილი ბუტლეგერი უმბერტო ვალენტინო, რომელიც ოცნებობდა ქალაქის ორივე ნაწილის მმრძანებელი გამსდარიყო. ამ პრეტენზიის განსამტკიცებლად

ყველა თავისი მომხრე დარაზმა. ამჯერად ნიუ-იორკი განდა განგსტერების ომის ასპარეზი.

ჯუზეპე მასარიამ ვალენტინოს მორიგება შესთავაზა. „კონფერენცია“ გაიმართა მიყრუებული ქუჩის კუთხეში, მოწინააღმდეგეები ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. მასარიამ და ვალენტინომ დაზავება ხელისჩამორთმევიტ განამტკიცეს და ერთმანეთს ძველი ნაცნობეზივით დაშორდნენ, მაგრამ უახლოეს გზაჯვარედინზე ვალენტინოს ელოდებოდნენ ტიგერმანები მასარიას ბანდიდან. როდესაც პირველი გასროლა გაისმა, ვალენტინო ქუჩის სავალ ნაწილზე გახტა და ტაქსი გააჩერა. მან გაჭირვებით გაალო მანქანის კარი და იქვე მოწყვეტით დაეცა მიწაზე: მის ზურგში მთელი მჭიდვე იყო დაცლილი. ამიერიდან მასარიას სრული უფლება ჰქონდა თავისითავისათვის ეწოდებინა ჯო ბონი.

იმისათვის, რომ უკეთ მოველო თავისი იმპერიისათვის, მასარიამ ორი „ვიცე მეფე“ დანიშნა: ბრუკლინში — ფრენკ უიელი, რომელმაც 1920 წელს ჩიკაგოს დანაშაულებრივი სამყაროს მეთაური კოლოზიმო მოკლა, სოლო მანჰეტენში — ვინმე სალვატორე ლუკანია, რომელსაც ჩარლის ან ილბლიანი ლუჩანოს მეტსახელით მომავალში თვალსაჩინო როლი უნდა შეესრულებინა მაფიის განვითარების ისტორიაში.

ლუჩანო დაიბადა 1897 წლის 24 თებერვალს სიცილიის პატარა ქალაქ ლერკარაფრიდში, მალაროელის ოჯახში. 1907 წელს მისი ოჯახი ემიგრირებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. სალვატორემ „სწავლება“ გაიარა მოზარდების ბანდაში, ნიუ-იორკის იმავე რაიონში, სადაც ჯონი ტორიომ და ალ კაპონემ. ლუჩანომ შრომითი საქმიანობა უბრალო მუშით დაიწყო. სამუშაო დღე კვირაში ათ საათს შეადგენდა, ხელფასი შედგოლარს. მოგვიანებით ის ერთ-ერთ ბანდას მიეკვდლა. დაახლოებით 1920 წელს მან მაფიის ყურადღება მიიქცია. ლუჩანო მანჰეტენში და ბრუკლინში ჯო მასარიას ეხმარებოდა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, ის, მასარიას კაპო კი არ იყო, არამედ მისი მარჯვენა ხე-

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1984, № 2.

ლი. სწორედ ლუჩანომ შესთავაზა დაეარსებინათ მოჩვენებითი ფორმა, „დაუნტან რიელთი კომპანიი“. რომლის საფარველით მაფიას შეეძლო ხელი მოეკიდა არალეგალური ალკოჰოლური ბიზნესისათვის. ლუჩანომ შეიძინა სააფთიაქო მაღაზია, რომელშიც შეიძლება სპირტიანი სასმელებისა და ნარკოტიკების გასაღება. იმ ხანებში მას ორჯერ მოუხდა კონფლიქტი პოლიციასთან: პირველად, ნარკოტიკების ვაჭრობისათვის, მეორედ – იარაღის ფარული ტარებისათვის. ორივე შემთხვევაში იგი მშრალი გამოვიდა წყლიდან.

სალვატორე ლუჩანომ გაბედული ნაბიჯით გაზარდა თავისი შანსი მომავალში მაფიის მეთაურის თავისუფალი ადგილის დასახაკურებლად. ამის ნიშნად მას გამოადგამერიკულ მრეწველობაში გაეფუძეული კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი. ჩიკაგოს ოთხი გიგანტური კონცერნი – „არმური“, „სვიფტი“, „მორის ნელსონი“ და „ჰამონდი“, რომლებიც ყოველგვარ სწორების კონსერვებს ამზადებდნენ, გაერთიანდნენ ტრესტში. მათ ერთობლივად ეჭირათ ბაზარი ხელში და მას თავის ფასებს უკარნახებდნენ. ტრესტი – აი გენიალური ვადაწყვეტილება არალეგალურ ალკოჰოლურ ბიზნესშიც.

### მისკის კონტრაბანდული ვაჭრობის

#### ტრესტი

ლუჩანო ჩალიჩობდა, ოქროპირობდა, არწმუნებდა, საქმეებს აწესრიგებდა. სულ მალე ქვეყანას მოეკლინა „დიდი შვიდეული“ – განგსტერების სუპერტრესტი, რომელიც შემდგომში კონტროლს უწევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ დროს აკრძალულ სპირტიანი სასმელების მთელ ვაჭრობას. მაფიას ამ ტრესტში წარმოადგენდნენ სალვატორე ლუჩანო, ჯონი ტორიო და ჯო აღონისი. კომპანიონები იყვნენ „ნიუ-იორკ ინდეპენდენსი“ და „ნიუ-იორკის დამოუკიდებელი ბუტლერეები“ – ზიგელ-ლანსკის განგსტერული ბრბო და ნიუ-ჯერსის, ბოსტონის, როდ-აილენდის და ატლანტიკ-სიტის ვისკით მოვაჭრე კონტრაბანდისტთა ჯგუფები. იმ დროიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში „დიდი შვიდეულის“ ხელში გაუვლელად ატლანტის ოკეანის მხრიდან არ შემოდინოდა ალკოჰოლის წვეთიც კი. განგსტერების ტრესტს ჰქონდა საკუთარი ფლოტი. საკუთარი დაცვა, საკუთარი საშუალებად პუნქტები და საწყობები კანადაში და ბაჰამის კუნძულებზე. „დიდი შვიდეულის“ შტაბბინა ნიუ-იორკის ცენტრში, ლესკინგტონ-ავენიუზე მდებარე სასტუმროში იყო. იქიდან კონტრაბანდისტები თავისი რადიოსადგურე-


ბით უკავშირდებოდნენ ნიუ-ფაუნდლენდის მასლობლად ფრანგულ კუნძულებს, სენ-პიერს და მიკელონს და ბაჰამის კუნძულების ქალაქ ნასაუს. შტაბ-ბინაში მიღებული დაშიფრული რადიოგრამები შეიცავდნენ ცნობებს კონტრაბანდული საქონლით დატვირთული გემების გასვლისა და მოსვლის დროის შესახებ, ტვირთის რაოდენობასა და ხარისხზე, ფასებსა და კონტრაბანდული საქონლის მიღების შესაბამის მეთოდებზე.

„დიდი შვიდეული“ ისეთივე გულდაჯერებით მუშაობდა, როგორც ყოველი კაპიტალისტური ტრესტი. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ მტკიცე ფასები ბაზარზე, იგი აწესებდა ერთიან სავალდებულო ფასებს, განსაზღვრავდა კოტის შემოსავლად კონტრაბანდულ ვისკზე, თვალყურს ადევნებდა, რათა კონტრაბანდისტების ცალკეულ ჯგუფებს არ დაერღვიათ მათთვის გამოყოფილი ვაჭრობის უბნის საზღვრები. მსხვილი კონცერნების მსგავსად, „დიდი შვიდეული“ თავისი ლობისტების საშუალებით ეწეოდა პოლიტიკოსების მოსყიდვას. განგსტერული ტრესტი ასევე უხვად უხდიდა პოლიციელებს და მეზაყუებს, ამერიკის სანაპირო დაცვის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.

ერთი სიტყვით, „თავდაცვა“ მტკიცედ იყო უზრუნველყოფილი, და მხოლოდ იშვიათად ხდებოდა ჩაყარდნები. ასე, მაგალითად, ერთხელ, „დიდი შვიდეულის“ კუთვნილ ერთერთ ნაღმოსან კატარლას – „ლიოფს“, რომელიც ნიუ-იორკში, ჰუშონის ნაპირას დღისით-მზისით კონტრაბანდულ საქონელს ცლიდა, სანაპირო დაცვა სწორედ მაშინ წაადგა თავს. მაგრამ სანაპირო დაცვის მეზღვაურებს, რომლებმაც კონტრაბანდისტების დაპატიმრება განიზრახეს, „სიურპრიზი“ ელოდათ: მათ მძიმე ტყვიამფრქვევების მჭიდრო ცეცხლით შეეგებნენ. მეზღვაურები კიდევ უფრო განცვიფრდნენ, როცა აღმოჩნდა, რომ დამრღვევებს საბასუსო ცეცხლის არ ეშინოდათ. კონტრაბანდისტების ნაღმოსან კატარლას საიმედოდ იცავდა ჯავშნის სქელი ფენა.

„დიდი შვიდეულის“ საქმიანობის წლებში ამერიკის ხელისუფლებმა მარტოოდენ ერთხელ მოახერხეს საქონლის მსხვილი პარტიის კონფისკაცია. ისიც, მოხდა არა დამნაშავეების ძებნისათვის ღრმად ჩაფიქრებული ოპერაციის განხორციელების შედეგად, ანდა პოლიციის ოსტატური ტაქტიკით, არამედ ბრმა შემთხვევის წყალობით.

განგსტერებს პოლიციამ დარტყმა მიაყენა 1927 წლის 22-23 აგვისტოს. ამერიკის ხელისუფლებას 23 აგვისტოსათვის დანიშნული ჰქონდა სიკვდილით დასჯა, რომელმაც მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთება და



გულისწყრომა გამოიწვია. უკვე რამდენიმე წელი იყო, ბოსტონის საპატიმროს სიკვდილ-მისჯილთა საკანში იჯდა ორი იტალიელი ემიგრანტი, მათ მსჯავრი ედებოდათ მკვლელობაში, რომელიც არასდროს არ ჩაუდენიათ. არა, ესენი კოლოზიშო, ტორიო ანდა ალ კაპონე კი არა, მუშა-აქტივისტები ნიკოლო საკო და ბართლომე ვანცეტი იყვნენ. ამერიკულ პოლიციას და იუსტიციას ყველა ჯურის სისხლის სამართლის დამანაშავეები ტყავის ხელთათმანებით დაჰყავდათ, ხოლო მუშებსა და მათს ორგანიზატორებს სასტიკად ეპყრობოდნენ, კანონსაც კი არღვევდნენ. განგსტერები რამდენადმე კაპიტალისტურ სისტემას მიეკუთვნებოდნენ, მუშები და მათი ორგანიზაცია, პირიქით, ემუქრებოდნენ ამ სისტემას, ლეგალურ და კანონსაწინააღმდეგო დანაშულობათა სისტემას. საკო და ვანცეტი პროვოკაციის მსხვერპლნი გახდნენ. მათ მსჯავრი დაედოთ ფალსიფიცირებული სამხილით და ცრუ ჩვენებების საფუძველზე. განანგის სისრულეში მოყვანის ვადა რამდენჯერმე იყო დანიშნული, მაგრამ მთელი მსოფლიოს მშრომელებმა, რომლებიც მასობრივ მიტინგებზე მრისხანე პროტესტს აცხადებდნენ ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, ყოველთვის მოახერხეს ჯალათის ხელის შეჩერება. მაგრამ თუმცა მსოფლიო საზოგადოებრიობა ერთსულვანად მოითხოვდა, შეეცვალა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ამერიკის ხელისუფლებამ დანიშნა ორი უდანაშაულო იტალიელის დასჯის საბოლოო ვადა. პოლიცია ელოდა, რომ საკოსა და ვანცეტის დასჯის დღეს ახალი დემონსტრაციები და მუშების მასობრივი გამოსვლები მოეწყობოდა, ამიტომ საყოველთაო მზადყოფნა გამოაცხადა. პოლიციის გაძლიერებული განაწესი განუსყვეტელი პატროლობდა ქუჩებს. ყველა პოლიციელს ნაბრძანები ჰქონდა თითოეული შემთხვევა და ცნობა. ყოველი საეჭვო პირის შესახებ სასწრაფოდ შეეტყობინებინათ პოლიციის სამმართველოში.

რომელიღაც პოლიციელმა, მსოფლიო ამ მიზეზის გამო, ყურადღება მიამჩნია ნავს, რომელიც ჩამქარალი ნათურებით მიემართებოდა სტატენის კუნძულისაკენ და ბოლოს უჩუმრად მიაღწა ნაპირს. პოლიციელმა სწრაფად მოისაზრა, რომ რაღაც ბნელ საქმესთან აქვს საქმე და მახლობელი ტელეფონის ავტომატისაკენ გაიქცა. ამ პოლიციელმა მოგვიანებით რეპორტიორებს განუცხადა: „გაფიქრე, ესენი რუსების აგენტები სომ არ არიან-მეთქი“.

კონტრბანდისტებმა გადმოტვირთული ვისკის პატარა კასრები ზურგზე აიკიდეს და

არხინად გაემართნენ. ისინი პირდაპირ ხელში ჩაუვარდნენ მოსულ პოლიციის განწყესს.

**რა შეემთხვა სალვატორე ლუჩანოს?**

მალე ალკოპოლური ტრესტის იდეის მომწოდებელი სალვატორე ლუჩანო „დიდი შვიდეულს“ ჩაუდგა სათავეში. გავლენიანმა თანამდებობამ, რომელიც მას განგსტერულ ტრესტში ეკავა, არა მარტო უდიდესი ძალაუფლება მოუტანა, არამედ შურიითაც აღავსო ისინი, ვისაც ლუჩანომ გაუსწრო. „დიდი შვიდეული“, განგსტერების მძლავრი კარტელი გახლდათ, მაგრამ მასში სრულად არ იყო წარმოდგენილი მაფიის ყველა „ოჯახი“. და სწორედ მაფიის ამ ნაწილს სულაც არ ეპიტნავებოდა ლუჩანოს მოულოდნელი აღმასვლა.

ერთხელ დილით, 1929 წლის დამდეგს, პოლიციელების პატრულმა დააკავა მამაკაცი, რომელიც ბარბაც-ბარბაცით, მთვრალივით მიდიოდა ლიტპოუგენოტ-მიჩის გზატკეცილზე, სტატენის კუნძულის მახლობლად. ეს პიროვნება მართლაც საეჭვოდ გამოიყურებოდა: დაგლეჯილი ტანსაცმელი სისხლში მოხვრილი სახე, ხელი დანით ჰქონდა დაჭრილი. პოლიციელებმა დაკავებული საჯავდმოყოფში მიიყვანეს. ის იყო ჭრილობა შეუსვინეს და გრძნობაზე მოიყვანეს, რომ თავზე რამდენიმე დეტექტივი დაადგა. ამ მამაკაცს ხომ სალვატორე ლუჩანო ერქვა.

მერედა, რა შეემთხვა „დიდი შვიდეულის“ ძლევაში მისი? ალბათ ეს სამუდამო საიდუმლოდ დარჩება. შესაძლებელია მსოფლიო ვარაუდი. ყოველ შემთხვევაში, დეტექტივებისათვის ლუჩანოს მიერ მიცემული ჩვენება ნათელს არ ჰყენს ამ საქმეს. აი, რა თქვა მან დაკითხვაზე „50-ე სტრიტის და მე-9 ავენიუს კუთხეში ნაცნობ ქალიშვილს ველოდებოდი. მოულოდნელად ფარდამოფარებული მანქანა მომადგა, იქიდან სამი კაცი გადმოვიდა, მათ პისტოლეტები დააძრეს და ხელისკვრით შემადგეს მანქანაში, ხელზე ბორკილი დამადეს და პირში ჩავირ ჩამარტეს. სადღაც, ქალაქკარეთ ისინი გაჩერდნენ, მანქანიდან გადმომათრიეს. დიდხანს მცემდნენ მუშტებით და წიხლებით, დანა დამარტყეს, ანთებული სივარეტებით მაწამებდნენ. გონება დავკარგე. ალბათ, მათ იფიქრეს, მოკვდაო, ყოველ შემთხვევაში გონს მოვედი დილით პიუგენოტბიჩზე“.

— ვინ იყო ეს ხალხი? — შეეკითხა დეტექტივი. —

„ჩემს სიცოცხლეში თვალთ არ მინახავს ისინი“, — იყო პასუხი.

საკვკოა, რომ ლუჩანოს, მაფიის ერთ-ერთ



მეთაურს, პოლიციისთვის მართალი ჩვენება მიეცეს. თუ რა მოხდა სინამდვილეში, ამაზე მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება.

ყველაზე უტყუარია ვერსია, რომლის თანახმად თავდასხმა გაფრთხილებისათვის იყო მოწყობილი მაფიის სხვა ღონების მხრივ, რათა ლუჩანოს არ დავიწყებოდა, რომ იგი მაფიოზია. როგორი გავლენაც უნდა ჰქონოდა „დიდი შეიდეულს“, მაფიას მაინც პირველი ადგილი ეკუთვნოდა. და ბოლოს, მაფია ვერ შეურიგდებოდა იმას, რომ ვისკის გიგანტური კონსტრუქციებიდან იგი ბევრ არასიცილიურ ბანდებზე უფრო ნაკლებ პოპულარს იღებდა და რომ სადმე მაინც შეერთებულ შტატებში მაფიოზს შეკავცილი შემოსავალი ჰქონდა.

ასეა თუ ისე, ამ შემთხვევის შემდეგ მეგობრებმა ლუჩანოს ლაკი-იღბლიანი დარქვეს. მათ გულუბრყვილოდ ვგონათ, რომ ამ თავდასხმის შემდეგ იგი მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩა ცოცხალი.

**განგებულების კონსტრუქცია**

ასეთი იყო ვითარება, როდესაც ალ კაპონემ წამოაყენა წინადადება მაფიის მეთაურების დიდი კონფერენციის მოწყობის შესახებ. მანამდე ერთი წლით ადრე კლივლენდში გაიმართა პირველი შეხვედრა. მაფიოზების გეგმები კურორტულმა შემთხვევამ ჩაშალა. ერთნაირ კონსტიტუციის და ქედების გა-მოწყობილი ოცდაერთი მდგომარეობის დასახელები, რომლებიც აქეთ-იქით საეჭვოდ იცქირებოდნენ, ხასტუმროს ადმინისტრატორი იმდენად გააოცა, რომ მან უმაღლეს პოლიციაში დარეკა. ჩხრეკის დროს პოლიციელებმა ყოველ მათგანს პისტოლეტი აღმოუჩინეს, ამასთანავე იარაღის ვერც ერთმა მფლობელმა ვერ წარუდგინა წესრიგის დამცველებს იარაღის ტარების ოფიციალური ნებართვა. ამგვარად, მაფიის დაგეგმილი კონფერენცია არ შედგა, გარდა ამისა, შეკრებილთ პატიმრობა მიუსაჯეს, რა თქმა უნდა, პირობითი, და ფულადი ჯარიმა ორმოცდაათი დოლარი თითოეულს.

1929 წლის მაისში დიდებულ ზღვისპირა კურორტ ატლანტიკ-სიტში მაფიის ელიტა ჩამოვიდა. ამჯერად მაფიოზები უფრო წინდახედულად იქცეოდნენ. მათ ყველგან თან ახლდათ მცველები, რომლებიც თავიანთ პატრონებს ერთი წამითაც არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. მათ ქურთუკებში სპეციალურ ქამრებზე მზად ჰქონდათ კოლტები.

ამჯერად ალ კაპონე პირველი კლასის დიპლომატიით მოქმედებდა. მისი შემხედვარე

ვერ იფიქრებდით, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე, ბეისბოლის საცემით მხეცურად მოკლა მეტოქე „ოჯახის“ რამდენიმე მაფიოზი.

კაპონემ შეკრებილ მაფიოზებს ვაცნო თავისი საკუთარი და ჯონი ტორიოს, ამ შეხვედრის ინიციატორის წინადადება. მან განაცხადა, რომ ბოლოს და ბოლოს, საერთო საქმის საკეთილდღეოდ ბოლო უნდა მოეღოს მაფიაში დაქუცმაცებასა და მეტოქეობას. ჩიკაგოს მაფიის მეთაურმა დახატა მომხიბლავი სურათი, თუ როგორ შეძლებდა ორგანიზაცია გაერთიანებული ძალებით თავისი გავლენა გაუვრცელებინა მთელ ქვეყანაში. მან თქვა, რომ შესაძლოა მალე „მშრალი კანონი“ გააუქმოს და ამ მომენტისათვის მზად უნდა ვიყოთ; საჭიროა გამოიძენოს შემოსავლის ახალი წყაროები: აზარტული თამაშები, პროსტიტუცია, რეკეტი, ბუკმეკერობა, ნარკოტიკების ვაჭრობა.

ატლანტიკ-სიტში შეხვედრის დროს მაფიოზებმა შეათანხმეს კონკრეტული ღონისძიებანი:

1. ამერიკის მაფიის ბანდები მშობლიური სიცილიური მაფიის მსგავსად გაერთიანდებიან ერთიან კავშირში, რომლის სახელწოდებაც ამიერიდან იქნება „კოზა ნოსტრა“ („ჩვენი საქმე“).
2. მაფიის „ოჯახები“ იქმნება ცალკეული ბანდებისაგან.
3. ყოველ „ოჯახს“ სათავეში ჩაუდგება დონი, რომელსაც დაქვემდებარება კაპო.
4. უკვე ამ კონფერენციაზე ატლანტიკ-სიტში „კოზა ნოსტრამ“ ცალკეულ „ოჯახებს“ მიუჩინა თავ-თავიანთი მოქმედების რაიონები, რომელთა საზღვრები მკაცრად უნდა იყოს დაცული.
5. „კოზა ნოსტრას“ კავშირს სათავეში ჩაუდგება უმაღლესი საბჭო, რომელშიც შედის ყველა დონი — მაფიის „ოჯახების“ მეთაურები. ეს საბჭო აწესრიგებს ყოველგვარ უთანხმოებასა და კონფლიქტებს.
6. მუშაობა არასიცილიელ განგებულებთან არა მარტო შესაძლებელია, არამედ სასურველიც, რათა „კოზა ნოსტრას“ კონტროლს დაექვემდებაროს მთელი ამერიკის დანაშაულებრივი სამყარო. მაგრამ ამ ერთობლივ მუშაობაში „კოზა ნოსტრას“ ყოველთვის ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის.
7. „კოზა ნოსტრამ“, როგორც სიცილიურ მაფიაში, მოქმედებს ოპერტა, დუმილის აუცილებელი კანონი.

ამ მუსხლებლის მიღებით „კოზა ნოსტრამ“ თავისი დამსურველი კოდექსი შექმნა. ატლანტიკ-სიტში შეთანხმება ხელმოწერილი იყო, მას

ბეჭედი არ ჰქონდა დასმული, ფიქსირებულიც კი არ იყო ქაღალდზე, და მას მაინც არანაკლები ძალა ჰქონდა, ვიდრე ნოტარიუსთან დამტკიცებულ ხელშეკრულებას.

### ილგლიანს გედი აღარ წყალობს

1933 წლის 5 დეკემბერს ძალაში შევიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 21-ე შესწორება, რომელმაც გააუქმა 1920 წლის მიღებული მე-18 შესწორება. „შრალი კანონი“ გაუქმდა. სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას ბუტლვეგერების ხანა. მაგრამ ამ დროისთვის მაფიამ თავისი მილიონიანი მოგება უკვე დააბანდა სხვა ლეგალურ თუ არალეგალურ დაწესებულებებში, რომლებსაც პისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალი მოჰქონდა.

სალვატორე ლუჩანოს, რომელიც ნიუ-იორკის მაფიის ერთ-ერთ ოჯახს ედგა სათავეში, უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა „კოზა ნოსტრას“ უმაღლეს საბჭოში და ამერიკის მაფიის აღიარებულ მეთაურად ითვლებოდა. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა. ამერიკის მაფიოზების მეთაურს პატივმოყვარეობა ღრუბელთიერი სიმბაღისაკენ უბიძგებდა. ლუჩანოს პოლიტიკოსობა სურდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკოსი რომ გახდეს, ამისათვის საჭიროა ორი დიდი პარტიიდან ერთ-ერთს ეკუთვნოდეს, ხოლო ყველაზე უკეთესია — ერთბაშად ორივეს. 1828 წელს დაარსებული დემოკრატიული პარტია თავდაპირველად იცავდა სამხრეთის პლანტატორების, მონათმფლობელების და მათთან დაკავშირებული მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს. რესპუბლიკური პარტია, რომელიც 1854 წელს დაარსდა, ჯერ ჩრდილოეთის შტატების ბურჟუაზიას წარმოადგენდა და ებრძოდა სამხრეთის შტატების დემოკრატებს. მაგრამ თანდათანობით ამ ორ პარტიას შორის განსწავება წაიშალა, ვინაიდან ერთიც და მეორეც მხოლოდ იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. ისეთი პოლიტიკოსი, როგორც, მაგალითად, დემოკრატი ფ. დ. რუზველტი იყო, რომელიც პრეზიდენტი გახდა 1933 წელს და შემდეგში ზოგიერთი ლიბერალური რეფორმები გაატარა, გამონაკლისს შეადგენდა.

ოცინა წლებში ნიუ-იორკში დემოკრატიულ პარტიას მეთაურობდა ვინმე ტომ ფული, მეტსახელად დიდი ტომი, სატრანსპორტო ფირმის მეპატრონე. ამ მეტისმეტად გაბღენძილი ვაჟბატონის მოსაზრებებს ანგარიშს უწყედნენ არა მარტო ნიუ-იორკის მუნიციპალურ

წრეებში, არამედ თეთრ სასლშიც. მისი თანაშემწე გახლდათ ვინმე ალბერტ მარინელი, რომელსაც „საარჩევნო კამპანიის კაპიტანს“ უწოდებდნენ და რომლის მოვალეობაშიც შედიოდა ფრთხილად ეტარებინა პარტიის სომალი, საარჩევნო კამპანიის წყალქვეშა რიფებს შორის. 1931 წელს, როდესაც ფული პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორდა, ლუჩანოს ბევრი არ უფიქრია და მარინელის შესთავაზა დაესახლებინა თავისი კანდიდატურა დემოკრატიული პარტიის რეგიონალური განყოფილების შეფის ვაკანტურ თანამდებობაზე.

ამ ადგილს სხვა პრეტენდენტი, ჰარის პერი უმიზნებდა. მაგრამ მაფიამ მშვენივრად იცოდა არჩევნების მექანიკა ამერიკაში. ლუჩანოს ბიჭები როგორღაც პერის ოფისში აღმოჩნდნენ. პრეტენდენტის საწერ მაგიდასთან მათ პისტოლეტები დააძრეს და თავაზიანად, მაგრამ დავაინებით ურჩიეს დაუყოვნებლივ უარი ეთქვა თავისი კანდიდატურის დასახელებაზე. „იფიქრეთ ცოლ-შვილზე“, უთხრეს მას გამომშვიდობებისას.

აირჩიეს ალბერტ მარინელი, ამიერიდან ტამანი-პოლი, ნიუ-იორკის დემოკრატების შტაბინა, ლუჩანოს ხელში აღმოჩნდა. ოცდაათიან წლებში და კიდევ დიდი ხანი მას შემდეგაც ტამანი-პოლი დემოკრატიული პარტიის საკვანძო პოზიციად რჩებოდა. 1789 წლის 12 მაისს პატარა ქალაქ ნიუ-იორკში, ავეჯის გადაწყვიდეულმა და მოხალისე პოლიტიკოსმა უილიამ მურიმ დააარსა პოლიტიკური კლუბი, რომელსაც ეწოდა ლეგენდარული ბელადის ტამანის სახელი. ლეგენდარული ტამანი ლენილენაში „დელავეერების“ სახელით ცნობილ ინდიელების ტომის ბელადი იყო. „წმინდა ტამანის საზოგადოება“ 1800 წელს თომას ჯეფერსონს დაესმარა პრეზიდენტის ადგილისათვის ბრძოლაში, ხოლო 1805 წელს ნიუ-იორკის კავშირების რესტრში იგი რეისტრაციამი გატარდა, როგორც „საქველმოქმედო და საზოგადოებრივად სასარგებლო კავშირი“. ამ კლუბის კარი ყველასათვის ღია იყო, ვისაც საწევრო შესატანის გადახდა შეეძლო. კლუბის კედლებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები წყდებოდა და ამავე დროს იმართებოდა საავტოო გარიგებები. ტამანი-პოლი ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწვედა ძალაუფლების მწვერვალისაკენ. მომავალში მისი სახელი კორუფციის, მოსყიდვის, ნათლიმამობის და არჩევნებში თაღლითობის სინონიმი გახდა.

ეს პოლიტიკური კლუბი თითქოს განგსტერებისათვის იყო შექმნილი. როცა რამდენიმე წლის შემდეგ პროკურორმა თომას ი. დიუი



შეჯავამ პარინელის და ამით კი ტამანი-პოლში მაფიის ბატონობის შედეგები, გაოცებულმა ნიუ-იორკელებმა შეიტყვეს, რომ ნიუ-იორკის დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კომიტეტის ოცდახუთი წევრიდან თითოეული არანაკლებ ერთხელ — სოლო ბევრი მათგანი მრავალჯერ — სასამართლოს წინაშე წარმდგარა ძარცვისათვის, მკვლელობისთვის, დანაშაულის დაფარვისთვის და ნაკოტიკებით ვაჭრობისთვის. სოლო ოცდაორიდან რვა ინსპექტორი, რომელთა მოვალეობაშიც შედიოდა არჩევნების მსვლელობის კონტროლი, ნასამართლევი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ორგანო „დეილი უორკერი“ ასე წერდა ტამანი-პოლის შესახებ: „ამ რეაფინას საცეცხვს ყველა სოციალურ დონეზე მაგრად უჭირავს მშრომელი ადამიანი. მისი ავაზაკები პროფკავშირებში მოკალათდნენ და უსიცივებოდ ყვლევენ მშრომელებს, მისი პოლიციელები პირველი დამახეებისთანავე სასტიკად ცემენ რეზებს, მისი ინსპექტორები ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებიდან უხარისხო რძეს აძლევენ მუშების შვილებს. ტამანი-პოლმა თავისი საკუთარი „ხარკი“ გადაუხადა მოვაჭრეებს და ამ უხილავი გადასახადის ხარჯზე ცხოვრება მკვეთრად გაძვირდა. ამ მტაცებელმა თავისი ხალხი ქალაქის სასკოლო სამმართველოში დასვა, სადაც ბუნებრივია, რომ საზოგადოებისათვის ზიანი მოაქვთ. ტამანი-პოლი ნამდვილი ვამპირია.

მუშების სისხლისმწოველი. ნიუ-იორკის ყოველი მკვიდრი დაგვეთანხმება, რომ ამ ურჩხულის აჩრდილი მთელ ჩვენს ქვეყანას გადაეფარა.

ახლა ეს ურჩხული დიდი ხნით გადავიდა ლუჩანოს ხელში. და მაშასადამე მაფიის განკარგულებაში. უკვე, ნიუ-იორკის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ პარინელის არჩევის ერთი წლის შემდეგ, ლუჩანო შეეცადა გასულიყო დიდ პოლიტიკურ სარბიელზე. 1932 წლის ნოემბერში დანიშნული იყო პრეზიდენტის არჩევნები. ლუჩანომ გადაწყვიტა, რომ ელ სმიტს, ტამანი-პოლის წარმომადგენელს, რომელიც 1923 წლის არჩევნებში რესპუბლიკელმა ჰერბერტ ჰუვერმა დაამარცხა, თავისი კანდიდატურა დაეხსნელებინა პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან. მაგრამ დემოკრატიული პარტიის ყრილობამ რომელიც მაფიის ძველ მეტროპოლიაში — ჩიკაგოში შედგა და რომელზეც უნდა დაესახელებინათ კანდიდატი ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე, გადაწყვიტა დაეხსნელებინა არა ელ სმიტი, არამედ რუზველტი. „ახალი კურსის“ პროგრამა, რომელსაც საფუძვლად რეალისტური პოლიტიკა ედო, დაეხმარა რუზველტს გამარჯვება მოეპოვებინა 1932 წლის ნოემბრის პრეზიდენტის არჩევნებში. მაგრამ ნიუ-იორკი, ისევე როგორც ამერიკის სხვა ქალაქები, კვლავ „ბინძურ“ ქალაქად რჩებოდა.


თარგმნა ჯუმაბარ ვანიბარიძემ.

(დასასრული მორიგ ნომერში).

## განსხვადება

მიმდინარე წლის 21 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი განიხილავს საკითხს, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 28 ნოემბრის დადგენილება „ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“.

უმაღლესი სასამართლო სთხოვს სასამართლო ორგანოების მუშაკებს, ადვოკატებს, მკითხველებს სამდივნოს მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებანი და წინადადებანი ამ საკითხზე.



# ცნობები ავტორთა შესახებ

ანზორ გიორგის ძე კალმახელიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 16 შრომის ავტორი, ეფორედ იბეჭდება ჩვენი უურნალოს ფურცლებზე.

ალექსანდრე ზალდინსკის ძე ანჰვასი — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი, პირველად იბეჭდება ჩვენი უურნალოს ფურცლებზე.

სერგო მანასეს ძე ჯორბენაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი მეცნიერული შრომისა და წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს „საბჭოთა სამართალში“.

გურამ ისაიის ძე ნაჰუპია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 8 მეცნიერული შრომის ავტორი.

ნოდარ აბაძის ძე გიორგობიანი — სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი, პირველად იბეჭდება ჩვენი უურნალოს ფურცლებზე.

თეიმურაზ ვალერიანის ძე ბერსაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, მეორედ იბეჭდება „საბჭოთა სამართალში“.

თენგიზ პაპუას ძე ჯაშარძე — ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, პირველად იბეჭდება ჩვენი უურნალში.

ვაჟა გივის ძე ჯაოშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, პირველად იბეჭდება „საბჭოთა სამართალში“.

მამია ხარბიძის ძე კომახიძე — საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 33 შრომის, მათ შორის 2 მონოგრაფიის ავტორი.

გიორგი იურის ძე სიხარულიძე — თბილისის სადღესასწაულო ცენტრის თანამშრომელი, პირველად იბეჭდება ჩვენი უურნალში.

მისაქილ ილიას ძე რობაქიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი; 20 შრომის ავტორი, მეორედ იბეჭდება ჩვენი უურნალოს ფურცლებზე.

ვლადიმერ ნესტორის ძე მერაპილაძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი მეცნიერული შრომისა და რამოდენიმე მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს „საბჭოთა სამართალში“.

ჯ.შეშარ მონას ძე შაჩიბერიძე — უურნალისტი და მთარგმნელი, არის რამდენიმე კინოსცენარის ავტორი.

მაღე მკითხველები მიიღებენ საქართველოს სსრ კანონთა წიგნის პირველ ტომს. გამომავლის პირველ გვერდზე: „საქართველოს სსრ კანონთა წიგნის“ პირველი ტომი. შ. სმერტინაის სლადი.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 3 1984 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР,

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плевахова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательство ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

142/22  
ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

ՑԱՆՈՒ 60.353.

ՈՒՇԱԿՆԵՐ 76185